619
1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 4 აპრილი 1955



ეროვნული ბიბლიოთეკა



მიმართვა
მსოფლიოს ხალხებისადმი

ამჟამად ზოგიერთი მთავრობა ემზადება გააჩაღოს ატომური ომი. მათ სურთ ჩააგონონ ხალხებს, თითქოს ეს ომი გარდუვალია.

ატომური იარაღის გამოყენება გამანადგურებელ ომს გამოიწვევდა.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ მთავრობა, რომელიც გააჩაღებს ატომურ ომს, დაკარგავს თავისი ხალხის ნდობას და მას დაგმობს ყველა ხალხი.

ჩვენ ვილაშქრებთ იმათ წინააღმდეგ, ვინც ამზადებს ატომურ ომს.

ჩვენ მოვითხოვთ ყველა ქვეყანაში ატომური იარაღის მარაგის მოსპობას და მისი წარმოების დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

ხელმოწერა: | ხელმოწერა: | ხელმოწერა: | ხელმოწერა:

# ქართველი ხალხი ხმას აძლევს

# მშვიდობას!

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელისმოწერით ქართველი მშრომელები თავიანთ ხმას უერთებენ მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა ხმას, რომლებიც მოითხოვენ ატომური იარაღის აკრძალვას, მისი მარაგის მოსპობასა და წარმოების დაუყოვნებლივ შეწყვეტას.



ფოტოზე — ზ ე მ ო თ: თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრება, მიძღვნილი მიმართვაზე ხელმოწერისადმი.

ქ ვ ე მ ო თ: რუსთავის სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ორდინატორი ზ. ნადირაშვილი ხელს აწერს მიმართვას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და
კ. ოგანეზოვის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 4 (45) აპრილი 1955 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“
გამოცემის IV წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# მთის არწივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ი. ბ სტალინი ვ. ი ლენინის შესახებ

სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა, ბრძენმა ბელადმა, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ჯერ ისევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებში, რევოლუციური მოძრაობის ასპარეზზე გამოსვლის პირველსავე ხანებში მაღლა აღმართა შემოქმედებითი მარქსიზმის ძლევამოსილი დროშა. ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა ის ამჟღავნებს მარქსისა და ენგელსის ქმნილებათა არაჩვეულებრივად ღრმა ცოდნას, მაშინდელი დროის რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებისადმი მარქსიზმის მიყენების ბრწყინვალე უნარს, მხურვალე, ურყევ რწმენას მუშათა კლასის საქმის გამარჯვებისადმი; ის, როგორც გენიალური თეორეტიკოსი და უბადლო ორგანიზატორი უკვე ამ დროიდანვე ხდება რუსეთის მუშათა მოძრაობის აღიარებული ბელადი და ხელმძღვანელი.

ვ. ი. ლენინის ყოველი ნაბიჯი, მისი დიადი ცხოვრების ყოველი დღე, დაწყებული ყაზანის უნივერსიტეტის წლებიდან — განუყრელად დაკავშირებულია ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიასთან. სწორედ მიმდინარე საუკუნის გარიჟრაჟზე, 1900 წლის დეკემბერში გამოვიდა ლენინური „ისკრის“ პირველი ნომერი. გაზეთის სათაურის ქვეშ იყო ეპიგრაფი: „ნაპერწკლიდან ალი აინთება“. ეს სიტყვები აღებულია დეკაბრისტების პასუხიდან პუშკინისადმი, რომელმაც მათ მისალმება გაუგზავნა ციმბირში, სადაც ისინი გადასახლებულნი იყვნენ.

და მართლაც, ლენინის მიერ დანთებული „ნაპერწკლიდან“ („ისკრიდან“) შემდეგში აინთო დიადი რევოლუციური ხანძრის ალი, რომელმაც სულ ერთიანად გადაბუგა მეფის თავადაზნაურულ-მემამულური მონარქია და ბურჟუაზიული ძალაუფლება.

6667

ვ. ი. ლენინმა უკვე 90-იან წლებში დაამთავრა ნაროდნიკობის იდეური განადგურება, მომდევნო წლებში მან ასევე გამანადგურებელი დარტყმები აგემა „ეკონომისტებსა“ და „ლეგალურ მარქსისტებს“; როცა იმ წლებში ი. ბ. სტალინმა წაიკითხა ლენინის ნაშრომები, მიმართული ნაროდნიკობის, „ეკონომიზმისა“ და „ლეგალური მარქსიზმის“ წინააღმდეგ, განაცხადა:

„რაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა ვნახო იგი“.

უკვე იმ დროს სტალინი თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სათავეში იდგა. სტალინმა მაშინვე დაინახა, რომ ლენინის სახით რევოლუციის ასპარეზზე გამოვიდა ბრძენი ბელადი და მასწავლებელი.

ი. ბ. სტალინი წერდა:

„ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის გაცნობამ 90-იანი წლების დამლევიდან, განსაკუთრებით კი 1901 წლის შემდეგ, „ისკრის“ გამოცემის შემდეგ, დამარწმუნა, რომ ლენინის სახით ჩვენ არაჩვეულებრივი ადამიანი გვყავს. ჩემს თვალში ის მაშინ პარტიის უბრალო ხელმძღვანელი კი არ იყო, ის იყო პარტიის ფაქტიური შემქმნელი, ვინაიდან მხოლოდ მას ესმოდა ჩვენი პარტიის შინაგანი არსი და გადაუდებელი საჭიროებანი. როდესაც მას ჩვენი პარტიის დანარჩენ ხელმძღვანელებს ვადარებდი, ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ლენინის თანამებრძოლნი — პლეხანოვი, მარტოვი, აქსელროდი და სხვები — მთელი თავით დაბლა დგანან ლენინზე, რომ ლენინი მათთან შედარებით მარტო ერთ-ერთი ხელმძღვანელი კი არ არის, არამედ უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელია, მთის არწივია, რომელმაც არ იცის, თუ რა არის შიში ბრძოლაში და რომელსაც გაბედულად მიჰყავს პარტია წინ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უვალი გზებით“.

1903 წლის შემოდგომაზე მეფის მთავრობამ სტალინი აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლა. გადასახლებაში ყოფნის დროს მან მიიღო წერილი ლენინისაგან.

„პირველად ლენინს 1903 წელს გავეცანი, — ამბობს სტალინი, — მართალია ეს იყო არა პირადი, არამედ შორიდან გაცნობა, მიწერ-მოწერით. მაგრამ ამ გაცნობამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, და ეს შთაბეჭდილება პარტიაში მთელი ჩემი მუშაობის განმავლობაში თან მდევდა. მე მაშინ ციმბირში ვიყავ გადასახლებული... ლენინის წერილი შედარებით პატარა იყო, მაგრამ იძლეოდა ჩვენი პარტიის პრაქტიკის გაბედულ, უშიშარ კრიტიკას და მასში შესანიშნავი სიცხადით იყო მოცემული პარტიის მუშაობის მთელი გეგმა უახლოესი პერიოდისათვის“.

1905 წლის დეკემბერში, ტამერფორსის კონფერენციაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს პირადად ლენინი და სტალინი. ამ დღეების შესახებ სტალინი წერდა.

„პირველად ლენინს 1905 წლის დეკემბერში შევხვდი ბოლშევიკების კონფერენციაზე ტამერფორსში (ფინეთი). შესანიშნავი იყო ლენინის ორი სიტყვა, წარმოთქმული ამ კონფერენციაზე: მიმდინარე მომენტის და აგრარული საკითხის შესახებ... ეს იყო შთაგონებული სიტყვები, რომლებმაც მთელი კონფერენცია უდიდეს აღტაცებაში მოიყვანეს. დარწმუნების არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის სიმარტივე და სიცხადე, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანჭვა-გრეხა, არავითარი თავბრუდამხვევი ჟესტები და ეფექტიანი ფრაზები, რომელთა მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა. ყველაფერი ეს ხელსაყრელად განასხვავებდა ლენინის სიტყვებს ჩვეულებრივი „საპარლამენტო“ ორატორების სიტყვებისაგან“.

შემდეგ სტალინი იქვე განაგრძობს:

„მაგრამ მე მაშინ ლენინის სიტყვების ამ მხარემ კი არ მომხიბლა. ლენინის სიტყვებში მე მომხიბლა ლოგიკის იმ უძლეველმა ძალამ, რომელიც საფუძვლიანად იპყრობს აუდიტორიას, თანდათან აჯადოებს მას და შემდეგ, როგორც იტყვიან, მთლიანად ატყვევებს. მახსოვს თუ როგორ ამბობდა მაშინ ბევრი დელეგატთაგანი: „ლოგიკა ლენინის სიტყვებში — ეს რაღაც ისეთი ყოვლად ძლიერი იარაღია, რომელიც ყოველი მხრით მარწუხად შემოგეჭდობა და რომელსაც ველარ გაუსხლტები. ან დანებდი, ანდა იცოდე, რომ სრული მარცხი მოგივა“.

ლოგიკის ეს ფოლადისებური ძალა იგრძნობა ლენინის ყველა ნაშრომში, ყველა წერილში; ლენინის დიადი მოძღვრება აერთიანებს ხალხთა მრავალმილიონიან მასებს, მიჰყავს ისინი საიერიშოდ, რათა გზა გაუკაფოს ნათელ მომავალს, კაცობრიობის ახალ ისტორიას.

„ლენინი რევოლუციისათვის იყო დაბადებული, — აღნიშნავდა სტალინი, — ის იყო რევოლუციურ აფეთქებათა ნამდვილი გენია და რევოლუციური ხელმძღვანელობის უდიდესი ოსტატი. არასდროს არ გრძნობდა ის თავს ისე თავისუფლად და აღტაცებულად, როგორც რევოლუციური ძვრების ეპოქაში... რევოლუციურ მობრუნებათა დღეებში ის პირდაპირ ჰყვაოდა, გულთმისანი ხდებოდა, წინასწარ ჭვრეტდა კლასების მოძრაობას და რევოლუციის მოსალოდნელ ზიგზაგებს, ისე ხედავდა მათ, როგორც ხელის გულზე... გენიალური შორსმჭვრეტელობა, მოახლოებული ამბების შინაგანი აზრის სწრაფად მიწვდომისა და გამოცნობის უნარი — ეს ლენინის სწორედ ის თვისებაა, რომელიც ეხმარებოდა მას რევოლუციური მოძრაობის მოსახვევებზე დაესახა სწორი სტრატეგია და მოქმედების გარკვეული ხაზი“.

ამ სიტყვებში მოცემულია ამომწურავი დახასიათება დიდი ლენინისა, რომლის მეთაურობით მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ დაამხეს ბურჟუაზიის ხელისუფლება, დაამყარეს საბჭოთა წყობილება, დასაბამი მისცეს ახალი ტიპის სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს.

ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი ახალ ეპოქაში — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში; ჩვენი სამშობლოს ხალხებს ლენინიზმმა დაუსახა კომუნისტური მომავლისაკენ წინსვლის ნათელი გზა.

ლენინის იდეების მთელი სიდიადე და ცხოველმყოფელობა, მისი უკვდავება და ძლევამოსილება რაზმავს და შთააგონებს მილიონობით ადამიანებს, აძლევს მათ ბუმბერაზულ ძალას. ამაზე ლაპარაკობდა სტალინი, როცა მან, ლენინის გლოვის დღეებში, სსრ კავშირის საბჭოების მეორე ყრილობაზე პარტიის სახელით დასდო დიადი ფიცი. მან სთქვა:

„ჩვენ, კომუნისტები, განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება—ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, როგორც პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი...

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ მაღლა გვეჭიროს და წმინდად დავიცვათ პარტიის წევრის დიადი სახელი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძს!..

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ ჩვენი პარტიის ერთიანობა, როგორც თვალის ჩინი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!...

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, არ დავზოგავთ ჩვენს ძალებს იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ ეს შენი ანდერძიც!...

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენი მთელი ძალღონით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!...

ამხანაგი ლენინი დაუღალავად გველაპარაკებოდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის აუცილებლობის შესახებ, რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში მათი ძმური თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ. მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ განვამტკიცოთ და გავაფართოოთ რესპუბლიკათა კავშირი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!...

ლენინი არა ერთხელ მიგვითითებდა ჩვენ, რომ წითელი არმიის განმტკიცება და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მაშ ფიცი დავდოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ძალღონეს იმისათვის, რათა განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი“.

სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ ბრწყინვალედ განახორციელა ლენინის ანდერძი, წაიყვანა ჩვენი სამშობლო წინ, მოახდინა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ააშენა სოციალიზმი, განამტკიცა ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობა, მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება დიდი სამამულო ომის ფრონტზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ფაშისტურ გერმანიაზე და მილიტარისტულ იაპონიაზე საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად შესაძლებელი გახდა წარმოშობილიყვნენ სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოები აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში, შეიქმნა მძლავრი, მთლიანი ბანაკი დემოკრატიისა და სოციალიზმისა საბჭოთა კავშირის მეთაურობით. თავისუფლების ამ დიად ბანაკში გაერთიანებულია 800 მილიონი ადამიანი, მთელი დედამიწის მოსახლეობის ერთი მესამედი; ამ წლების მანძილზე კიდევ უფრო განმტკიცდა საერთაშორისო ავტორიტეტი საბჭოთა კავშირისა, რომელიც თანამიმდევრულად იცავს მსოფლიო მშვიდობის ინტერესებს.

კულტურისა და ეკონომიკის განუხრელი აღმავლობა, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის სისტემატური ზრდა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შემდგომი განმტკიცება, სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის აყვავება — ყოველივე ეს შედეგია ბრწყინვალე გამარჯვებებისა, რომლებსაც მიაღწია საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით განუხრელად მიემართება წინ, კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ!



# ნოღაის ველზე

ჟურნ. „დროშის" სპეცკორესპონდენტები ა. კოკილაშვილი და ვლ. გინზბურგი

**1.** ნოღაის ველზე, სადაც საქართველოს კოლმეურნეობათა მეცხვარეობის ფერმები იმყოფება, მიმდინარე წელს ყველაფერი გაკეთდა ცხვრის კარგად გამოზამთრებისა და მწყემსების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამ ერთი-ორი წლის წინათ საზამთრო საძოვრებზე იშვიათად შეხვდებოდით სუფთა წყალს. როგორც პირუტყვი, ისე მწყემსები დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ უწყლობით. ხშირად 15-20 კილომეტრი უნდა გაევლოთ, რომ ცხვარი დაერწყულებინათ. გასული წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ფართოდ გაჩაღდა ნოღაის ველზე არტეზიული ჭების გაჭრა.

ს უ რ ა თ ზ ე: თქვენ ხედავთ მწყემს რევაზ ქოჩიშვილს, რომელიც არტეზიული ჭიდან იღებს წყალს „მწყემსთა სამზარეულოსათვის".

1.



**2.** „ჩორნი რინოკში" არსებობს მეცხოველეობის სამანქანო-სადგური. იგი დიდ მუშაობას ეწევა ფერმებისათვის თივის სადაზღვევო ფონდის შესაქმნელად ზაფხულის პერიოდში. კარგა ხანია ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი დაამთავრეს აქ, მზად არიან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

ს უ რ ა თ ზ ე: მინდვრად სამუშაოდ გასვლამდე აწარმოებენ თივის წნეხვას.

**3.** როგორც ცნობილია, დუშეთის რაიონის მეცხოველეები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის მეცხოველეებთან. შორეული კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზე მყოფმა პარტიის დუშეთის რაიკომის მდივანმა ამხ. ალექსი ბექაურმა ისარგებლა შემთხვევით და ინახულა საზამთრო საძოვრებზე მყოფი გუნიბის რაიონის სოფელ ჩოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმა.

ს უ რ ა თ ზ ე: ამხ. ა. ბექაური (ცენტრში) ესაუბრება გუნიბელ მწყემსებს (მარცხნიდან მარჯვნივ) ა. გაჯიევს, ო. მუსალალიევს, რ. მოლოჩიევს და ა. მანსუროვს.

**4.** ნოღაის ველის საზამთრო საძოვრებზე, ხშირად, დღეში რამდენჯერმე იცვლება ამინდი. განსაკუთრებით ამინდის ცვალებადობა ხდება ხოლმე დილის დღეებში. იმ მიზნით, რომ მეცხვარეები დროზე იქნან გაფრთხილებულნი ამინდის მოსალოდნელ გაუარესებაზე, ბაჟიგანში მოწყობილია აგრო-მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც ყოველდღიურად „ელვა-ცნობის" სახით უშვებს ბიულეტენს და გადასცემს ფერმებს.

ს უ რ ა თ ზ ე: სადგურის დამკვირებლები ხელსაწყოებიდან იღებენ მოსალოდნელი ამინდის რეგისტრირებულ მაჩვენებლებს.

2.





3.



ეროვნული ბიბლიოთეკა

4.

**5.** რამდენიმე ათეული კილომეტრით არის დაშორებული ფერმები საძოვრების ცენტრიდან — „ჩორნი რინოკისაგან“. ფერმებსა და „ჩორნი რინოკის“ შუალედ ზღუდეზე მოწყობილია რადიოსადგური, რომლის საშუალებითაც ფერმებიდან მიღებულ ცნობებს გადასცემენ საძოვრების სამმართველოს.

ს უ რ ა თ ზ ე: რადისტი ნადეჟდა ნიკიტას ასული გონჩაროვა „ჩორნი რინოკში“ საზამთრო საძოვრების სამმართველოს რადიოთი გადასცემს მეცხვარეობის ფერმებიდან მიღებულ ცნობებს დოლის მიმდინარეობის შესახებ.

**6.** სათუთად და მზრუნველობით ევლებიან თავს მწყემსები ახლად მოგებულ ბატკნებს. აი, სურათზე თქვენ ხედავთ სოფელ მაქართის (დუშეთის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მწყემსს დათიკო ბედოშვილს, რომელიც ეფერება ბატკნებს.

**7.** რამდენიმე წლის წინათ ამ ადგილებში არ იყო არც ერთი ნაგებობა. მწყემსები ცხოვრობდნენ მიწურებში. მათთვის არ იყო კეთილმოწყობილი საავადმყოფო, კლუბი, საცხოვრებელი ბინა. შარშან ბევრი რამ გაკეთდა ამ ნაკლის გამოსასწორებლად. შემოდგომაზე აშენებულ იქნა სტანდარტული ოთხოთახიანი კულტურულად მოწყობილი საცხოვრებელი სახლები. თუ გეგმა 62 ასეთი ტიპის სახლის აშენებას ითვალისწინებდა, ფაქტიურად გაკეთდა 107 სახლი. ამას გარდა მოეწყო 57 აბანო, 27-ის ნაცვლად.

ს უ რ ა თ ზ ე: საავადმყოფოს და კლუბის შენობები ბაჯიგანში, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცა გასული წლის შემოდგომაზე.

**8.** დოლის დღეებში მინდვრად ხდება ასეთი შემთხვევაც. საძოვრად გასულ დედა ცხვარს ასტკივნია მუცელი და იქვე მინდვრად მოუგია ბატკანი. აქაც „ბებიის“ როლს მწყემსი ასრულებს. მაგრამ მიღებული ჩვილის მინდვრად, სიცივეში დიდი ხნით დატოვება არ შეიძლება, რადგან მოსალოდნელია გაცივდეს და დაიღუპოს. ასეთ შემთხვევაში მწყემსებს საძოვარზე ყავთ „სასწრაფო დახმარების“



5.



6.





7.

ტრანსპორტის შემცვლელად სახედრები. როგორც სურათზეა აღბეჭდილი, ამ დღესაც გაშლილ მინდორში მოიგო რამდენიმე ცხვარმა. მწყემსის მზრუნველმა ხელმა ჩვილი ბატკნები მოათავსა ხურჯინში, გადაჰკიდა სახედარს და ამ „სასწრაფო დახმარების“ ტრანსპორტით მიიყვანა ისინი მათთვის სპეციალურად მოწყობილ დათბუნებულ ფარეხში.



8.

9. საუცხოო სანახავია, როცა დედა ცხვარი კვებავს თავის ბატკანს. დღეში მხოლოდ ორჯერ არის დაშვებული ბატკნების კვება დედის რძით — დილით და საღამოთი. აი, ახლაც, საძოვრიდან მოსულ დედა ცხვარს მცნობელის დახმარებით უპოვნია თავისი ბატკანი, რომელსაც პირი წაუვლია დედის ძუძუსათვის და მადიანად შეექცევა მის ნოყიერ რძეს.

10. „ჩორნი რინოკში“, საზამთრო საძოვრების სამმართველოსთან არსებობს კეთილმოწყობილი კლუბი. კლუბს აქვს თავისი საკუთარი ბიბლიოთეკა 6.000 ცალი წიგნადი ფონდით. ფერმებიდან სისტემატურად ჩამოდიან მოზამთრეები მწყემსებისათვის საინტერესო ლიტერატურის შესარჩევად და წასაღებად. როგორც სურათზე ხედავთ, ბაჯიგანიდან ახლაც ჩამოსულან წიგნების წასაღებად ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე გ. იდიძე (ცენტრში) და ამავე კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი ლევან ციხელიშვილი. კლუბის გამგე ი. ხუციშვილი (მარცხნივ) არჩევს მათთვის ლიტერატურას.

11. ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს სსრ საზამთრო საძოვრების სამმართველოს მწყემსების მომსახურებისათვის აქვს ორი მოძრავი კინოდანადგარი. მათი საშუალებით მომთაბარე მწყემსებს პერიოდულად უჩვენებენ ახალ კინოსურათებს. აი, დღესაც, მწყემსებს ესტუმრა მოძრავი კინოდანადგარი.



9.

11.




10.



# უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის 10 წლისთავი

ათი წლის წინათ, 1945 წლის ოთხ აპრილს, საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა უნგრელი ხალხი ფაშისტური გერმანიის უღლისაგან.

უნგრელი ხალხის ისტორიაში დაიწყო ახალი, სოციალიზმის მშენებლობის ერა.

1946 წლის 31 იანვარს უნგრეთი სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადების საქმეში გადამწყვეტი როლი მუშათა კლასმა და კომუნისტურმა პარტიამ შეასრულა, რომელსაც მხარს უჭერდა მშრომელთა ფართო მასები.

კომუნისტური პარტიისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანების შედეგად, რაც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების საფუძველზე მოხდა, შეიქმნა უნგრეთის მშრომელთა პარტია, მატიას რაკოშის მეთაურობით. ჯერ კიდევ სახალხო რესპუბლიკის შექმნამდე დროებითმა მთავრობამ მოახდინა მეტალურგიის, ქვანახშირის და ენერგეტიკული მრეწველობის ნაციონალიზაცია, მრეწველობის სხვა დარგები კი მთავრობის კონტროლს დაუმორჩილა.

1945 წლის 17 მარტს დროებითმა მთავრობამ მიიღო დეკრეტი მიწის შესახებ. აღნიშნული დეკრეტით ყველა ჯურის გამცემლებს, მოღალატეებს, მსხვილი მამულების მყიდველ-გამყიდველებს ჩამოერთვათ მიწები. აგრარულმა რეფორმამ ორ მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა მისცა გლეხობას.

1948 წლისათვის მიღებული იქნა კანონი ყველა სახის სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციის შესახებ. ქვეყნის სამეურნეო ხელმძღვანელობა ამის შედეგად გადავიდა სახელმწიფოს ხელში, რამაც შესაძლებლობა შექმნა სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარებისათვის. 1947 წლის პირველ აგვისტოს მიღებული იქნა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 3-წლიანი გეგმა.

უნგრელმა ხალხმა საბჭოთა ქვეყნის ყოველდღიური დახმარების შედეგად 3-წლიანი გეგმა ორ წელიწადნახევარში გადაჭარბებით შეასრულა, რის შედეგადაც სამრეწველო წარმოების დონემ 1949 წლის ბოლოსათვის ომამდელ დონეს გადააჭარბა 53,4%-ით, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 20%-ით; შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: საფეიქრო, დაზგათმშენებელი, ელექტრომოტორების, ტრაქტორების და სხვ. სამწლიანი გეგმის შესრულებით მანქანათმშენებლობის მრეწველობამ გამოუშვა ორთქლმავლები 8-ჯერ, ტრაქტორები 5-ჯერ, გემები 3-ჯერ, საბარგო მანქანები ორჯერ და დაზგები 30-ჯერ მეტი, ვიდრე ომამდე; 1949 წლის 18 აგვისტოს სახელმწიფო კრების მიერ მიღებული იქნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა უნგრელი ხალხის ისტორიაში.

1949 წლის 10 დეკემბერს სახელმწიფო კრებამ მიიღო კანონი უნგრეთის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელშიაც გათვალისწინებული იყო გრანდიოზული ამოცანები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოოპერირების ღონისძიებების გატარების საქმეში. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა 263 ახალი სამრეწველო ობიექტის აშენებას, 500-მდე სამანქანო-სატრაქტორო სადგურის შექმნას და სოფლის მეურნეობის 28 ათასი ტრაქტორით და 1500 კომბაინით უზრუნველყოფას. აგრეთვე მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს.

უნგრელმა ხალხმა მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები.

სოფლის მეურნეობაში ჩატარებული რეფორმებისა და ღონისძიებების შედეგად, უნგრელმა ხალხმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. ყოველდღიურად იზრდებიან და მტკიცდებიან ნებაყოფლობის პრინციპზე გაერთიანებული სამიწათმოქმედო კოოპერატივები, მთავრობა დიდ დახმარებას უწევს სოფლის მშრომელებს მოწინავე ტექნიკის დანერგვის და საირიგაციო სარწყავი სისტემის მასობრივად გამოყენებაში.

სისტემატურად ინერგება მოწინავე აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევები. ყოველივე ამის შედეგად ყოველწლიურად იზრდება სამიწათმოქმედო კოოპერატივებში გაერთიანებულ მშრომელთა შემოსავალი.

სისტემატურად უმჯობესდება უნგრელი ხალხის საყოფაცხოვრებო პირობები. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მთავრობამ სამჯერ განახორციელა ფასების შემცირება, რის შედეგად მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი 20 პროცენტით გადიდდა.

სახალხო რესპუბლიკის შექმნამდე უნგრეთში მცირე რაოდენობით იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი. 1948 წელს სკოლები ჩამოშორდა ეკლესიას და სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ყოველდღიურად იზრდება სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი და მათში მოსწავლეთა რაოდენობა.

1937-38 წლებში რეაქციონერ ჰორტის მართველობის დროს უნგრეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 11 700 სტუდენტი, ყოველ 10 000 მცხოვრებზე 12 სტუდენტი მოდიოდა, აქედან მუშების და გლეხების შვილები იყვნენ, მხოლოდ 3,5 პროცენტი.

ამჟამად საგრძნობლად გადიდდა უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა და სტუდენტთა რიცხვი. ომის წინა პერიოდთან შედარებით, სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში 3-ჯერ გაიზარდა. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობის 55 პროცენტზე მეტი მუშებისა და გლეხების შვილები არიან. უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა საშუალო სკოლების რაოდენობა და მოსწავლეთა რიცხვი, დიდი ყურადღება ექცევა ნაციონალურ უმცირესობათა ხალხების სწავლების საქმეს. შექმნილია სკოლები, სადაც სწავლა მიმდინარეობს ნაციონალურ ენებზე. მტკიცედ ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო 8 წლიანი სწავლების კანონი. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება საავადმყოფოების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, საბავშვო სახლების მშენებლობისათვის, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სოფლის ელექტრიფიკაცია და რადიოფიცირება. ახალ უნგრეთში დიდ წარმატებებს მიაღწია ლიტერატურამ, ხელოვნებამ, მეცნიერებამ. ყოველდღიურად იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის რაოდენობა. ამჟამად უნგრეთში მუშაობს 10.300 ბიბლიოთეკა, 1800 კულტურის სახლი. თუ 1935 წელს კინოთეატრების რიცხვი 410-ს არ აღემატებოდა, ამჟამად არის 2 900 კინოთეატრი 3-ჯერ გაიზარდა ომის წინა პერიოდთან შედარებით გამოცემული წიგნების საერთო ტირაჟი. უნგრელი ხალხი ღრმად არის დარწმუნებული რომ მთელი ის წარმატებები, რომელიც მათ მოიპოვეს სოციალიზმის მშენებლობის გზაზე უშუალოდ დაკავშირებულია იმ დიდ მეგობრულ დახმარებასთან, რასაც მას უწევს საბჭოთა კავშირი. ისე, როგორც სხვა დემოკრატიული ქვეყნები, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით აშენებს სოციალიზმს.

**ელგუჯა ქვათაძე**

# ლენინის მონუმენტი ზაჰესთან



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ძეგლი ჩვენი დედაქალაქის რომელიმე მოედნის ან ბაღის მშვენება როდია. მისი სიდიადის სრულად გამოსავლინებლად ბაღისა და მოედნის ჩარჩოებიც ვიწრო აღმოჩნდებოდა. იგი უფრო ფართო, გაშლილ სივრცეს, უფრო მეტ ჰაერს და მზეს მოითხოვს. მის სანახავად საქართველოს სამხედრო გზით ანდა მცხეთისკენ მატარებლით უნდა იმგზავროთ.

მიუხედავად ამისა, არც ერთ თბილისელს, არც ერთ საბჭოთა ადამიანს, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ბრინჯაოში ჩამონაკვთული, დიდი მოაზროვნის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის — დიდი ლენინის დასამახსოვრებელი სახე, არასოდეს არ უგრძვნია ეს სიშორე.

მისგან მიღებული შთაბეჭდილება ემოციური ზემოქმედების სიძლიერით თვალშეუდგამი მწვერვალის, ანდა ბუნების სხვა ამაღლებული სანახაობით მიღებულ შთაბეჭდილებას თუ შეედრება.

ჩვენი ოცნება ისევე შეეჩვია მას და ეს ქანდაკება ისევე გვეგულება, როგორც ბუნებაში შორეული თოვლიანი მწვერვალი შეიძლება გვეგულებოდეს. დიდი ლენინის ეს ქანდაკება ქართული ბუნების მშვენიერების განუყოფელი ნაწილი გახდა.

ეს ძეგლი, რომელიც გამოჩენილ საბჭოთა მოქანდაკეს ი. დ. შადრს (ივანოვი) ეკუთვნის, საბჭოთა მონუმენტალური ხელოვნების უდიდესი მონაპოვარია და მონუმენტალური პროპაგანდის ლენინური იდეის მხატვრულად ხორცშესხმული პირველი ნიმუშია.

ქანდაკების ტრადიციული ფონი — ცა და არქიტექტურული გარემო — გამდიდრდა ახალი ელემენტით — კავკასიონის ახლო და შორეული ქედების მთიანი რელიეფის ცვალებადი ფერადოვნებით, რომელიც დღის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირ ნიუანსებს იძლევა. იგი შესაბამისად ცვლის თითქმის ქანდაკების ძირში ახმაურებულ მტკვრის ტალღების ელვარებასაც და სიცოცხლე შეაქვს ელსადგურის მთელ სკულპტურულ-არქიტექტურულ ანსამბლში.

მოქანდაკე ახალ ასპექტში სწყვეტს ბუნების ამ მშვენიერებისა და ადამიანის ურთიერთობის პრობლემას.

ი. შადრი თამამად არღვევს ბუნების ხელუხლებლობის კლასიკურ პრინციპებს და დიდი ლენინის სახით, ადამიანი გამოჰყავს როგორც ამ თავისთავადი სილამაზის აქტიური გარდამქმნელი, ბუნების სტიქიურ ძალთა დამმორჩილებელი. რომანტიული პათოსით გადმოცემული ასეთი ზოგადი მომენტებისა და თვით ლენინის ხასიათიდან გამომდინარე კონკრეტული შტრიხების (ხელის თავისუფალი და ძლიერი მოძრაობა, ჩაცმულობის სისადავე) შერწყმამ ქანდაკება სკულპტურული პორტრეტის ვიწრო ჩარჩოებიდან გამოიყვანა. ქანდაკება კომპოზიციურად ისე ძალდაუტანებლადაა შერწყმულ-დაკავშირებული ელსადგურთან, გეგონებათ მისი საკუთარი კვარცხლბეკი „დაიკარგა" და თვით ელსადგურის მასები გადაიქცნენ ქანდაკების კვარცხლბეკად.

საქართველოს ბუნების ფონზე ამოზრდილი დიდი ლენინის სილუეტი მოქანდაკეს ოსტატურად აქვს მოძებნილი და დამუშავებული, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ ავლენს ქანდაკების ფორმას, კიდევ უფრო სკულპტურულს ხდის მას. მისი კონტური სხვადასხვა მხრიდან შეხედვისას მხატვრული ვარიაციის სახით იმეორებს მოქანდაკის მთავარ ჩანაფიქრს — რევოლუციის ბელადის შეუპოვარი, დაუდგრომელი ხასიათის ჩვენებას, რაც უმთავრესად სხეულის დაუნაწევრებელი, მთლიანი მკვრივი მოდელირებით, პლასტიურად დამაჯერებლად აღბეჭდილი მოძრაობითაა მიღწეული.

ოდნავ ზეაწეული თავის დამახასიათებელი მოძრაობით შადრმა შესძლო ლენინის მიერ გარემოს თვალის მოვლების მომენტისადმი წარმოდგენითი გაგრძელება მოენახა, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა ქანდაკების კონტაქტი გარემოსთან, ბუნებასთან.

ეს ძეგლი გაიხსნა 1927 წლის ზაფხულში საბჭოთა საქართველოს ელექტრიფიკაციის პირმშოს — ზემო ავჭალის ლენინის სახელობის ჰიდროელსადგურის ზაჰესის პირველი რიგის გაშვების დღეს. ელსადგურის არქიტექტურულ ანსამბლში ლენინის ძეგლს კომპოზიციის წარმმართველი ადგილი უკავია.

საქართველოში ამ მძლავრი ჰიდროელსადგურის მშენებლობა პირველი ნაბიჯი იყო დიდი ლენინის მიერ დასახული ჩვენი ქვეყნის ელექტრიფიკაციის გრანდიოზული გეგმის (გოელრო) პრაქტიკულად განხორციელების გზაზე.

ცნობილია, რომ დიდ ლენინს ქვეყნის ელექტრიფიკაცია პარტიის მეორე პროგრამად მიაჩნდა, რომლის საფუძველზეც ჩვენში სოციალიზმის მატერიალურ-საწარმოო ბაზა უნდა შექმნილიყო.

გოელროს გეგმა პირველ რიგში ისეთი ძირითადი ეკონომიური რაიონების ელექტრიფიკაციას ითვალისწინებდა, როგორიც ცენტრალური-სამრეწველო, სამხრეთის ურალის, კავკასიის და სხვა რაიონები იყო.

აღდგენითი პერიოდის სიძნელეების მიუხედავად, 1923 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორი წლის შემდეგ, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაიწყო ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლობა. ელსადგურმა უკვე 1927 წლის 26 ივნისისათვის პირველი სამრეწველო დენი მისცა რესპუბლიკის საწარმოებს.

ზაჰესში აღმართული დიდი ლენინის ქანდაკება თავისი მომხიბლავი უბრალოებითა და ჰარმონიულობით თითქოს სიმბოლურად გამოსახავს ხალხთა ბელადის ყოვლის მძლე იდეების გამარჯვებას, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ფართო პროგრამის განხორციელებას.

**ვახტანგ ნადარეიშვილი**

# მეფის ახალი ტანსაცმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1955 წელს ფართოდ აღი◌ი◌შნება გამოჩენილი დაიელი მწერლის ჰანს ქრისტიან ანდერსენის დაბადების 150 წლისთავი.

ანდერსენი მეჩექმის შვილი იყო. პირველდაწყებითი განათლება მან თავის მშობლიურ ქალაქ ოდენსში მიიღო. შემოქმედებითი მუშაობა ანდერსენმა ადრე დაიწყო, ოცდაორი წლის ჭაბუკმა უკვე პირველი ლექსების წიგნი გამოაქვეყნა. ლექსებს მალე მოჰყვა კომედიები და რომანები.

მაგრამ საქვეყნო დიდება ანდერსენს მოუხვეჭა მისმა შესანიშნავმა ზღაპრებმა, რომლებიც მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი. ზღაპრებში განსაკუთრებული სიცხადით, დამაჯერებლობითა და მხატვრული სიმართლით გამომჟღავნდა ანდერსენის შემოქმედების დემოკრატიული ხასიათი. მისი ზღაპრების გმირები — გაუბედურებული და დაჩაგრული ღარიბ-ლატაკები — სულიერი სისპეტაკით, კეთილშობილებითა და პატიოსნებით ხასიათდებიან. ამასთან, მისი გმირების მოქმედება ვითარდება არა ჯადოსნურ გარემოცვაში, როგორც საერთოდ ზღაპრებს ახასიათებთ, არამედ სრულიად რეალისტურ, ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ვითარებაში; ანდერსენის ზღაპრების გმირები იმარჯვებენ არა ჯადოსნური იერხებითა და მანქანებით, არამედ საკუთარი ჭკუითა და მოხერხებით.

ანდერსენის ზღაპრებისთვის დამახასიათებელია მახვილი სოციალური სატირა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი საყოველთაოდ ცნობილი ზღაპარი „მეფის ახალი ტანსაცმელი", რომელიც წარმოადგენს მკაცრ დაცინვას ფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ.

**ჰანს ქრისტიან ანდერსენი** — ზღაპარი — მხატვარი **ალ. ბანძელაძე**

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჩაცმა-დახურვაზე გადამკვდარი ხელმწიფე. რაც ფული ჰქონდა, ტანსაცმელში ხარჯავდა. წარამარა აღლუმებსა და სეირნობას აწყობდა, მუდამ დღე თეატრში დადიოდა, რათა ქვეშევრდომებისათვის თავისი ახალი მორთულობა ეჩვენებინა. საათი არ გავიდოდა, რომ ტანსაცმელი არ გამოეცვალა; რა გინდა სული და გული, მას არ სცმოდეს! თუ სხვა მეფეებზე იტყოდნენ — „ხელმწიფე ვეზირებს ეთათბირებაო", ამაზე სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ — „ხელმწიფე ტანსაცმელს იცვლისო".

სატახტო ქალაქში დიდი მხიარულება ჰქონდათ. დღე ისე არ გავიდოდა, რომ უცხოელი სტუმრები არ ჩამოსულიყვნენ. ერთ მშვენიერ დღეს ამ ქალაქში ჩამოვიდა ორი ყალთაბანდი. ყალთაბანდები ამბობდნენ — გამოჩენილი ფეიქრები ვართ და ისეთ ქსოვილებს ვამზადებთ, რომ კაცის თვალი უკეთესს ვერაფერს ინატრებსო: თავისთავად ხომ ნაირნაირი ფერებითაა ნაქსოვი, და მოხატულობაც ისეთი ექნება, რომ თვალი ზედ დაგრჩებათო; ეს კიდევ არაფერი, ამ ქსოვილს სხვა კარგი თვისებაც აქვს — მისი დანახვა მხოლოდ ჭკვიან ადამიანს შეუძლია; ვერც სულელი, ვერც სამსახურისათვის გამოუსადეგარი კაცი ვერ დაინახავსო.

„ეს კი მწამს! — გაიფიქრა მეფემ, — ლამაზი ტანსაცმელიც მექნება და იმასაც გავიგებ, ჩემი ნაზირვეზირებიდან მუქთად ვინ ღებულობს ფულს, ჭკუა ვის აქვს და სულელი ვინ არის. ახლავე უნდა მოვაქსოვინო ეს მშვენიერი ქსოვილი!"

მაშინვე მოიხმო ყალთაბანდები და ქსოვილი დაუკვეთა, თანაც უბრძანა, დამიჩქარეთო.

ყალთაბანდებს დიდი ოთახი მიუჩინეს სასახლეში, რომელშიაც, მათ ორი საქსოვი დგიმი შეიტანეს და ვითომ მუშაობას შეუდგნენ; სხვებს აჩვენებდნენ ასე, თორემ ნამდვილად დგიმზე არაფერიც არ ყოფილა გადაჭიმული — არც ძაფი, არც ქსოვილი. ყალთაბანდები ყოველდღიურად თხოულობდნენ წმინდა აბრეშუმსა და ბაჯაღლო ოქროს; რასაც მიიღებდნენ, მაშინვე ჩაიჯიბავდნენ ხოლმე, მერე ცარიელ დგიმებს მიუსხდებოდნენ და დილიდან შუაღამემდე ასე უსაქმურად იყვნენ.

გამოხდა ხანი. მეფემ იფიქრა, მოდი ერთი შევამოწმო, როგორ მიდის ქსოვის საქმეო.

მაგრამ უცებ გაახსენდა ამ ქსოვილის ახირებული თვისება და, ცოტა არ იყოს, აიწურა. რაღა თქმა უნდა, არ შეშინებია; შიში რა მოსატანია! მაგრამ მაინც ის ამჯობინა, რომ ჯერ სხვას ენახა ქსოვილი.

„მოდი, ჯერ ჩემს პატიოსან მოხუც ვეზირს გავაგზავნი, — გაიფიქრა მეფემ, — ეს ხომ ნამდვილად დაინახავს იმ ქსოვილს: ჭკვიანიც არის და თანამდებობის შესაფერიც"...

მოხუცი ვეზირი ოთახში შევიდა და რას ხედავს — ცარიელ დგიმებს ორი ყალთაბანდი მისჯდომია!

„ვაი შენს ვეზირს! რომ ვერაფერს ვხედავ!"

ეს თავისთვის გაიფიქრა ვეზირმა, ხმამაღლა რას იტყოდა!

ყალთაბანდებმა მოწიწებით სთხოვეს ვეზირს, ახლო მობრძანდით და გვითხარით, ფერები და მოხატულობა როგორ მოგწონთო. ცარიელ დგიმებზე მიუთითეს.



საბრალო ვეზირმა ბევრი აცეცა თვალები აქეთ-იქით, მაგრამ ვერა დაინახა რა. რაც არაფერი იყო, რა უნდა დაენახა!

— დავიჯერო, რომ სულელი ვარ? — ჩაიდუდღუნა მან, — ამას რას ვიფიქრებდი! ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვინმემ ეს გაიგოს! იქნება ვეზირად არ ვარგივარ! არა, არა და არა, ამის გამჟღავნება არაფრით არ შეიძლება.

— რატომ არაფრის თქმას არ ინებებთ? — შეახსენა ერთმა ფეიქარმა.

— დიდებულია! — მიუგო მოხუცმა ვეზირმა და სათვალე მოიმარჯვა, — მოხატულობაც მშვენიერია და ფერებიც საუცხოო. ახლავ მოვახსენებ ხელმწიფეს, რომ დიდებული ქსოვილი დაგიმზადებიათ!

— ვცდილობთ, რაც გაგვივა! — უთხრეს ყალთაბანდებმა და თავიანთი ქსოვილის ქება-დიდებას მოხსნეს პირი.

ვეზირი დიდი გულისყურით უსმენდა, რომ შემდეგ ეს ქება ხელმწიფესთან გაემეორებინა.

იმ დღიდან მოკიდებული, ყალთაბანდები სულ უფრო მეტსა და მეტ აბრეშუმსა და ოქროს თხოულობდნენ. ძვირფასი საქონელით ჯიბეები გამოიტენეს, საქმეზე კი ერთი აგება ძაფიც არ დაუხარჯავთ.

რამდენიმე დღის შემდეგ ხელმწიფემ მეორე ვეზირი გაგზავნა ქსოვილის გასასინჯად. ამ ვეზირსაც ის დაემართა, რაც პირველს. უცქირა, უცქირა, უცქირა; გვერდიდანაც შემოხედა, ქვევიდანაც ახედა, მაგრამ ცარიელი დგიმების მეტი, მაინც ვერაფერი დაინახა.

— რას იტყვით? არ მოგეწონათ? — მიმართეს ყალთაბანდებმა და ხელები ისე გაშალეს, თითქოს მძიმე ქსოვილი უჭირავთო.

„სულელი არა ვარ, ეს ნაღდია, — ფიქრობს კარისკაცი, — გამოდის რომ თანამდებობისათვის შეუფერებელი ვყოფილვარ! ვაი ჩემს მოსწრებას! მაგრამ ნურას უკაცრავად, არ გავამჟღავნებ!"

მოხსნა პირი არარსებული, ჩინებული ქსოვილის ქებას, და არარსებული მოხატულობისათვის ხოტბის შესხმას...

— დიდებულია, ჩინებულია! — მოახსენა ვეზირმა ხელმწიფეს.

მალე მთელს ქალაქში ყველას ამ დიდებული ქსოვილის ამბავი ეკერა პირზე.

ბოლოს და ბოლოს თვით ხელმწიფეს მოეგუნება საუცხოო ქსოვილის დათვალიერება; გადაწყვიტა, მანამ დგიმიდან არ მოუხსნიათ, ვნახავო. მთელი კარისკაცებისა და დიდებულების თანხლებით ხელმწიფე ფეიქრებისაკენ გაემართა. ის ორი ვეზირიც თან ახლდა, რომლებმაც უკვე მოინახულეს ყალთაბანდები.



ყალთაბანდები ციბრუტივით ტრიალებდნენ დგიმების გარშემო და გამალებით ქსოვდნენ არარსებულ ქსოვილს.

— დიდებულია! არ მოგწონთ განა? — მიმართეს ვეზირებმა, — ერთ შეხედვად ღირს! რა ფერები, რა მოხატულობა!..

ცარიელ სივრცეში ატაკებდნენ თითებს, ასე ეგონათ სხვები ნამდვილად ხედავენო.

„ეს რა ღვთის რისხვაა? — ფიქრობს მეფე, — რატომ ვერაფერს ვხედავ! რა ღმერთი მიწყრება? ნუთუ სულელი ვარ? ან იქნებ ხელმწიფედ არ ვარგივარ! ეს კიდევ უარესი!“

სხვების გასაგონად კი სულ სხვა რამ თქვა:

— დიახ, არა უშავს რა. მოწონების ღირსია.

და კმაყოფილების ნიშნად თავი დაუქნია. ამალას თვალები დაეჭყიტა, მაგრამ იმაზე მეტს, რაც მათმა მბრძანებელმა ნახა, ისინიც ვერაფერს ხედავდნენ.

მეტი რა ჩარა იყო, მაინც უნდა ექოთ:

— ო, რა მშვენიერი რამ არის! მომხიბლავია! — და ხელმწიფეს რჩევა მოახსენეს: დღესასწაული კარზეა მომდგარი, ამ ქსოვილისაგან სადღესასწაულო ტანსაცმელი შეიკერეო.

მეფემ ყალთაბანდები ორდენებით დააჯილდოვა და კარის ფეიქრების სახელი უბოძა.

დღესასწაულის წინა ღამე ყალთაბანდებმა თეთრად გაათენეს და ბარე თექვსმეტი სანთელი დასწვეს. ხელებს ისე ამოძრავებდნენ, თითქოს დიდი სიფრთხილითა ხსნიან ქსოვილს დგიმებიდან და ვეებერთელა მაკრატლებით სჭრიანო. გამოჭრას რომ მორჩნენ, კერვას შეუდგნენ უძაფო ნემსებით.

ბოლოს დიდის ამბით განაცხადეს:

— მზად არის!

დილით ხელმწიფე, მთელი თავისი ამალით, ახალი ტანსაცმლის მოსარგებად გაემართა.

ყალთაბანდებმა ხელები ზევით ასჭიმეს, თითქოს ტანსაცმელი უჭირავთო. თან კი დიდი ფაცაფუცით ეუბნებოდნენ მეფეს:

— აბა, აქეთ მობრძანდით, თქვენო დიდებულებავ, აჰა, შარვალი, ეს კამზოლი, ესეც ხიფთანი. მართლაც რომ დიდებული რამ არის! აბლაბუდის სიმსუბუქე აქვს, ტანზე ვერც კი იგრძნობთ.

— მართლაც, მართლაც! — თავს აკანტურებდნენ მეფის მხლებლები, თუმც კი ვერაფერს ხედავდნენ; რაც არაფერი იყო, რა უნდა დაენახათ!

— ახლა კი, გახდას თუ ინებებთ და იმ დიდი სარკის წინ დადგებით, ჩვენ თვითონ ჩაგაცმევთ, — შეჰკადრეს ყალთაბანდებმა მეფეს.

ხელმწიფემ ძველი ტანსაცმელი გაიხადა. ყალთაბანდები მეფის მორთვა-მოკაზმვას შეუდგნენ: ხელების მოძრაობის მიხედვით, კაცი იფიქრებდა, ახლა შარვალს აცმევენ, ახლა კამზოლი მოარგეს და ხიფთანი ჩააცვესო; თითქოს ღილებიც შეუკრეს, ბაფთა გაუნასკვეს... მერე კი ისე გაშალეს ხელები, თითქოს სამეფო ტოგა მოასხესო.

მეფე სარკის წინ ტრიალებდა, ხან ერთ მხარეს შეათვალიერებდა, ხან მეორეს.

— რა მშვენივრად ადგია ხელმწიფეს ტანსაცმელი! როგორ უხდება! — ჩურჩულებდნენ კარისკაცები, — რა მშვენიერი ფერია! რა მომხიბლავი მოხატულობა! დიდებულია, დიდებული!

— მისი დიდებულების გავალაკი კარებთან დგას! — დიდის ზარ-ზეიმით გამოაცხადა მსახურთუხუცესმა.

— უკვე მზადა ვარ, — თქვა ხელმწიფემ, — მიხდება ტანსაცმელი?

მან კვლავ ინება სარკესთან მიბრძანება და თავისი მორთულობის ერთხელ კიდევ დათვალიერება. ბოლოს და ბოლოს, ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ იგი გულმოდგინედ ათვალიერებს ტანსაცმელს!

კამერგერებმა, რომელთაც ხელმწიფის შლეიფის ტარება ეკისრებოდათ, მოწიწებით ასწიეს არარსებული შლეიფი და თავიანთ მბრძანებელს მიჰყვნენ.

პროცესია დაიძრა.

ხელმწიფე მედიდურად ნიაბიჯებდა დიდებული გავალაკის ქვეშ, ხოლო გზის აქეთ-იქით შექუჩებული ხალხი აღფრთოვანებით ბუტბუტებდა:

— ჰოი, რა მორთულობაა! რა დიდებული მოსასხამი! როგორ უხდება!

აბა ვინ გამოტყდებოდა, ვერაფერს ვხედავო, ვის მოუნდებოდა სულელის, ან სამსახურისათვის შეუფერებელი ადამიანის სახელი მიეღო.

უცებ, სად იყო სად არა, პატარა ბიჭი გამოხტა და დაიყვირა:

— ტიტველი ხელმწიფე!

— გაიგონეთ, უმანკო ბალღი რას ამბობს! — თქვა ბავშვის მამამ, — ბავშვი ხომ ბავშვია, თავისი თანამდებობისათვის შესაფერი! ეტყობა მართალს ამბობს!

ერთბაშად ყველას მოედო ჩურჩული:

— ერთი შეხედეთ, მართლაც ტიტველია!

— ტიტველი ხელმწიფე! ტიტველი! — ერთად აღმოხდა ხალხს.

მეფე აილეწა.

„მთელი ხალხი ხომ სულელი არ იქნება! — გაიფიქრა მეფემ — ეტყობა მომატყუეს, მართლაც ტიტველი ვარ. მაგრამ გვიანღაა, ბოლომდე უნდა მივჰყვე!“

ტიტველი მეფე კიდევ უფრო გაიბღინძა და დიდებული გავალაკის ქვეშ მედიდურად განაგრძო გზა. კამერგერები კი მორჩილად მისდევდნენ და არ არსებული შლეიფი მიჰქონდათ.

თარგმნა **ვახტანგ ჭელიძემ**



# ტაშისკარის სარწყავი სისტემა

შალვა შაველაშვილი

ფოტო შ. ჩხეტიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაშისკარის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის გამრეცხ ფარებთან (მარცხნიდან მარჯვნივ): წყალთა მეურნეობის ხაშურის სისტემის სამმართველოს უფროსი გიორგი გრიგალაშვილი, ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობის მთავარი ინჟინერი გიორგი მიქელაძე და პირველი უბნის უფროსი შალვა გაჩეჩილაძე.

ხაშურისა და ქარელის რაიონების მცხოვრებთა სანუკვარი ოცნება უკვე ხორციელდება. 1951 წლიდან დაიწყო ტაშისკარის დიდი საირიგაციო სისტემის მშენებლობა.

მალე მდინარე მტკვრის დინებას შეაჩერებს რკინა-ბეტონის კაშხალი. აქედან მიიღებს წყალს მაგისტრალური არხი, რომლის სიგრძე 46 კილომეტრს უდრის.

არხის მშენებლებმა საინტერესო ისტორიული ნაშთები აღმოაჩინეს, სათავის მშენებლობის დროს, გრანიტის კლდოვანი ქანების აფეთქებისას... პიტალო კლდის ქანებს შორის იპოვეს ამ ხეობის უძველეს ბინადართა რკინის იარაღები: წერაქვები, ცულები და სხვ.

ტაშისკარის სარწყავი სისტემა თავისი ტექნიკური სიახლით არ ჩამოუვარდება ალაზნისა და მუხრანის სარწყავ სისტემებს.

არხის ტრასა ძირითადად უკვე დამთავრებულია. მთავრდება არხის სათავის რთული ტექნიკური ნაგებობების მშენებლობაც. მარტო კაშხალის მშენებლობას 2.500 კუბური მეტრი ბეტონი დასჭირდა. ამავე რაოდენობის ბეტონი დაიხარჯა წყალმიმღების მშენებლობაზეც.

კაშხალი და მისი ჩამკეტი ფარები მდინარის დონეს ორი მეტრით აამაღლებს. ეს საშუალებას იძლევა წყალი სწრაფად შეიჭრას არხში. წამში თორმეტ კუბურ მეტრ წყალს გაატარებს წყალმიმღები. ეს კი მთლიანად უზრუნველყოფს ხაშურისა და ქარელის რაიონების 12.071 ჰექტარი მიწის მორწყვას. „დოღლაურისა“ და „დედოფლის“ მინდვრებს მალე მორწყავს მტკვრის ტალღები. ქართლის ამ რაიონებში კიდევ უფრო თვალწარმტაც წალკოტად გადაიქცევა საკოლმეურნეო ბაღ-ვენახები...

— არხის სათავის წყალმიმღების ტექნიკური სიახლე, — ამბობს არხის პირველი უბნის უფროსი შალვა გაჩეჩილაძე, — იმაში მდგომარეობს, რომ წყალმიმღების რკინა-ბეტონის იატაკის ქვეშ, პირველ სართულზე, არის ორხვრელიანი დახურული ძირგამრეცხი გალერეა. ეს იმისათვის არის საჭირო, რომ წყალმიმღებში მდინარემ არ შეიტანოს ქვიშა და შლამი. ძირგამრეცხი ხვრელები გაკეთდა ინჟინერ დანელიას მეთოდით.

ამჟამად სათავის მშენებლები სწრაფად მუშაობენ კაშხალის ყრუ კედლის მარნეულის ბაზალტით მოპირკეთებაზე. ამ კაშხალის ყრუ კედელზე გადავა შეგუბებული მდინარის ზედმეტი წყალი, რომელიც არხისათვის საჭირო არ იქნება. მდინარის ჩვეულებრივი დინების დროს კაშხალზე წამში ხუთი კუბური მეტრი წყალი გადაივლის. წყალდიდობის დროს კი—შლუზის ფარებს გახსნიან.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა არხის მშენებლებმა შლუზის პირველი და მეორე სართულის მშენებლობა კარგა ხანია მოათავეს, — ახლა ისინი მესამე სართულის ნაგებობათა დასამთავრებლად იბრძვიან.

*

* *

მაგისტრალური არხი ტაშისკართან მთაგრეხილში გვირაბით გადის. გვირაბის გაყვანა ადვილი როდაა გრანიტის ქანებში!.. მაგრამ საბჭოთა ადამიანებისათვის შეუძლებელი არა არის რა. ქარელისა და ხაშურის რაიონის მშრომელებმა მოწინავე ტექნიკის საფუძველზე ეს სამუშაოც დასძლიეს. გვირაბიდან 350 მეტრის მანძილზე, ტაშისკარის პიონერთა რესპუბლიკური ბანაკის ჭიშკრამდე, არხი დახურული გალერეით მიემართება, აქედან კი ღიაა მდინარე შოლის დიუკერამდე. არხის წყალი მდინარე შოლის ქვეშ გაივლის.

— შოლის დიუკერის გამოსავალიდან, — ამბობს მთავარი ინჟინერი გიორგი მიქელაძე, — იწყება მაგისტრალური არხის პირველი განშტოება, რომლის სიგრძე 31,5 კილომეტრს უდრის, და რომელიც 5.800 ჰექტარს მორწყავს, ხაშურისა და ქარელის რაიონებში.

ამჟამად ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე მონაწილეობს 1000 კოლმეურნე, მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი.

მრავალი მოწინავე მუშა, ტექნიკოსი და ინჟინერი ჰყავს ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობას. მათგან ყველაზე უფრო სასახელოდ მუშაობენ მებეტონეები: ხცისელი ნიკო მსხილაძე, მესხეთელი კიმოთე მურჯიკნელი და მელიტონ შერეზადაშვილი, რომლებმაც არხის მშენებლობაზე 3.500 კუბური მეტრი ბეტონი ჩაასხეს; დურგლებიდან დაწინაურდნენ: ქვიშხეთელი სერგო ლაცაბიძე, მოხისელი ერმალოზ მელიქიძე, კნოლეველი გიორგი თოთლაძე და ცოცხნარელი გიორგი გელაშვილი. დურგალმა ლაცაბიძემ მუდმივი ყალიბები გამოიგონა, რომლის დანერგვამ მშენებლობას დღემდე 48.000 მანეთი დაუზოგა.

*

* *

ტაშისკარის მიწაზე, იქ, სადაც 1609 წელს ქართველმა ხალხმა გიორგი სააკაძის სარდლობით გაანადგურა თურქთა 30-ათასიანი ჯარი, — მიემართება დიდი საირიგაციო სარწყავი სისტემა. მდინარე მტკვრის ტალღები გაიჭრება ბეტონირებულ არხში, გაივლის ლომის მთის დასავლეთით მდებარე „მთაწმინდის“ გრეხილის გულს, ქვიშხეთის ველზე გაივაკებს და მრავალ განშტოებათა სარწყავი ქსელით სიცოცხლის წყაროდ მოეფინება შუაქართლის რაიონების საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღ-ვენახებს.

ეს არც ისე შორეული საქმეა: არხის პირველ შტოში მტკვრის წყალი მაისიდან დაიწყებს ჩხრიალს.

დიუკერი მდ. შოლაზე



# ძმები გრუზინოვები

ოთარ გვინჩიძე

1800 წლის 16 სექტემბერს რუსეთის იმპერატორის პავლე I ბრძანებით, დონზე, ქ. ჩერკასკში, როზგებით მოჰკლეს გვარდიის პოლკოვნიკი ევგრაფ იოსების ძე გრუზინოვი, ხოლო 7 ნოემბერს — მისი ძმა, გვარდიის პოდპოლკოვნიკი პეტრე იოსების ძე გრუზინოვი.

საბჭოთა მკვლევარი ტ. სნიტკო 1952 წელს ჟურნალ „ვოპროსი ისტორიაში" წერდა: „XVIII საუკუნის დამლევს საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში ძირითადად ხასიათდება რადიშჩევისა და ნოვიკოვის მოღვაწეობით. რასაკვირველია, ისინი წარმოადგენენ ამ მოძრაობის ცენტრალურ ფიგურებს, მაგრამ იმ პერიოდის მოწინავე თავადაზნაურობის უფრო ფართო მოძრაობა, რომელსაც, ეჭვგარეშეა, ჰქონდა ადგილი, ჯერ კიდევ მთლიანად არაა გაშუქებული. არაა შესწავლილი სიკვდილით დასჯილ პოლკოვნიკ გრუზინოვის საქმე".

არქივებში დაცულია დიდძალი მასალა, რომელიც ცხადყოფს, რომ რადიშჩევის წიგნის „პეტერბურგიდან მოსკოვში მოგზაურობის" გამოქვეყნებისა და მისი ავტორის გადასახლების შემდეგ, მეფის მთავრობა ატარებდა მთელ რიგ პოლიტიკურ პროცესებს, მიმართულს იმ პროგრესულად განწყობილ მოღვაწეთა წინააღმდეგ, რომლებიც ბატონყმური წყობილებისა და თვითმპყრობელობის დასამხობად იბრძოდნენ.

ამ პოლიტიკური პროცესების შესწავლა ჩვენს წინაშე შლის, ახალ, დღემდე უცნობ ფურცლებს, რუსეთში XVIII საუკ. დამლევს საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარების ისტორიიდან. ამჟამად, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ძმები გრუზინოვების საქმე, რომლის გაშუქებასაც შევეცდებით ჩვენს მიერ მოსკოვისა და ლენინგრადის არქივებში მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით.

ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები წარმოშობით ქართველები იყვნენ. პირადი არქივი, რომელიც ინახება გრუზინოვების შთამომავლის პეტრე ევგრაფის ძე გრუზინოვის ოჯახში (იგი ამჟამადაც მოსკოვში ცხოვრობს) მოგვითხრობს შემდეგს:

„ქვეყანა, სადაც ძველი ბერძნები იაზონის მეთაურობით ეძებდნენ ოქროს ვერძს და მას კოლხიდას უწოდებდნენ, დღევანდელი საქართველო, ჩვენი წინაპართა სამშობლო იყო.

მცირე სამეფოებად და სამთავროებად დაყოფილი ძლიერი რუსეთის იმპერიის ერთმორწმუნე საქართველო, უხვად იყო დაჯილდოებული ბუნების მიერ და წარმოადგენდა გზაჯვარედინს, რომელზედაც გადიოდა აღმოსავლეთიდან რუსეთისაკენ მიმავალი ქარავნები. სიმშვიდე და კეთილდღეობა არ ღირსებია საქართველოს. დარბეული მონგოლებისაგან, აწიოკებული თურქებისა და სპარსეთის შაჰების მიერ, იგი სისხლისგან იცლებოდა მთავართა შორის ატეხილი შინაბრძოლებით, რომელთა ნაწილი აზიური ორიენტაციის გზას დადგომოდა. მათ არ გააჩნდათ არც კეთილშობილება, არც სიყვარული თავისი ქვეშევრდომებისა და არც სიწმინდე ფიცისა. დაახლოებით 1728 წელს აზნაური რომან ნახჩივაძე ერთ-ერთ ამ ქართველ მთავრის კარზე განსაკუთრებული წყალობით სარგებლობდა. მაგრამ საკუთარ ბედნიერებას მან არჩია თავისი ქვეყნის კეთილდღეობა და გადაწყვიტა გაეკეთებინა ყველაფერი, რაც კი ხელს შეუწყობდა საქართველოში რუსეთის შემოსვლას, რომელიც ამ დროს, გაძლიერებული პეტრე I მიერ, გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობდა ურჯულო თათრებთან ბრძოლაში. აზნაურ რომანის განზრახვას მისი მთავრის კარზე მრავალი თავადი და აზნაური შეუერთდა; მაგრამ, მათი შეთქმულება გაიხსნა და აზნაურმა რომანმა თავს უშველა, თავისუფალ დონელ კაზაკთა სოფელში გაიქცა. რომანმა თან სამი მცირეწლოვანი შვილი წაიყვანა: იოსები, მიხეილი და ილია... კაზაკთა მთავარ ქალაქში, ჩერკასკში დასახლდა აზნაური რომანი, რომლის შვილებმა იოსებმა, მიხეილმა და ილიამ გრუზინოვების გვარი მიიღეს".

რომანის უფროსი შვილი იოსები „გამოირჩეოდა ჭკუითა და განათლებით. მან იცოდა ქართული, რუსული, თურქული ენები და იცნობდა მათ ისტორიას". ეკატერინე II მეფობის დროს იოსებ გრუზინოვი წარჩინებით მონაწილეობს მთავარ ბრძოლაში და იღებს პოდპოლკოვნიკობას. ჩერკასკში იოსებ გრუზინოვი ცოლად ირთავს კაზაკ ქალს აფანასიევას, რომელთანაც მას ეყოლა ხუთი შვილი: ევგრაფი, პეტრე, რომანი, ათანასე და ნიკოლოზი.

ევგრაფ იოსების-ძე გრუზინოვი დაიბადა ჩერკასკში 1769 წ. 16 წლისა იგი შედის სამხედრო სამსახურში და მალე იღებს კაზაკთა ატამანთა პოლკის ასისთავის ჩინს. „წარმოსადეგი, ტანადი, შესახედავი, გოლიათური ძალ-ღონის პატრონი, ჭკვიანი და მოხერხებული", იგი თავის მებრძოლ ამხანაგებში დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა.

1786 წელს დონის ჯარებისაგან ჩამოყალიბებულ იქნა კაზაკთა რაზმი, რომელიც ასისთავ გრუზინოვის მეთაურობით გაგზავნეს გატჩინოს, სადაც ამ დროს იმყოფებოდა რუსეთის დედოფლის ეკატერინე II მემკვიდრე პავლე, რომლის ინიციატივით, იქ ჩამოყალიბდა რაზმი 2500 ჯარისკაცის შემადგენლობით. ამ რაზმს შეუერთეს დონიდან ჩამოსულ კაზაკთა ესკადრონი, რომლის მეთაურობაც ჩააბარეს ევგრაფ გრუზინოვს.

1790 წელს იწყება რუსეთ-შვეციის ომი. რუსეთის არმიის მოწინავე რაზმებს მეთაურობს ევგრაფ გრუზინოვი. ამ ლაშქრობის შედეგები ცნობილია. რუსეთის სახმელეთო და საზღვაო ნაწილების ბრწყინვალე გამარჯვებების შედეგად, შვედები იძულებული გახდნენ უწესრიგოდ დაეხიათ უკან. „მრავალი მათგანი ევგრაფ გრუზინოვმა, მისთვის ჩვეული სისწრაფითა და მოხერხებით, მოსპო ან ტყვედ წამოიყვანა". ამ ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისათვის ევგრაფ გრუზინოვს წმიდა ანას ორდენი ებოძა.

რუსეთ-შვეციის ომის დამთავრების შემდეგ ევგრაფ გრუზინოვს ვხედავთ პოლონეთის კამპანიაში, სუვოროვის მიერ ვარშავის აღების დროს. ჩვენთვის არაა ცნობილი, თუ რა პოსტზე იმყოფებოდა ამ დროს ევგრაფ გრუზინოვი, მაგრამ 1795 წელს ფელდმარშალ სალტიკოვის მიერ გამოცემულ ბრძანებიდან ჩანს, რომ იგი ამ ბრძოლებში წარმატებით ასრულებდა საბრძოლო დავალებებს და სრულიად ახალგაზრდა, 26 წლისა იღებს პოდპოლკოვნიკის წოდებას.

1796 წელს ევგრაფ გრუზინოვი გამოძახებული იქნა არმიიდან და დაევალა კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკის დაკომპლექტება, რომლის მეთაურად მასვე ნიშნავენ. „პოლკის ჩამოყალიბების საქმეში მას დიდი წვლილი მიუძღოდა. — ვკითხულობთ კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკის ისტორიაში. — 1797 წლის 10 აპრილს ევგრაფ გრუზინოვი იღებს პოლკოვნიკის ჩინს, კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკის მეორე ესკადრონი, რომლის შეფადაც იგი იყო, ატარებდა ევგრაფ გრუზინოვის სახელს".

პოლკის უფროს ოფიცერთა შორის იყვნენ, აგრეთვე, ევგრაფ გრუზინოვის უმცროსი ძმებიც — როტმისტრი რომან გრუზინოვი და პოდპოლკოვნიკი პეტრე გრუზინოვი. ამ უკანასკნელს უკვე ჰქონდა მოხვეჭილი სახელი მრავალ ბრძოლაში. დაჯილდოებულიც იყო წმიდა გიორგის ჯვრით, ოჩაკოვის აღებისათვის, და ოქროს ხმლით რიმნიკის ბრძოლისათვის. უმოკლეს ხანში ევგრაფ გრუზინოვმა ჩერკასკიდან ჩამოიყვანა მესამე ძმა ათანასე და ჩარიცხა პორუჩიკად თავის პოლკში.

ეს დრო ემთხვევა ეკატერინე II გარდაცვალებასა და რუსეთის სამეფო ტახტზე პავლე I ასვლას. კორონაციის შემდეგ პავლე I, რომელიც თავის თავს სამხედრო საქმის „უბადლო" მცოდნედ თვლიდა, არმიაში ე. წ. „გატჩინური წესები" შეაქვს. რუსეთის არმიის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები და სამხედრო ხელოვნება პეტრე პირველისა, რუმიანცევისა და სუვოროვისა უარყოფილი იქნა პრუსიულ-ფრიდრიხული სამხედრო მუშტრის თაყვანისმცემლის მიერ. სამხედრო ნაწილების ნამდვილი წვრთნის მაგიერ, გვარდიის ოფიცრები იძულებული იყვნენ მთელი თავიანთი დრო გაუთავებელ ვახტ-პარადებში გაეტარებინათ. ბუნებრივია, რომ ეს გარემოება ოფიცერთა გარკვეულ წრეში უკმაყოფილებას იწვევდა, რაც კიდევ უფრო იმით მძაფრდებოდა, რომ პავლეს მეფობის დროს პარადის არც ერთი მონაწილე არ იყო დარწმუნებული, თუ რით დამთავრდებოდა მისთვის ვახტ-პარადი. გვარდიის ოფიცრები პარადზე საკმაო თანხისა და საცვლების მარაგით მიდიოდნენ, რადგან პარადიდან ადვილი შესაძლებელი იყო თავი ციმბირში ამოეყოთ.

ამას ზედ ერთვოდა აგრეთვე ის სასტიკი პოლიციური რეჟიმი, რომელიც საფრანგეთის რევოლუციით დაშინებულმა პავლე I დაამყარა. ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრედ იყო პავლე I, როცა როსტოპჩინი სწერდა ვორონცოვს: „უფლისწულს ყველგან რევოლუცია ელანდებაო".

პავლე I რეაქციული პოლიტიკა ლიბერალურად განწყობილ თავადაზნაურობაში და ინტელიგენციაში უკვე არა მარტო უკმაყოფილებას, არამედ აშკარა ოპოზიციასაც იწვევს და ანტირეაქციულ ბანაკში მოწინავე წარმომადგენელთა კიდევ უფრო მრავალრიცხოვან რიგებს რაზმავს.

პროგრესულად განწყობილ თავადაზნაურობის ინტერესების ერთ-ერთ გამომხატველად ამ პერიოდში გამოდის პოლკოვნიკი ევგრაფ გრუზინოვი, რომლის მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა რუსეთის საზოგადოებრივი აზრის საუკეთესო წარმომადგენლების — რადიშჩევისა და მის თანმიმდევართა პოლიტიკური იდეების ზეგავლენით.

ბატონყმური რეჟიმისადმი მტრულად განწყობილი ევგრაფ გრუზინოვი უარს აცხადებს პავლე I სპეციალური რესკრიპტით მისთვის ბოძებულ ათას სულ გლეხზე, რადგან „არ სურს მათი შრომით სარგებლობა".

პავლე პირველის ერთგული გატჩინელები არაკჩეევი, როსტოპჩინი, ლივენი, ევგრაფ გრუზინოვის სახით უკვე ხედავდნენ „რევოლუციური სენისა და იაკობინელთა სულის" გამომხატველს.

გენერალმა ლივენმა განუცხადა პავლე I, რომ პოლკოვნიკ გრუზინოვის სახით მას პეტერბურგში სახიფათო ადამიანი ჰყავდა. მან ურჩია იმპერატორს, რომ „გამოსაცდელად" გაეშვა ევგრაფ გრუზინოვი დონზე, ჩერკასკში, მშობლების ნახვის საბაბით. „როდესაც იგი თავის თავს თავისუფლად იგრძნობს, — ამბობდა ლივენი — მას მიეცემა საშუალება გამოავლინოს თავხედური ზრახვები თავისი კეთილისმყოფელის (ე. ი. პავლეს I — ო. გ.) წინააღმდეგ". 1798 წ. თებერვალს ევგრაფ გრუზინოვი გამოიძახეს სასახლეში და ფარისევლური ტონით შესთავაზეს ჩერკასკში გამგზავრება. საგზაოდ საკმაო თანხაც კი მისცეს. ევგრაფ გრუზინოვი დასთანხმდა. მაგრამ ჩერკასკში ჩასვლისთანავე იგი დონის ჯარების ატამანის, კავალერიის გენერლის ორლოვის განკარგულებით „საგანგებო ზედამხედველობის" ქვეშ აღმოჩნდა. ეს ბრძანება საიდუმლოდ იყო მიღებული პეტერბურგიდან.

ევგრაფ გრუზინოვის ჩერკასკში გაძევება თითქმის ემთხვევა პავლე I მიერ სუვოროვის დევნას, და ეჭვგარეშეა, რომ უშუალოდ ამ ამბავთანაცაა დაკავშირებული. სახელმოხვეჭილი მხედართმთავრის დევნა ძმებ გრუზინოვებში სასტიკ პროტესტს იწვევდა, რადგან, როგორც ევგრაფი, ისე პეტრე, მსგავსად ბაგრატიონისა, აღზრდილნი სუვოროვის სახელოვან საბრძოლო ტრადიციებზე, მისი უშუალო თანამებრძოლნი იყვნენ. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ევგრაფ გრუზინოვის გაძევების შემდეგ პავლე I მრისხანე ტონით განუცხადა მის უმცროს ძმას პეტრე გრუზინოვს, რომ თავისი მოქმედებით მან დაიმსახურა „როზგების ცემით ჩერკასკში გაგდება ცხენების კუდების ასაბმელად". ბუნებით ფიცხმა პეტრემ ვერ მოითმინა: „იმპერატორო, — უპასუხა მან, — მაშინ, როდესაც თქვენი უდიდებულესება თავს ირთობდით გატჩინოში თქვენი სასაცილო გვარდიით, მე სისხლსა ვღვრიდი რუსეთისათვის და დავცინოდი მტრებს ოჩაკოვის აღების დროს. ხოლო იმ ადამიანს, იმპერატორო, ვინც შესძლო რიმნიკის ბრძოლის დროს სულეიმან ფაშისათვის კვერთხის წართმევა არ შეშვენის ცხენებისათვის კუდების აბმა".

ასეთი პასუხით აღშფოთებულმა იმპერატორმა გააფთრებით შეჰყვირა, რომ თავხედისათვის აეგლიჯათ მკერდიდან ჯვრები და სახეში მიეყარათ. „ეს ჯვრები მე რუსეთმა მომცა და არა შენ, იმპერატორო", — შესძახა პეტრე გრუზინოვმა და ხმალი იშიშვლა. იქვე მდგარმა ადიუტანტებმა მას ხელები გაუკრეს. ორი საათის შემდეგ პოლიციელების თანხლებით იგი უკვე ჩერკასკისაკენ მიემართებოდა.

ჩერკასკში პეტრე გრუზინოვი, ისევე როგორც მისი ძმა, გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. შარაგზაზე დაყენებულ ცხენოსან პატრულებს ნაბრძანები ჰქონდათ ქალაქიდან უნებართვოდ არ გაეშვათ ძმები გრუზინოვები, რადგან ატამანი ორლოვი სწერდა პეტერბურგში: „არის იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ პეტრე გრუზინოვი მოლაპარაკებას აწარმოებს ჩერქეზებთან და მათი დახმარებით აპირებს კავკასიაში გაქცევასო".

1800 წლის 12 აგვისტოს, როდესაც მზის ჩასვლისას პეტრე გრუზინოვი შეეცადა ქალაქიდან შეუმჩნევლად გასვლას, იგი დაპატიმრებული იქნა. მასთან ერთად დააპატიმრეს მისი ძმა ევგრაფ გრუზინოვიც.

ევგრაფ გრუზინოვის ბრალდებასა და მის დაპატიმრებას, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად დაედო ის, რომ გრუზინოვის ბინის გაჩხრეკისას მას უპოვნეს ორი ხელნაწერი, „რომლებშიაც მოცემული იყო პოლიტიკური მოსაზრებანი, მიმართული არსებული წყობილების დამხობისაკენ".

1800 წლის აგვისტოს ატამან ორლოვის ბრძანებით ჩერკასკში დანიშნულ იქნა სამხედრო სასამართლო, ბრალდებულ გვარდიის პოლკოვნიკ ევგრაფ გრუზინოვის საქმის გასარჩევად. ამ სასამართლო პროცესის დასაჩქარებლად პეტერბურგიდან სპეციალურად გამოგზავნეს ორი მაღალი ხარისხის მქონე მოხელე. ესენი იყვნენ გენერალ-ადიუტანტი კოჟინი და კავალერიის გენერალი რეპინი, რომელთა ჩინები და მდგომარეობა საკმარისად მოწმობს იმას, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პავლე I ევგრაფ გრუზინოვის საქმეს.

ევგრაფ გრუზინოვის ხელნაწერებში მოცემული „შემაძრწუნებელი და თავხედი ზრახვები" შეიცავდნენ ორასი ათასიანი არმიის შექმნას, ახალი სახელმწიფოს დაარსებას, რომლის მართვა-გამგეობას ხელში აიღებდა სახალხო სენატი. სასტიკად აკრიტიკებდა რა, იმდროინდელ რუსეთში არსებულ სოციალურ წყობას, ევგრაფ გრუზინოვი მოითხოვდა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას. „სახალხო სენატმა, — წერდა გრუზინოვი, — უნდა შეიმუშაოს ისეთი კა-

ნონები, რომლებიც ყველასათვის მისაღები და მოსაწონი იქნება“. თავისი მსჯელობით ევგრაფ გრუზინოვი მიდიოდა შემდეგ დასკვნამდე: მომავალ საზოგადოებაში უნდა სუფევდეს მოქალაქეობრივი ერთსულოვნება, შინაგანი სიმშვიდე და კაცთმოყვარეობა. საზოგადოების ცხოვრებას საფუძვლად უნდა დასდებოდა ბრძნული კანონმდებლობა. „სენატის მიერ შემუშავებული ბრძნული კანონმდებლობა, — აცხადებდა გრუზინოვი, — უნდა იყოს მზისქვეშ მცხოვრები ყველა ხალხისათვის იმდენად სასარგებლო და მისაღები, რომ იგი არც ახლანდელმა და არც მომავალმა თაობამ არ უარყოს“. მომავალ საზოგადოებაში, გრუზინოვის აზრით, ერთხელ და სამუდამოდ შესწყდებოდა შუღლი საზოგადოების წევრებსა და სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის, აღიარებული იქნებოდა სარწმუნოებრივი თავისუფლება. მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქი „დასახლდება სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლებით, — წერდა გრუზინოვი, სახელდობრ: რუსებით, ქართველებით, ბერძნებით, კალმიკებით, ებრაელთა მცირე რიცხვით, ჩერქეზებით, თურქთა მცირე რიცხვით, რომელთა შორის სარწმუნოების ნიადაგზე მოისპობოდა ყოველგვარი შუღლი და დამყარდებოდა თანხმობა და ერთსულოვანი თანასწორობა“. ევგრაფ გრუზინოვი, ილაშქრებდა რა მაშინდელ რუსეთში არსებულ სამართლის წარმოებისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, მოითხოვდა მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლების დამყარებას. „კანონებში არის მრავალი, რაც სრულიად ზედმეტია... აზრის თავისუფლება მოითხოვს, რომ მისთვის ვერავინ ვერ შესძლოს საზღვრების დადება“.

როგორც დადგენილი იქნა სასამართლოს პროცესზე, ყოველივე ზემოთქმული დაწერილი იყო „ევგრაფ გრუზინოვის ხელით 1800 წლის აპრილს და მათი სისრულეში მოყვანა მას განზრახული ჰქონდა ახლო პერიოდში“.

ევგრაფ გრუზინოვს მტკიცედ სწამდა თავისი იდეალები. იგი იმედით შეჰყურებდა მომავალს და მზად იყო „ნათელი საქმისათვის“ მსხვერპლად შეეწირა თავი. „ჩემს მხრივ საჭიროა უდიდესი მსხვერპლის გაღება“, — ამბობდა გრუზინოვი, რადგან კარგად ესმოდა, რომ მისი მიზნების განხორციელება მხოლოდ თავგანწირული და შეუდრეკელი ბრძოლის შედეგად იქნებოდა შესაძლებელი.

სხვისი უბედურების შემსუბუქება, მეგობართა და თანამოაზროვნეთა საქმისათვის თავდადება ევგრაფ გრუზინოვის პირად საამაყო ღირსებას წარმოადგენდა. როდესაც სასამართლო კომისიის წევრებმა დაჟინებით მოსთხოვეს მას „დაესახელებინა თანამოაზროვნენი“ მან მტკიცედ და გადაჭრით მიუგო: „ჯინდა ჩამომახრჩვეთ, მე თქვენთან ლაპარაკიც არ მსურს. სხვას არ გავაუბედურებ, მე თქვენ სიმართლეს არ გეტყვით“.

სასამართლო კომისიის მუშაობა, რომელიც თითქმის მთელი თვე გრძელდებოდა, მიმართული იყო იქითკენ, რომ ევგრაფ გრუზინოვს „აეხსნა დაწვრილებით მთელი თავისი აღმაშფოთებელი ზრახვები და გამოევლინა მათი განხორციელების გზები“, მაგრამ ევგრაფ გრუზინოვი ამაყად უპასუხებდა, რომ „იგი არავითარ პასუხს არ გასცემდა, არავითარი ძალდატანების ზეგავლენით“. ევგრაფ გრუზინოვს რამდენიმე დღის განმავლობაში წყალსა და პურსაც კი არ აძლევდნენ. მაგრამ უშედეგოდ. მიცემულ კითხვებზე იგი კომისიის წევრებს პასუხის ღირსადაც არ ხდიდა.

როდესაც სასამართლო კომისია დარწმუნდა, რომ ძალდატანებით მიზანს ვერ მიაღწევდა, მან დაავალა დეკანოზ ვოლოშენსკის სასამართლოს გარეშე დაეჯერებინა გრუზინოვი, რათა მას „გულახდილად ეღიარებინა სიმართლე და მოენანიებინა ცოდვები“.

ერთ საათზე მეტს ესაუბრა ვოლოშენსკი გრუზინოვს, რის შემდეგ მან ოფიციალური პატაკი შეადგინა. „ვერავითარი მონანიების მსგავსი მე გრუზინოვის პასუხებში ვერ ვნახე, — წერდა ვოლოშენსკი, — იმშვიდებს რა თავს ჩემთვის გაუგებარი მომავლის იმედით, იგი თავის ზრახვებს არ თვლის დანაშაულად და ამიტომაც უარს ამბობს ცოდვების მონანიებაზე. მისი სიტყვებიდან გამომდინარეობს მთელი ის საშინელება, რაც უმაღლესი ხელისუფლების დამხობას მოასწავებს“.

ევგრაფ გრუზინოვის საქმის გამოძიება ბოლოს უახლოვდებოდა. ამ საქმესთან დაკავშირებით დაკითხულ იქნენ აგრეთვე პეტრე გრუზინოვი და კაზაკთა ოფიცრები აფანასიევი, კასმანინი, პოპოვი და კოლესნიკოვი — გრუზინოვის ნაცნობები. განაჩენის გამოტანის დღეს კომისიის წევრები შეეკითხენ ევგრაფ გრუზინოვს, რამ აამხედრა იმპერატორ პავლე I წინააღმდეგ ის ადამიანი, რომელსაც „მისი უდიდებულესების წყალობით მიღებული ჰქონდა პოლკოვნიკის წოდება, ორდენები და გლეხები“. მოთმინებიდან გამოსულმა ევგრაფ გრუზინოვმა მიუგო: „დაე, იმპერატორმა ჩამომართვას მის მიერ ბოძებული გლეხები. მე ისინი არ მინდა. იცით ვინ დაიმსახურა დონი? ერმაკმა. იღწვოდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის პუგაჩოვი, მაგრამ იგი მოსპეს. ასევე მოექცნენ ფოკასა და რუბცოვს. მე კი პუგაჩოვზე უკეთ მოვიქცეოდი: მახვილის ამოღება რომ მომესწრო პეტერბურგი შეზანზარდებოდა“.

1800 წლის აგვისტოში სასამართლო კომისიამ საბრალდებლო მასალები გადაგზავნა პეტერბურგს, საიდანაც დაუყოვნებლივ მოვიდა პავლე I სპეციალური განკარგულება „ჩვენი და სახელმწიფოს ღალატისათვის ვბრძანებ პოლკოვნიკ გრუზინოვს ჩამოერთვას ჩინები და აზნაურობა და შეუბრალებლად დაისაჯოს როზგებით“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევგრაფ გრუზინოვი დასაჯეს 1800 წლის 16 სექტემბერს ჩერკასკის მოედანზე. ეგზეკუციის დაწყებამდე პოლიციელები ძალით ერეკებოდნენ მოსახლეობას ამ საშინელ სანახაობაზე დასასწრებად. ეშაფოტის გარშემო იდგა ოთხი გატენილი ზარბაზანი, რომელთა ლულები ხალხისაკენ იყო მიმართული. ზარბაზნების გვერდით ჩამწკრივებულიყვნენ ბომბარდირები, ხელში ანთებული პატრუქებით. მოედანი გარშემორტყმული იყო ჯარის ნაწილებით. განაჩენის წაკითხვის შემდეგ გრუზინოვს თავზე გადაამტვრიეს ხმალი და სამმა ჯალათმა უმოწყალოდ დაუწყო მას როზგებით ცემა. ეს შემზარავი ეგზეკუცია დაიწყო განთიადისას და გრძელდებოდა დღის 2 საათამდე. ძალ-ღონე გამოლეულმა ორმა ჯალათმა ხელი უშვა როზგებს და რადგან სხვა ვერავინ ნახეს, რომ ეს საშინელი საქმე დაემთავრებინა, ევგრაფ გრუზინოვი ჩააგდეს დენთის საწყობში და ცივი წყალი დაალევინეს. სისხლში მოსვრილმა პოლკოვნიკმა მაშინვე განუტევა სული.

თვენახევრის შემდეგ ასევე მხეცურად მოჰკლეს პოდპოლკოვნიკი პეტრე გრუზინოვი. დასჯამდე ორივე ძმას მარწუხებით დააგლიჯეს ნესტოები და გავარვარებული შანთით შუბლზე და ლოყებზე დაღი დაასვეს. ამავე მოედანზე სიკვდილით დასაჯეს კაზაკთა ოფიცრები აფანასიევი, კასმანინი, პოპოვი და კოლესნიკოვი. მათ ნაჯახით მოჰკვეთეს თავები.

მოედანი, სადაც სიკვდილით იქნენ დასჯილი ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები, ხალხში დიდხანს წმინდა ადგილად ითვლებოდა, ხოლო მათ სახელთან დაკავშირებული ლეგენდა მოუთხრობდა უცნობი ხელით ანთებულ იმ ლამპარზე, რომელიც ყოველ შუაღამისას გრუზინოვთა — „თავისუფლებისათვის ამ წამებულთა“ საფლავზე აკიაფდებოდა.

ძმები გრუზინოვების საქმე ერთხელ კიდევ ნათლად მოწმობს იმას, რომ დეკაბრისტების მოძრაობა არ იყო სხვისი თეორიებისა და იდეოლოგიის გამოვლინება, შემოტანილი დასავლეთ ევროპიდან, 1813-1815 წლებში რუსეთის არმიის ლაშქრობის შედეგად. ეს რევოლუციური იდეები თვით რუსეთის სინამდვილეში არსებობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

## თან წაიღეო სალამი ჩემი

ზღვაზეც, მიწაზეც ზეცის საფირონს
მოუბნევია ქარვა და ლალი.
რკინიგზის ხაზი ზღვის სანაპიროს
ისე აჰბმია, ვით ჩონგურს — ლარი.

ლარები რაა? გზა არის ბარემ
ქვეყნის ძარღვების სადარებელი,
აგერ, გამოსცდა სოხუმის კარებს
მოსკოვის ჩქარი მატარებელი.

მოჰქრის. რომ აკრავს ცალმხრივ ბაღები,
ზღვას მიესალმა რიხით და ჭექით,
ზღვამაც ნაპირზე ანცი ბალღივით
ამოირბინა ტალღების ფეხით.

ზეაიწია ბროლის ხელები
და შეაგება მას ხმა თამამი:
— მოსკოვს — დიდ დედას ზღვის და ხმელეთის
გადაეციო ჩემი სალამი.

ზაქარია შერაზადიშვილი

## ღუმელი

რკინის ფურცლები დავთარგე,
მივდექ, მაკრატლით გავთანგე,
მკვიდრი შევკარი ღუმელი,
თავს ვევლებოდი, ვზრუნავდი,
მიჭრიდა თვალი მახვილი
და მკლავი გაუღუნველი.

ერთმა ახალმა ოჯახმა
შეიძინა და მომტაცა,
ზედ პატარძალი დაჰხარის,
მასზე ჩუხჩუხებს საუზმე,
მასზე ჩუხჩუხებს სადილი,
მასზე ჩუხჩუხებს სამხარი.

მეტი დიდება რად მინდა,
ჩემი ღუმელის კვამლითა
ოჯახი კომლად შერაცხეს,
გუგუნ-გუგუნებს ღუმელი
და იმ ნამჯისფერ პატარძალს
სტუმართან როდი შეარცხვენს.

მუდამ ციმციმებს ღუმელი,
მუდამ იფრქვევა სურნელი
და პატარძალიც ციმციმებს,
როცა დადგება ზამთარი,
ოჯახი, მისგან გამთბარი,
არაფრად აგდებს სიცივეს.

ოთარ შალამბერიძე

## მაშინ ვიფიქრებ...

როცა მერცხალი შეაკეთებს
შარშანდელ ბუდეს,
აჩურჩულდება გულთან გული,
ვით ჩიტი ჩიტთან;
თრიალეთელი მწყემსი ბიჭი
მოიხსნის გუდას
და სიყვარულზე აატირებს
ლერწამში შვიდ ხმას;
როცა ჩვილ ჩლიქებს ჩააწყობენ
წყალში შველები
და ერთი წამით დაატყვევებთ
ტყის სილამაზე;

როცა ჭალიდან სოკოები
ტანშიშველები
ქუდმოუხდელად შეჰყურებენ
ამომავალ მზეს;
როცა ბალახზე ,იციაგებს
ცვარ-ნამი ცისა
და ოქროს შუქი დაადგება
თვალუწვდენ მინდვრებს; —
მაშინ ვიფიქრებ: სადიდებლად
მიწის და მზისა,
ვერ დავწყნარდები — დიდ სიმღერას
არ დავწერ ვიდრე.



ფ. გოლუბკოვი. — პირველი ფურცელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პ. ბელოუსოვი. — ვ. ი. ლენინი კომკავშირის III ყრილობის დელეგატებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა აზერბაიჯანის 35 წელი

მიმდინარე წლის 28 აპრილს სრულდება 35 წელი აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 35 წლის მანძილზე აღორძინდა და აყვავდა აზერბაიჯანის ეკონომიკა და კულტურა, აზერბაიჯანელმა ხალხმა არნახულ გამარჯვებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.



ბაქო. ახუნდოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქო. ნიზამის სახელობის მუზეუმი.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქო. თაღი სტალინის მონუმენტით. ფერადი ფოტო მ. ალპერტისა.

აზერბაიჯანის სსრ. ბაქო. მთავრობის სასახლე.



მიხეილ ჯავახიშვილი

# [illegible]



მხატვარი ზ. ლეჟავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა შეკრული იყო.

ოციოდე სალდათს გარშემო აუარებელი ხალხი შემოხვეოდა და ამხანაგების განთავისუფლებას ყვირილითა და მუქარით მოითხოვდნენ. სალდათებს წრე შეეკრათ, შუაში ოთხი ძლიერ ნაცემი, დასისხლიანებული და მიბნედილი მუშა მიემწყვდიათ, თოფები მოემარჯვებიათ, ხიშტები წინ გამოეშვირათ და ტალღასავით წამოსულ ხალხს თვალს არ აშორებდნენ. დაბალი და გამხდარი ოფიცერი აქეთ-იქით დარბოდა, ხმალს იქნევდა და წვრილი ხმით ყვიროდა:

— შესდექით-მეთქი, თორემ გესვრით!

მაგრამ მისი სუსტი ხმა ხალხის საერთო გრგვინვაში იკარგებოდა.

სალდათები შემკრთალი იყვნენ: ფერი წასვლოდათ და გაფითრებული იყვნენ; შუბლი შეჭმუხვნილი ჰქონდათ, აქეთ-იქით გაფაციცებით იყურებოდნენ და ერთსა და იმავე დროს, თვალს არ აშორებდნენ ახლო მოსულ მუშებს, ოფიცერსაც და დასისხლიანებულ პატიმრებსაც.

ხალხი კი ზღვასავით ბობოქრობდა, გრგვინავდა, წინ იწეოდა და ერთ მუჭა სალდათებს შთანთქმას უპირებდა.

— ნუ გეშინიათ, ამხანაგებო, ნუ გეშინიათ!

ყვიროდნენ უკანანი და მოწინავეებს წინ აწვებოდნენ.

— წინ მიდით, ამხანაგებო! წინ მიდით!

— შესდექით-მეთქი, თორემ გესვრით! — ყვიროდა ოფიცერი და ისევ ხმალს იქნევდა.

— ვერ გაბედავენ, ვერ გაბედავენ! ნუ გეშინიათ, არ გესვრიან! — იმედოვნებდნენ უკანანი და განუწყვეტლივ წინ მიიწევდნენ!

ყრიამულმა და მუქარამ იმატა.

— თოფები წაართვით, თოფები!

მოწინავენი თოფებს წაწვდნენ. სალდათები შეტოკდნენ, ცოტა უკან დაიხიეს და ხიშტების ქნევა დაიწყეს.

ერთი ლურჯხალათიანი ახალგაზრდა თავის ამხანაგებს ზურგზე შეახტა და ხრინწიანი ხმით მიმართა სალდათებს:

— ამხანაგებო! ძმებო! განა თქვენც ჩვენი ამხანაგები და ძმები არა ხართ? განა თქვენც ჩვენსავით არ იტანჯებით? განა ჩვენ დაგიშავეთ რამე, რომ სროლას გვიპირებთ? ძმებო, თქვენც ჩვენისთანა დღეში ხართ, თქვენც ჩვენსავით იტანჯებით...

ოფიცრის ბრძანებით ერთმა სალდათმა მოლაპარაკეს თოფი დაუმიზნა.

ხალხი ისევ ატოკდა, აირია და წინ წაიწია.

— არ გაბედო! არ ესროლო!

— ამხანაგებო, ნუ გეშინიათ... არ გესვრის! — მოისმა აქეთ-იქიდან, მაგრამ მოლაპარაკე ჩამოხტა და ხალხში გაერია.

ხალხი სალდათებს უფროდაუფრო აწვებოდა. აქა-იქ ზოგი ხიშტებს მისწვდა. სალდათებმა ჯერ ერთი ნაბიჯი წარსდგეს უკან, მერმე მეორე, მესამე, შემდეგ უკან-უკან წავიდნენ და ერთ ალაგს შეჯგუფდნენ. ხალხი გამხნევდა, ფეხდაფეხ მიჰყვა. ოფიცერი დაიბნა, უარესად გაფითრდა, მაგრამ მაინც გარბოდა და ხრინწიანი ხმით სულ ერთსა და იმავეს ყვიროდა: — შესდექით!.. შესდექით-მეთქი, თორემ გესვრით... ღმერთმანი, გესვრით!.. შესდექით...

აფრთოვანებულმა ხალხმა იმის მუქარას ყურადღება აღარ მიაქცია, ყიჟინი დასცა, იხუვლა და სალდათებს ზედ მიაწყდა. ზოგი ხიშტს წაწვდა და ზოგი სალდათს.

— წაართვით! თოფები წაართვით, თოფები! — ყვიროდნენ ყველანი და ერთმანეთს შველოდნენ.

ერთ სალდათს, გიორგი ჯიხაძეს, ფერი აღარ ედო: გაფითრებული და ფერწასული უკან-უკან იწეოდა, მოპირდაპირეს თოფს უმიზნებდა და დაბალი ხმით იმეორებდა:

— ახლო არ მოხვიდე... არ მოხვიდე-მეთქი, თორემ გესვრი.

ერთი ახალგაზრდა, შავგვრემანი, მაღალი და ჩასხმული მუშა გიორგის ხან აქედან უვლიდა, ხან იქიდან, წამდაუწუმ ეტანებოდა ხიშტს და დაბალივე ხმით ეუბნებოდა:

— არ გაბედო... არ გაბედო, თორემ ვაი შენი ბრალი.

ორივენი ერთმანეთს თვალებში ჩასცქეროდნენ და ურთიერთის მოძრაობას გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს.

— არ გაბედო! — ერთხელ კიდევ გააფრთხილა მუშამ და უცებ გადმოხტა, ორივე ხელი თოფს სტაცა, გაიწია და გიორგი თოფიანად გაითრია წრიდან. ეს ამბავი ისე უცებ მოხდა, რომ გიორგიმ ველარაფერი მოახერხა: მხოლოდ თოფს ეჭიდებოდა, უცნობ მუშას შიგ თვალებში ჩასცქეროდა და ჩურჩულებდა:

— ხელი გაუშვი, თორემ გესვრი... ღმერთმანი, გესვრი...

მუშა ყურსაც არ უგდებდა და თოფს თავისკენ ეწეოდა. მას სხვებიც წაეშველნენ და გიორგის დაეხვივნენ: ზოგმა ხელები დაუჭირა, ზოგმა ფეხში ფეხი გადაუხლართა, ზოგმა თოფს ჩასჭიდა ხელი.

საერთო ყრიამულმა იკლო, სალდათები და მუშები ერთმანეთში აირივნენ, აქა-იქ ლანძღვა და მუქარა ისმოდა.

უცებ გიორგის თავში რაღაც მოხვდა: თავბრუ დაესხა, თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა, ფეხებში მიწა გამოეცალა, შუბლზე დასთბა, წაბარბაცდა და ამავე დროს იგრძნო, რომ მისი თოფის ბოლო რბილ რაღაცაში ჩაიფლო. მერე იქვე ვიღაცას კვნესა მოისმა. გიორგის მუხლი მოეკვეთა და ჩაეკეცა, ადგომა უნდოდა, მაგრამ თავი ველარ აიტანა, გრძნობდა, რომ იმის გარშემო რაღაც ამბავი ხდებოდა, მაგრამ თვალები რაღაც სითხით ჰქონდა მოსვრილი და ვერაფერს ვეღარ ხედავდა. იქვე სადღაც ცხენების თქარათქური და ყრიამული ისმოდა. ამ საერთო ხმაურობას უცნობის კვნესა და ვიღაცის წივილ-კივილი არღვევდა, და გიორგისაც იმ ჟამად მხოლოდ მკვნესარე ადამიანის დანახვა და მისი ამბავის გაგება უნდოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ამხანაგები იღლიაში შეუსხდნენ დაააყენეს. გიორგიმ თვალები მოიწმინდა. მიიხედ-მოიხედა და გონს მოვიდა: იქვე იმის ფეხთით ის მუშა ეგდო, რომელიც წეღან თოფს ართმევდა. მუშა პირქვე იწვა, ფართხალობდა და ბღუოდა. იმის გვერდით ვიღაც მოხუცი დედაკაცი ჩაჩოქილიყო, თავპირში ხელებს იცემდა და ტირილით მოსთქვამდა:

— ვაიმე შვილოოო! ვაი შენს დედასა!... მიშველე-ე-ეთ...

ცოტა მოშორებით სალდათები შეჯგუფებულიყვნენ და დედაკაცს სიბრალულით დასცქეროდნენ. ქუჩის ბოლოში ხმალამოღებული ყაზახები ცხენებს დააჭენებდნენ და ყვიროდნენ. მოხუცმა დედაკაცმა მოსულიერებული გიორგი დაინახა და ხმას უმატა:

— ეგ მარჯვენა მოგტყდეს, შვილო-ო-ო! რა დაგიშავა ამ უბედურმა, შე გვირგვინ-გასაშავებელო, შენა-ა-ა...

პოლიციელებმა ოფიცრის ბრძანებით დედაკაცს ხელი დაავლეს და ზევით წაიყვანეს. დედაკაცი არ მისდევდა, ძალაზე იდგა, ხელებს იქნევდა, მიწაზე წვებოდა, იწყევლებოდა, იმუქრებოდა. პოლიციელებმა ძალით გაათრიეს და მალე სახლის კუთხეს მოაფარეს. იქიდან კიდევ კარგა ხანს ისმოდა მისი წყევლა-კივილი. ბოლოს ისიც მისწყდა და ირგვლივ რაღაც არაჩვეულებრივი სიჩუმე ჩამოვარდა.

გიორგიმ იქვე მწოლარე მუშას გადახედა. ის აღარ კვნესოდა. გულაღმა იწვა და აღარინძრეოდა. ხელ-ფეხი განზე ჰქონდა გადაყრილი. თავი გიორგისკენ მოებრუნებინა, ერთი თვალი დაეხუჭნა, მეორე კი პირდაპირ გიორგისთვის ჩაერჭო თვალში. ორივე ხელი, კისერი, პირისახე და მკერდი სისხლით ჰქონდა მოსვრილი.

გიორგიმ თვალი მოარიდა და მიბრუნდა, ის იქვე მახლობლად მაღაზიაში შეიყვანეს და თავი შეუხვიეს. იქიდან რომ გამოდიოდა, ერთხელ კიდევ გაიხედა იქითკენ და დაინახა, რომ მუშას ზედ ორი ცარიელი ტომარა ჰქონდა გადაფარებული.

ოფიცერმა გიორგი ყაზარმაში გაგზავნა და თან ერთი სალდათი გააყოლა, თავი ძალიან სტკიოდა, მაგრამ საავადმყოფოში მაინც არ დაწვა.

ყაზარმაში იმ საღამოს სულ გიორგიზე იყო ლაპარაკი. ხან ერთი მივიდოდა იმასთან და ხან მეორე. ის კი უსიამოვნოდ იჭმუხნიდა შუბლს, იბღვირებოდა, ხმას არავის სცემდა და ყველას ერიდებოდა. თავი რომ მოაწყინეს, გარეთ გამოვიდა და, თავჩაღუნულმა, ეზოში დაიწყო სიარული. მაგრამ რაკი ნახა, რომ იქაც არ ასვენებდნენ და წამდაუწუმ წარსულ ამბავზე ელაპარაკებოდნენ, პატარა ბაღში შევიდა და ერთი ხის ქვეშ გულაღმა დაწვა მწვანეზე.

დაღამდა. თბილი და წყნარი საღამო იყო. ნელი ნიავი ჰქროდა და ფოთლებს

ოდნავ აშრიალებდა. ყაზარმიდან ყვირილი და ურიამული მოისმოდა. დაბლა ხევში მთების შუა მომწყვდეული და ათასი სანთლით მოჭედილი ქალაქი ხმაურობდა, და ეს გარკვეული ხმაურობა ხან ძლიერდებოდა, ხან სუსტდებოდა, ხანაც თითქმის სულ სწყდებოდა. ხანგამოშვებით შორიდან ორთქლმავლის სტვენა და მატარებლის რახუნი მოისმოდა.

გიორგი დიდხანს იწვა გაუნძრეველი, იმ უბედურ ამბავს იგონებდა და ვერ გაეგო, როგორ მოუხდა ყველაფერი და როგორ შემოაკვდა ის კაცი. იმის მოკლა აზრადაც არ გაუვლია? სადაური იყო, ვინ იყო, რა იყო? იცნობდა ის გიორგის? ან გიორგი იცნობდა მას? მერმე ის მოხუცი დედა მაინც არ ჰყოლოდა! უეჭველია, იმ მუშის დედა იქნებოდა. რა გამწარებული სწყევლიდა გიორგის!

თავის დედა მოაგონდა და მოკლული მუშის მაგივრად თავის თავი წარმოიდგინა, მოხუცი დედაკაცის მაგივრად კი თავის დედა და... გული ეტკინა, გააურუოლა, თვალებზე ცრემლი მოაწვა. მერმე თავის სოფელი, მოხუცი დედა, უმცროსი ძმა, სახლ-კარი, ყანა და საქონელი მოაგონდა. მოაგონდა და წარმოიდგინა, ვითომ ის მოეკლათ, იმის დედა და პატარა ძმა კი ობლად დარჩენილიყვნენ. სახლ-კარი აუოხრდა, საქონელი გაეყიდა, ადგილი ვიღაცამ წაართვა. უპატრონოდ დარჩენილსა და აკლებულ ოჯახს აღარც ნათესავი შველოდა, აღარც მეზობელი. ბოლოს, როცა ყველაფერი გაეყიდათ, უმცროსი ძმა სამ თუმნად დადგა მოჯამაგირედ, დედამ კი პურის მცხობლობა დაიწყო.

მეორე დღეს მისი საუკეთესო მეგობრები — მცხეთელი არჩილა, დუშელი მიხა და კასპელი ვანო — გულცივად დაუხვდნენ, ცერად დაუწყეს ცქერა და, თითქო გიორგის მტრები არიანო, ერიდებოდნენ და შორიშორს უვლიდნენ. გიორგიმ ეს ამბავი მაშინვე შენიშნა და გული მოუკვდა: უფრო დაღონდა, გაგარეულდა, აღარავის მიეკარა და საღამომდე მარტო დადიოდა. მთელი დღე მოსვენება არა ჰქონდა. სრული სამი წელიწადი იყო სალდათად, და შინაურებზე, მშობლებზე და სოფელზე იშვიათად ფიქრობდა, იმ დღეს კი სოფელი, დედა, ძმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახლ-კარი თავიდან არ შორდებოდა. საღამოზე, სანამ ლოცვას წაიკითხავდნენ, მანამ მცხეთელი არჩილა გაიხმო განზე და საიდუმლო კილოზე ჰკითხა:

—იცი, რა... იმ კაცის სახლი ხომ არ იცი... ხომ არ იცი, სად ცხოვრობდა, ის კაცი?..

— ვინა? — მკვახედ ჰკითხა არჩილმა.

— აი ის ბიჭო, მე რომ შე... შემომაკვდა.

— მე რა ვიცი! — მიუგო არჩილმა და მოშორდა.

გიორგის იმ დღესაც გვიან დაეძინა.

ორი დღის შემდეგ როტის უფროსმა დაუძახა, კარგა ხანს რაღაცაზე ელაპარაკა, ბოლოს „ერთგული სამსახურისათვის“ მადლობა გადაუხადა და ერთი თუმანიც აჩუქა. თუმცა გიორგიმ რუსული იცოდა, მაგრამ უფროსის ნალაპარაკევისა, თითქმის ვერაფერი გაიგო. ის მხოლოდ მიხვდა, რომ უფროსმა შეაქო, საქციელი, მოუწონა, სამხედრო მოვალეობა და ხელმწიფის ფიცი მოაგონა, მერმე ზოგ საეჭვო ამხანაგზე გადაუკრა სიტყვა, გააფრთხილა და გამოისტუმრა.

მეორე ოფიცერიც იქვე იდგა, იღიმებოდა და თითქო უფროსის ნალაპარაკევს იმეორებსო, თანხმობის ნიშნად განუწყვეტლივ თავს იქნევდა.

გამოვიდა თუ არა გარეთ, იქვე კიბესთან გაჩერდა: გულზე მოეშვა, ცივმა ოფლმა გადაუარა და თავისუფლად ამოისუნთქა. ოქროს თუმნიანს კარგა ხანს ატრიალებდა ხელში და არ იცოდა ამდენი ფული რისთვის მისცეს. ისეთი გრძნობით იყო შეპყრობილი, თითქო ეს ფული ქუჩაში ეპოვნა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, არ იცოდა, ვის დაეკარგა ეს ფული, ვინ იყო იმის პატრონი, სად ცხოვრობდა. როგორ ეპოვნა იმის ბინა, ან ვისთვის გადაეცა ის, რაც იმას არ ეკუთვნოდა.

ამხანაგები მაშინვე შემოეხვივნენ და ლაქუცი დაუწყეს. უცებ ბევრნი დაუმეგობრდნენ და ისე ევლებოდნენ გარშემო, თითქო გიორგი მათი ძვირფასი ძმა და დიდი ხნის უნახავი ნათესავი ყოფილიყო... ზოგი „სემიჩკის“ ფულს ესესხებოდა, ზოგი — დაპატიჟებას, ზოგი — ერთად გასეირნებას, ზოგი იმ ფულის შენახვას ურჩევდა და დანარჩენი ამხანაგებისგან იცავდა. გიორგი ერთსაც უსმენდა და მესამესაც. მაგრამ პასუხს არავის აძლევდა, ბოლოს თუმნიანი გლეხურად გამონასკვა ხელსახოცში, ჯიბეში ჩაიდო და თავჩაღუნულმა გასწია ყაზარმისკენ.

საღამოს ჟამზე გიორგი და ორი სხვა სალდათი ნაძალადევში გაგზავნეს სადარაჯოდ. სამივემ თოფები გაიდო მხარზე და გზას გაუდგნენ.

მზე ჩასვლას იყო. აქა-იქ ლურჯხალათიანი მუშები, დედაკაცები, ბავშვები ირეოდნენ, ზოგნი ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ, ზოგნი — კენტად, ზოგნი სახლების კარებთან იდგნენ და ლაპარაკობდნენ. სალდათებს ყველანი ცერად უყურებდნენ და უბღვეროდნენ. ზოგნი ზიზღით ათვალიერებდნენ, ზოგნი კი შიგ თვალებში უცქეროდნენ და აშკარად ემუქრებოდნენ. გიორგი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე გრძნობდა ამას და გული სტკიოდა. სწყინდა და იმავე დროს რცხვენოდა კიდეც. მას ეგონა, თითქო ყველა მუშამ, დედაკაცმა, ბავშვმა და გამვლელმა იცოდა, რომ მას კაცი შემოაკვდა; გრძნობდა ამას და არ იცოდა, საით

გიორგიმ ეს სურათი წარმოიდგინა და გული აუჩუყდა, მაგრამ მაშინვე მოაგონდა, რომ ეს ტყუილი ამბავია და ოდნავ დამშვიდდა.

შორიდან ფეხის ხმა მოისმა. იმისკენ ვიღაც მოდიოდა: ცოტა ხნის შემდეგ გიორგისთან მისი ამხანაგი თელაველი პეტო მივიდა და გაკვირვებით ჰკითხა:

— გიორგი, შენა ხაარ?

გიორგიმ ხმა არ გასცა.

— ბიჭო, ე რა დაგემართა? — საყვედურით ჰკითხა პეტომ და იქვე ჩამოჯდა.

— მე რა ვიცი, რა დამემართა! — გაჯავრებით მიუგო გიორგიმ.

— ბიჭო მართლა კაცი შემოგაკვდა? — საიდუმლოებით იკითხა პეტომ და სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — შენ გეკითხები.

— შემომაკვდა... — ჩუმად მიუგო გიორგიმ და უცებ გაბრაზდა: — ეხლა რა ვუყო! მერე რა ვუყო რომ შემომაკვდა?! რა ჩემი ბრალია, რომ შემომაკვდა?.. ჯერ უნდა გაიგო და ისე ილაპარაკო!

— მერე რა გაჯავრებს, შე კაი კაცო!

— არაფერი არ მაჯავრებს, რა უნდა მაჯავრებდეს! — უფრო დინჯად მიუგო გიორგიმ. წამოდგა და წავიდა.

ლოცვის შემდეგ ისევ ბაღში შევიდა. უცებ მარტოობისა და სიბნელის შეეშინდა, ისევ ეზოში გაბრუნდა და კარგა ხანს თავჩაღუნული გარშემო უვლიდა ყაზარმებს. როცა ყაზარმებში ხმაურობა მიწყდა, ფეხაკრეფით აიპარა ზევით, ქურდივით შევიდა თავის საწოლში, საჩქაროდ გაიხადა, ხმელ ლოგინში ჩაწვა, თავზე საბანი წაიხურა და თავისუფლად ამოისუნთქა.

მამლებმა მეორეჯერ იყივლეს, მაგრამ გიორგი ისევ ლოგინში ტრიალებდა და განუწყვეტლივ მოკლულ მუშაზე, მოხუც დედაკაცზე, თავის დედაზე, ძმაზე და სახლ-კარზე ფიქრობდა.

მიებრუნებინა თავი და სად დამალულიყო. მას უნდოდა ერთ-ერთ ჯგუფთან მისულიყო, თოფი დაბლა დაეშვა, ქუდი მოეხადნა, ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა, თავი გაემართლებინა, მაგრამ ვერ ბედავდა, რცხვენოდა. მან კარგად იცოდა, რომ ენა დაებმებოდა, ვერაფერს იტყოდა, ვერაფერს გააგებინებდა და ბოლოს უეჭველად შერცხვებოდა.

ხშირად თავის ამხანაგებს დიდ მანძილზე ჩამორჩებოდა ხოლმე, მერმე ისევ დაეწეოდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაუვარდებოდა და ხან უწყვეტლივ იცქირებოდა აქეთ-იქით, ყველაფერს ათვალიერებდა, გამვლელ-გამომვლელს სინჯავდა და ვიღაცას დაეძებდა.

ცოტა ხნით ერთი სახლის კუთხეში შეისვენეს. ორმა ახალგაზრდამ სალდათებს გვერდზე გაუარა, ჩაათვალიერეს, მერმე შორიახლოს შეჩერდნენ, რაღაცაზე მოილაპარაკეს და უკანვე დაბრუნდნენ.

— გამარჯობა, თქვენი! — მიესალმნენ სალდათებს და გვერდით ამოუდგნენ.

— გაგიმარჯოთ, ძმებო! — სიხარულით მიუგო გიორგიმ და ახლო მიიწია.

— ამოდენა სიარულით არ დაიღალეთ? — ჰკითხა ერთმა.

— დავიღალენით, მაგრამ რა ვქნათ? რასაც გვიბრძანებენ, უნდა ავასრულოთ. რა ვუყოთ? — და კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მეორე სალდათმა უცნობებს შეუტია:

— **Проходи! Не приказано разговаривать!** — გაიარე! ლაპარაკის ნება არა გვაქვს.

უცნობმა მეგრულ კილოზე გაუბა ლაპარაკი, მაგრამ იმ სალდათმა თოფი მოიმარჯვა და გააწყვეტინა:

— **Проходи, говорят тебе!** — გეუბნები, გაიარე-მეთქი!

მუშებმა ზიზღით გადახედეს სამივეს, სიბრალულის ნიშნად თავი ჩაიქნიეს და ზლაზვნით წავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ სალდათებიც გზას გაუდგნენ. გიორგი ისევ ჩამორჩა და გამვლელ-გამომვლელს გადამეტებული ცნობისმოყვარეობით დაუწყო თვალიერება. ერთ ალაგას ოთხიოდე მუშა იდგა. გიორგიმ ყველას გადახედა, მერმე ერთ მათგანს დააშტერდა და... იცნო. სწორედ ის მუშა ეცა იმ დღეს უკნიდან და ხელები გადაუგრიხა. გიორგი შეჩერდა და თავის ამხანაგებს გადახედა. ისინი ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ ქვევით და გიორგის ჩამორჩენას ვერ ამჩნევდნენ. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ორივენი მიიმალნენ, გიორგი პირისპირ მიადგა იმ მუშას და ჰკითხა.

— შენ ხომ არ იცი იმ კაცის დედა სად ცხოვრობს... აი, იმ კაცისა, რომელიცა რომა... რომელიც გუშინწინ ვაგზალთან მოჰკლეს?

— ვიცი, მერე შენ რა გინდა?

— მინდა... ძალიან დიდი საქმე მაქვს და, თუ ღმერთი გწამს, მაჩვენე.

— წამოდი, — მოკლედ მიუგო მუშამ და წინ გაუძღვა. ერთი ქუჩა გაიარეს, მარცხნივ შეუხვიეს და ცოტა ხნის შემდეგ ერთ დაბალსა და ძველ სახლს მიადგნენ. გიორგიმ ეზოში შეიხედა და შედგა. გული აუტოკდა, ფეხები აუკანკალდა, სახეზე ალმური აუვიდა და შეშინდა. იქ დერეფანში ის დედაკაცი დაინახა, რომელიც გუშინწინ მოკლულ მუშას დასტიროდა და გიორგის სწყევლიდა.

— აგერ ის არის, — უთხრა მუშამ და გაბრუნდა.

შავებში ჩაცმული დედაბერი სამოვარს უვლიდა. გიორგი ეზოში შევიდა და არეული ნაბიჯით გასწია იმისკენ. გულმა უარესად დაუწყო ცემა, სახეზე დასცხა, აირია და დაიბნა.

გიორგი მოხუცის წინ იდგა, ხელში თუმნიანს ატრიალებდა. ტოკავდა და სიტყვებს ეძებდა, მაგრამ ენა დაება, ხახა გაუშრა და აღარც აზრი ემორჩილებოდა.

— აი... შენია... ეს თუმანი შენია, — ხმის კანკალით წაილუღლუღა და თუმნიანი გაუშვირა.

დედაკაცს გამოშვერილი ხელი ჰაერში დარჩა. გაკვირვებული უყურებდა გიორგის და არაფერი ესმოდა.

— შენია-მეთქი, შენ გერგება — იმეორებდა გიორგი და ერთ ადგილზე ტოკავდა. მერმე გაბედა და უთხრა: შენი შვილი... გუშინწინ შენი შვილი, — და უცებ სხაპასხუპით დააყარა: — ღმერთმანი, დედი, ღმერთმანი ჩემი ბრალი არ იყო, დედა მომიკვდეს თუ უცაბედად არ მომსვლოდეს... ჩემი ბრალი არ არის... ღმერთმანი: ჩემი ბრალი არ არის...

მოხუცი მიუხვდა, წელში გასწორდა და აინთო.

— უიმე, შენ გაგიხმეს ეგ მარჯვენა, შენა! — და უცებ ჩაიჩოქა, ხელები პირისახეზე მიიფარა და ტირილი წასკდა. — რას გერჩოდა ის უბედური, შე პირშავო, შენა-ა-ა... რა დაგიშავა, შე არ გასახარელო-ო-ო... გვირგვინი გაგიშავდეს და ნულა მიუხვალ შენს პატრონს ცოცხალი-ი-ი...

გიორგიმ აღარ იცოდა, რით ენუგეშებინა, ან როგორ გაქცეულიყო: თუმნიანი დაეტოვა და წასულიყო, თუ დარჩენილიყო და თავი გაემართლებინა.

— შე უბედურო, რა გრჯიდა?.. — მოსთქვამდა მოხუცი და თავს იქნევდა. — რად დაგვტოვე ობლები უპატრონო-ო-ოდ! ვიღა მოუვლის შენს უბედურს დედა-ა-ას!..

ოთახიდან ოთხიოდე წლის ბავშვი გამოვიდა, ცოტა ხანს მომტირალ დედაკაცს უყურა, მერმე თვითონაც მოიწმინდა ცრემლები, უცებ ხმამაღლა ატირდა და დიდედას მივარდა. მან ხმას უმატა.

— უიმე, შვილო-ო, რაღა ვქნა-ა-ათ... ვიღა გვიშველი-ი-ის, ვიღა შეგვინახა-ა-ავს!..

გიორგიმ თოფი დააგდო, დედაბერის წინ ჩასკუპდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო:

— დედიჯან... დაოჯან... შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, დედიჯან.

— შენ გაგიხმეს, შვილო, ეგ პირი-ი-ი.. შენ გაგიხმეს ეგ მკლავი-ი-ი. როგორ გაიმეტე შე პირქუშო, შენა-ა-ა...

— მეც მათქმევინე-მეთქი, დედი... იქნება ჩემი ბრალი არ იყო. იქნება დამნაშავე არა ვარ!..

დედაკაცმა წყევლას თავი დაანება და მხოლოდ ხმამაღლა ტიროდა. მერმე თანდათან ტირილსაც დაუკლო და თავსახვევის კუთხით ცრემლები მოიწმინდა.

— რაღა ვქნა-ა-ა... რაღა ვქნა მე უბედურმა-ა-ა?! ვიღა მომივლის!.. ვიღა გამიზრდის ნიკოსაა!

— დედა არ მომიკვდეს, მამა არ წამიწყდეს, ზიარება არ შემერგოს, — ფიცულობდა გიორგი და გულში ხელს იცემდა, შხამად ამომივიდეს დედის რძე, თუ ჩემი ბრალი ყოფილიყო!

— უიმე, ნიკოჯან! უიმე, უიმე-ე-ე! — მოსთქვამდა დედაკაცი და შეშინებულ ყმაწვილს თავზე ხელს უსვამდა.

— ჯერ იყო და მუშტი შემომკრა. მერე ქვა დამარტყა და თავი გამიტეხა. მე მაინც მოვუთმინე და სულ იმას ვუყვიროდი: ბიჭო, თავი დამანებე, მომშორდი-მეთქი, თორემ მოთმინება აღარ მაქვს-მეთქი; მაგრამ არ მომეშვა და არა! არ იქნა და არა! ვერ მოვიშორე და ვერა! მერე ორნი დამეხვივნენ და ცხვირ-პირში წამიშინეს...

— უი, შე საცოდავო, შენა! რომელმა ეშმაკმა შეგაცდინა, ვინ გაგაბრიყვა შე საბრალოვ, შენა-ა...

— რო წამომიშინეს, მეც გავმწარდი, თვალებიდან სულ ცეცხლი მცვიოდა, მაგრამ მე მაინც სულ იმას ვეუბნებოდი, ბიჭო, რას მერჩი, რა დაგიშავე-მეთქი?

— უიმე, უიმე-ე-ე..— ნახევარი ხმით იძახოდა დედაკაცი და თავს ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ იქნევდა.



— მერე ერთმა თოფს გასწია და მეორემ ყელში წამიჭირა. იმან იქით გასწია, მე აქეთ. მერე უცებ თვალთ დამიბნელდა, წავიქეცი და ამ დროს არ ვიცი, როგორ მოხდა, „შტიკი“ მუცელში მოხვდა და ისიც წაიქცა... აი... აბა... აბა შენ თვითონ თქვი, ჩემი ბრალია? ჩემი ბრალია-მეთქი?

დედაკაცმა წყნარი სლუკუნი ამოუშვა და წაიჩურჩულა:

— რა ვიცი, რა ვიცი, ჩვენ კი უპატრონოდ დავრჩით და ვინ იცის, ვისი ბრალი იყო...

— ზიარებას გეფიცები, ჩემი ბრალი არ იყო, აბა ეხლა შენა თქვი, ჩემი ბრალი იყო თუ არა? ჰა, იყო თუ არა? თქვი, იყო თუ არა?

— რა ვიცი, — წყნარად მიუგო მგლოვიარემ და გიორგისაც გულზე მოეშვა: კილოზე მიუხვდა, რომ მას აღარ ამტყუნებდნენ, რომ ის მართალი იყო და ის უბედურება უცაბედად მოუვიდა.

მერმე ორივენი გაჩუმდნენ. გიორგის რაღაც მოუსვენრობა დაეტყო. თუმნიანს ხელში ატრიალებდა და აქეთ-იქით მოუსვენრად იცქირებოდა. შემდეგ გაბედა, თუმნიანი დედაბერს გაუშვირა და წაილუღლუღა:

— აჰა, დაიჭი... აიღე... მეტი არა მაქვს, თორემ მოგცემდი... დაიჭი-მეთქი, გამოგადგება.

დედაკაცი წამოდგა, ჯერ თუმნიანს შეხედა, მერმე გიორგი შეათვალიერა, ისევ თუმნიანს დაუწყო ცქერა და შუბლი შეიჭმუხნა, წელში გასწორდა, და ქვევითა ტუჩმა თრთოლა დაუწყო.

— უი შე უსინდისოვ, შენა! შენ გაგიხმეს ეგ მკლავი, შენა! ნულა მიუხვალ ცოცხალი დედაშენსა, შე პირშავო, შენა! — და უცებ ისევ გული ამოუჯდა, ხმა აუკანკალდა, თვალებიდან ლაპალუპით წამოუვიდა ცრემლი, ჩაიკეცა და ხმამაღლა დაიწყო ტირილი. პატარა ბავშვიც შეშინდა, თვალების ბლეტა დაიწყო, ტუჩები ააცმაცუნა და მოხუცის კალთას ტირილით შეაფარა თავი.

გიორგი ისევ დაიბნა და აღარ იცოდა, რა ეთქვა, როგორ აეხსნა დედაბერის მოულოდნელი გაჯავრება.

— როგორ ბედავ, შე პირშავო, შენა-ა-ა... უიმე, შვილო, სადა ხა-ა-არ..

— უკაცრავად... მშვიდობით... მშვიდობით იქავით, — ლუღლუღებდა დაბნეული გიორგი და უკან-უკან იწევდა.

— შენ გაგიხმეს ეგ ენა და ფეხები, შე პირქუშო! — იწყევლებოდა მოხუცი და თანდათან უმატებდა ხმას.

— უკაცრავად... უკაცრავად... — გაიმეორა გიორგიმ და ალაყაფის კარებს მოეფარა.

მზე დიდი ხნის ჩასული იყო. გალმა მამადავითის მთა, სოლოლაკი და მტკვრის ორივე ნაპირი ბინდბუნდით იყო მოცული. მარჯვნივ — ჩრდილოეთით დიღმის მინდორი მოჩანდა. იმის უკან შავად მაღალი ქედი იყო აღმართული. თბილი და წყნარი საღამო იყო. მეტეხის ციხის უკან უშველებელი წითელი ბურთი ამოგორებულიყო და თავის გარშემო ბაკმიც წითლად შეეღებნა...

გიორგიმ ლასლასით გაიარა პატარა მანძილი და იქვე არხის პირას ჩამოჯდა. ფეხები უკანკალებდა, შუბლზე თითქო ჭიანჭველები დადიოდნენ, რაღაც ულიტინებდა და გულზეც ვიღაც სჩქმეტდა. ცოტა ხნის შემდეგ დამშვიდდა, ადგა და მიიხედ-მოიხედა. თავის ორი ამხანაგი სალდათი მოაგონდა, მაგრამ მაშინვე დაავიწყდა. მერმე ზედაზნის ქედისკენ მიიხედა და უცებ საოცარი სინამდვილით დაუდგა თვალწინ ასეთივე წყნარი და მშვენიერი საღამო თავის სოფელში, რომელიც მშვენიერი მდინარის ნაპირზე იყო გაშენებული; თვალწინ დაუდგა ბღავილით მომავალი საქონელი, პატარა მეხრეები, სამუშაოდან დაბრუნებული მეზობლები; თვალწინ გადაეშალა თავის სახლ-კარი, ეზო, პატარა ბაღი, დაფაცურებული დედა. უმცროსი ძმა, და გული აუტოკდა, თვალებზე ცრემლი მოაწვა. საშინლად მოუნდა თავის სოფელში, თავის საკუთარ სახლში ყოფნა, დედისა და მეზობლების ნახვა, მათთან ბაასი, მათთან ერთად მუშაობა, ცხოვრება და ულლის თანაბარი გაწევა. დიდი ხანია, რაც გიორგი გაპარვას ფიქრობდა, მაგრამ ვერ ბედავდა. დღეს კი იმისთვის სულ ერთი იყო: ეხლა ის თავისუფლად გრძნობდა თავს, გული რაღაც აღელვებული ზღვით ჰქონდა სავსე და თავის სოფლისა, სახლ-კარისა და



დედის ნახვის გარდა აღარაფერზე ფიქრობდა.

დიდხანს იდგა ჩაფიქრებული, მიყუჩებული და კვლავ ზედაზნის ქედს მისჩერებოდა. მერმე თუმნიანი მოაგონდა; ჯიბიდან ამოიღო, ქურდულად გასწია დედაბერის ბინისკენ, მივიდა, ალაყაფის კარებთან გაჩერდა და ჭუჭრუტანაში შეიხედა. ეზოში არავინ იყო. კარი შეაღო, თუმნიანი სახლის კარისკენ გაისროლა და გამოიქცა. კარგა ხანს ირბინა, ნაძალადევის ბოლოშიღა შეჩერდა, დაჯდა, შუბლიდან ოფლი მოიხოცა და შეისვენა. ეხლა აღარაფერზე ფიქრობდა, მან არ იცოდა, სად გაათენებდა იმ ღამეს, სად იშოვიდა საჭმელს, რას ეტყოდნენ სოფლელი ძმა-ბიჭები, ან როგორ დაუხვდებოდნენ დედა და ნათესავები. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ იმ საღამოს ავჭალამდე ავიდოდა, მეორე დილით რიჟრაჟზე ადგებოდა, ზედაზნის ქედს გადალახავდა, საგურამოში ჩავიდოდა, იქიდან ერწოზე გადავიდოდა და იქვე თავის სოფელში ჩაირბენდა.

„ეჰ, სულ ერთია! რაც იქნება-იქნება!“ — გადასწყვიტა გიორგიმ და ზეზე წამოდგა. მერმე თოფი გატენა, მხარზე გაიდო და მარცხნივ ჩაუხვია.

სახე გაუნათლდა და ღრუბელი გადაეყარა, ნაბიჯი გაუმტკიცდა, გული გაუმაგრდა და იმის ყოველ მიხვრა-მოხვრასა და იერში მტკიცე გადაწყვეტილება, იმედი და სიხარული მოჩანდა. გულიდან მძიმე ბარგი მოეშვა, ტანი გაუმსუბუქდა და იღლიებში ფრთები გამოესხა.

მტკიცე და დინჯი ნაბიჯით მიდიოდა; მიდიოდა ზევით, ზედაზნის მთისკენ; მიდიოდა იქ, სადაც არც პოლკი იყო, არც მყრალი ყაზარმა, არც სულელური მოვალეობა, არც უგემური საჭმელი და არც ათასი ბატონი. მას წინდაწინვე უხაროდა თავისუფლება, ოჯახის და მეზობლების ნახვა, ტოლ-ამხანაგებში გარევა, საქონლის მოვლა, ყანაში მუშაობა, დღეობა-ქორწილში სიარული, ქალებთან თამაში, ლხინი, ტყე-მინდორი და მთის წყარო.

მიდიოდა დეზერტირი და თან რაღაც სიმღერას ღიღინებდა.



**პაოლო იაშვილი**

# ზემოური რთველი

ჯერ სოფელში კიდევ თბილა,
თუმცა მთები დაირთვილა,
და ცაც უფრო მუქი გახდა.
გზაზე მოდის ჩემი კბილა
და ღიღინებს ისე ტკბილად,
თითქოს ნატვრა გაინაღდა.

მიდის, ჩადის სავსე ზვარში,
მეზობლებთან მხარი მხარში,
მიაშურებს ფერად მტევნებს,
სამალაბა მკლავებს გაშლის,
გადააგდებს მტევანს ძარში
და სიმღერას დაადევნებს.

დიდი ძარი წარამარა
შეანათებს სოფლის მარანს;
საწნახელიც აკრიალდა;
უკვე დილის იჯრად კმარა,
რაც სიმდიდრით დაიფარა
მისი ღრმა და უხვი კალთა.

ბავშვმა წყალი მოიტანა,
და გაჩაღდა ფეხის ბანა
მხიარული ყურძნის სრესვა,
აღუღუნდა წვენი თანაც...
ყავრის ჭერში ოქროს დანა
გაურჭვია დილის მზესა.

მზეა, ქარიც... ფიცხი ჩალა
ნაფუზარში აიშალა,
მიეხვეტა ყანის ღობეს,
ავსებულა ჯოგით ჭალა
და მწყემსები ხმა წკრიალა
გვრიტს ესვრიან ფილთა თოფებს.

განგაშშია რთველის ალო,
ტაროებით ბრწყინავს კალო
და ქალები სხედან განად...
„აბა ერთი, ჩორთას ქალო,
შენი სულის სამოწყალოდ,
წამოიწყე იავნანა"...

და გაისმის სოფლის ველად
ნანინა და ოროველა
ჩანგურული კილოს ხმაზე...
უკვე რაჭის მთებში ბნელა.
მთვარე — ძროხის ერთი წველა
დევს პერანგას [1] ქიმის ჯამზე.

[1] პერანგა — მთა.

# როგორც აფრის ტკაცუნი

მაინც რად მინდა მეტი დასტური
გარდა იმისა, რომ დილა მეხნა,
ირგვლივ ზვარია ალადასტური
და მიხარია ფათური ქვეყნად.

მორთმეულია სამყარო გობით,
მხოლოდ აკლია ოქროთ დადნობა
და ყოველ ყვავილს, ვარსკვლავს და
კოპიტს
ჩემი ლექსისთვის მართებს მადლობა.

ამართულია სოველ ქვიშიდან
ცამდე კრიალა შუშის კედელი,
და მე არ ვიცი რაღა მიშლიდა
მეთქვა სიმღერა განუწყვეტელი:

როგორც აფრის ტკაცუნი
მოვარდნილი ზღვიდან,
ისეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა.

როგორც ფართო ჭადართან
ჩეროების ჯერი,
ისე ჩუმად ჩატარდა
ჩემი ლექსი ბევრი.

და ქცეული სურათად
სიტყვა, ყველა ბგერა,
მიწაზე მისცურავდა
დამწიფებულ ქერად.

ბოსტნების დასანაგვად,
მოუთიბავ მოლად,
ბალახის ამხანაგად
და ომბალოს ტოლად.

ეხლა, როცა ტკაცუნი
აფრის მესმის ზღვიდან,
ასეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა.

მინდა სიტყვის თარეში
ჩემი ყველამ ნახოს,
ხევსურების ფარეხში,
ჩანჩქერების ახლოს.

მინდა მიწას მარჩენალს
ჰქონდეს მშვიდი ძილი,
ჰგავდეს ვაჟის გაჩენას
მზის ამოსვლა დილით.

როგორც აფრის ტკაცუნი
მოვარდნილი ზღვიდან,
ისეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა.

**ტიციან ტაბიძე**

# ორპირელი კომკავშირელი კრემლში

მე თვითონ მივხვდი, არა ვარ მარტო
და ჩემში მღერის მთელი კოლხიდა.
გაეხსნა მგოსანს დღეს შარა ფართო
და გამოვიდა თავის ქოხიდან.

ეზოდან ეზოს, შუკიდან შუკას
მივჰყვები, ჩემ წინ ჰყავის ორპირი,
მზე სიცოცხლისა ვინც გაგვიშუქა,
ყველა მისი ვართ დღეს ოქროპირი.

ვხედავ ბედნიერ მეზობელს, თვისტომს,
რომ აუღიათ კალამი ხელში,
გულზე მომსკდარი პალიასტომი
უნდათ გამოსთქვან ერთ დიდ სახელში.

და იწერება დიდი უსტარი,
ათასი გულის ფეთქვით შეკრული,
თითქო ცის გახსნილ კარს მივუსწარი
გავხდი მგოსანი მათი ერთგული.

ჩვენ ბავშვობიდან ასე გვჯეროდა, —
ბედნიერება ხელს არ აგვაღებს,
რაზედაც გული მუდამ მღეროდა,
ეზოში ვხედავთ ციტრუსის ბაღებს.

დიადი გეგმა აქ ახდენილა,
მწვანე წალკოტში ჩვენ ვართ
ჩაფლული,
წავიდა შავი ზამთარის დილა
და სამუდამო სდგას გაზაფხული.

კარის მეზობლებს და სახლის კაცებს,
მინდა გულის ხმით ერთად მოგმართოთ,
თქვენს გრძნობის მორევს რა ლექსი
აწევს,
თუმცა ორპირის გული მაქვს ფართო.

აქედან ვხედავ იმ ორპირელ ბიჭს,
კრემლში პატაკით როცა წარსდგება,
ვცნობ ჩემი მიწის მე მტკიცე ნაბიჯს,
ჩემ ფიქრისაა ის განაღდება...

იტყვით, თუ როგორ ებრძოდა რიონს
ლაფში ჩაფლული ჩვენი სოფელი,
სილატაკე რომ მოიგერიოს,
ნახოს ცხოვრება ცხოველმყოფელი.

მესმის მისი ხმა მუდამ გულწრფელი,
როგორ ამაყად გაიჟღერება!..
როგორც შავი ზღვის სავსე ღრუბელი
მადლობის გრძნობით დაიწურება.

ისმის გრიალი ათასი ტაშის,
ათას ხმიანი მაღალი ვაშა —
ფარავს მოედანს დროშებით გაშლილს,
ზღვად მივარდნილა ხალხი ერთბაშად.

და ორპირელ ბიჭს, ჯერ პირტიტველას,
დიდი ბელადი ხელს გაუწოდებს.
— ამიერიდან ესმოდეს ყველას,
ამიერიდან ყველამ იცოდეს:

— ძველი დიდებით აღსდგა კოლხიდა
და დაეუფლა ძველ ოქროს ზოდებს
და გამოსულა ნაწყალი ქოხიდან —
ამ ხმას პოეტი მთელ ხალხში მოდებს.

ჩემ გმირს ორპირელს დახვდება დედა,
კოლმეურნეთა ნახირს მოდენის,
ბედნიერებამ თვალში შეხედა,
მათ საერთო აქვთ შრომის ორდენი.

გადაეხვევა საყვარელ პირმშოს,
დაჯილდოებულ მკერდს დაუსველებს
და სიხარულის ცრემლის კურცხალი
დაეპკურება ნარინჯის ველებს.

გაიხარებენ სახლის კაცები
ბედნიერების მოკავშირენი,
საერთო არის დღეს აღტაცება,
როცა იმარჯვებს კომკავშირელი.

ასე ახდება ცხადად სიზმარი
და არგონავტთა მეკობრის აფრებს
განახლებული კოლხიდის მხარე
წინ დაახვედრებს კავკასის ალპებს.

ბედნიერია სტალინის მოდგმა,
ისმის გამწევი „ხასანბეგური"
და დაგუბებულს აქ „ჩელას" მოთქმას
შეცვლის ახალი „ფაცხა მეგრული".

წარსული არის აქ „ჩელას" მოთქმა
„ფაცხა მეგრული" წარსული არი.

# ლექსის დაბადება

არც ერთი სიტყვა არ დამცდენია,
მხოლოდ იმისთვის ლექსი რომ მეთქვა.
როცა ბწკარები ბწკარებს სდევნიან,
საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა.
სანამ წარმოსთქვამ, ლექსი შენია —
იტყვი, სხვა უცხო მას დაიტაცებს,
და თუ ვაჟკაცის ხელი სჩენია,
მაშინ სხვის ხელშიც ის ივაჟკაცებს.
ლექსი ლექსია, მაგრამ იმატებს,
თუ სიყვარულის ბოლმა გამურა.
თვითონ ვერ იცნობ შენ ბაიათებს,
დაუტაცნია ხალხს სალამურად.
და მეჩვენება, რომ ლექსის ძაფი
უძილო ღამეს ხელში ეკავა.
მოსკდება წვიმა თქეშით და ქაფით
და მოვარდება ლექსი წელკავად.
გადაიარა და გადათელა,
როგორც კალია გათელავს ყანას.
მერე დაენთო თაფლის სანთელად,
რომ გაანათოს მთელი ქვეყანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახალხო მასწავლებელი

90 წელს მიტანებული ადამიანი, ჩვენი საერთო წარმოდგენით, თბილ ბუხართან ძვლებს უნდა ითბობდეს და ფერადოვან ზღაპრებს უყვებოდეს ბადიშებსა და ბადიშის ბადიშებს. იშვიათად თუ ვინმეს ხვდება წილად ბედნიერება — დისონანსი შეიტანოს ბუნების ამ რკინისებურ ლოგიკაში. ასეთ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულთ ჩვენ ხშირად მთიან სოფლებში ვეძებთ ხოლმე. ისინი კი დედაქალაქის პროსპექტზედაც დადიან მხნედ და წელგამართულად.

აი, ახლა ჩვენ 69-ე სკოლის მე-6 კლასში ვართ. ქართული ენის გაკვეთილს მიხეილ გიორგის-ძე გიორგაძე ატარებს. იგი სწორედ 86 წლისაა. 64 წელია, რაც მასწავლებლობს, მაგრამ მის თვალსა და ყურს არაფერი გამოეპარება, აზროვნებს ფხიზლად და ხარბად ითვისებს ყოველივე ახალს; მუშაობის ხალისით, ახალგაზრდა მასწავლებელსაც ნიმუშად გამოადგება. მისი გაკვეთილები სიცოცხლითა და გონებამახვილობითაა აღსავსე.

იგი ზედიზედ ჰკითხავს გასამეორებლად მიცემულ მასალას მოწაფეებს. მათი პასუხები ამომწურავი, ნათელი და ჭკვიანურია. ჩანს, უქმად არ ჩაუვლია მასწავლებლის შრომას.

მიხეილ გიორგაძე რუსულ სკოლაში სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს ქართულ ენას ასწავლის. თუ მას ამ საქმეში დიდი წარმატება აქვს, სწორედ იმიტომ, რომ იგი ახერხებს არაქართველ ბავშვებს მშობლიურ ენასავით შეაყვაროს ქართული.

იყო დრო, როდესაც თვით ქართველ ბავშვებსაც უკრძალავდნენ ქართულ ენაზე სწავლას საქართველოში. მიხეილ გიორგაძეს ამის მაგალითებისათვის სამუზეუმო არქივებში ძებნა არა სჭირდება: მან ეს საკუთარ თავზე გამოსცადა.

მიხეილი გორის საოსტატო სემინარიის მოსწავლე იყო, როცა მეფის ხელისუფლების ჩინოვნიკებმა ქართულ სკოლებში მშობლიური ენის პროგრამები ისე შეამცირეს, რომ ამ საგნის მასწავლებლებს თითქმის აღარაფერი რჩებოდათ გასაკეთებელი. ყველა სასწავლო დისციპლინა რუსულ ენაზე ისწავლებოდა და ქართულიც, როგორც საგანი, მხოლოდ ფორმალურადღა დატოვეს.

იმჟამად გორის სემინარიაში ქართულ ენას მწერალი ნიკო ლომოური ასწავლიდა. ამ ტკბილმოუბარი მასწავლებლის იდეებით მოხიბლულმა მიხეილმა და მისმა მეგობრებმა თხოვნით მიმართეს მწერალს — მანამდე არსებული პროგრამებით გაეგრძო მათთან მეცადინეობა, თანაც დასძინეს — ოღონდ გველაპარაკეთ ქართული ლიტერატურის საკითხებზე, დაწვრილებით აგვიხსენით ყველაფერი, ნურაფერს შეკვეცავთ, და ისე მოვაწყობთ საქმეს, რომ დირექციამ ამის შესახებ ვერაფერი შეიტყოსო. ნ. ლომოური დათანხმდა ყმაწვილებს და მათი გეგმის მიხედვით კონსპირაციული გაკვეთილების გადაცემა დაიწყო.

მ. გიორგაძე იმ სასწავლო წელს ამთავრებდა სემინარიას და ამ გაკვეთილმა იმდენად აღაფრთოვანა, რომ მტკიცედ გადაწყვიტა — მასაც ეთქვა რამე თავისი ქვეყნისათვის, შეადგინა და გამოექვეყნებინა თავისი „საბრძოლო პროგრამა“. და აი, 1891 წლის იანვრის დამდეგს იგი კრძალვით მიადგა „ივერიის“ რედაქციას. ილიამ მიიღო ჭაბუკი, რომელმაც თრთოლვით გაუწოდა თავის მიერ გადმოქართულებული მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის „საწყალი მგელი“. მეორე დღეს პასუხისათვის დაბარებულ მიხეილს დიდმა პოეტმა მოუწონა ნამუშევარი და 26 იანვრის „ივერიაში“ დაბეჭდა კიდეც ეს არაკი.

ამის შემდეგ ილიასა და ახალგაზრდა სემინარიელს შორის მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. მ. გიორგაძე „ივერიის“ რედაქციას სოფლად არსებულ სოციალურ უსამართლობაზე ხშირად აწვდიდა მამხილებელ მასალებსა და კორესპოდენციებს.

1891 წლიდან მიხეილი მუშაობდა სოფლის მასწავლებლად.

1905 წლის რევოლუციამ მ. გიორგაძეს დასავლეთ საქართველოში მოუსწრო. მაშინ იგი სოფ. სუჯუნის მასწავლებელი იყო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რევოლუციურ გამოსვლებში. ამას მოჰყვა სუსხიანი რეაქცია, მიხეილის დაპატიმრება, გასამართლება, ციმბირში მის გადასახლებაზე განაჩენის გამოტანა, შემდეგ პატიება და ქუთაისის გუბერნიიდან გაძევება.

33 წელია, რაც მიხეილი ახლანდელ 69-ე საშუალო სკოლაში მუშაობს. ვინ იცის, აქ რამდენ თაობას გაუვლია მის ხელში. აბა, გამოელაპარაკეთ რომელიმე მის ყოფილ მოსწავლეს! ყველა მათგანი სიამოვნებით იგონებს მიხეილის მშვენიერ დარბაისლურ ქართულს, ღრმააზროვან გაკვეთილებს, მამობრივ მზრუნველობას.

მიხეილ გიორგაძე კვლავ ინტენსიური პედაგოგიური ცხოვრებით ცხოვრობს. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს სკოლისა და სკოლის გარეშე საზოგადოებრივ საქმიანობაში, აწყობს ხვალინდელი, მერმინდელი დღის გეგმებს; მას ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება სწადია, არ კმაყოფილდება იმით, რაც დღემდე ულვაწია და უშრომია.

— კარგია ახლანდელი ჩემი მეხუთე კლასი, იმედი მაქვს, მეთერთმეტემდე ღირსეულად მივიყვან, მასახელებენ... იმედიანად ამბობს მიხეილი.

**ვ. ქართველიშვილი, გ. ალავერდაშვილი**

# კულტურის ბედი მაკარტისტულ ამერიკაში

უდიდეს გენიათა უკვდავი ქმნილებანი ამჟამად ამერიკაში „გადაკეთება-შემოკლების“ და სხვა „ქირურგიული“ ოპერაციების მსხვერპლნი ხდებიან; კლასიკური დრამებიდან აცოდვილებენ ჰოლივუდის კომედიებს, მრავალტომიან რომანებს „აკეთებენ“ 50-60 გვერდიან „მსუბუქ“ წიგნებად. კლასიკური ოპერების გმირები გაქნილმა ლიბრეტისტებმა თანამედროვე რეკლამების სიტყვებით აამღერეს!

მაგრამ კლასიკოსების ყველა რომანებისა და დრამების გადაკეთება-გადაბრუნება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მათ უბრალოდ აკრძალავენ ხოლმე. ასე აკრძალეს მაგალითად ტეოდორ დრაიზერის მრავალი თხზულება. ასეთივე ბედი ეწვია უოლტ უიტმანს და სხვებს.

ამერიკელ მასწავლებელს უფლება აღარა აქვს მოწაფეებს წასაკითხად ურჩიოს მარკ ტვენის მოთხრობა „იანკი მეფე არტურის კარზე“, ეს ნაწარმოები აკრძალულია. სამაგიეროდ მოზარდებს ურჩევენ წაიკითხონ „ომი და მშვიდობა“ — მაგრამ არა გენიალური ლევ ტოლსტოის უკვდავი ქმნილება, არამედ ვიღაც ჯეიმს ბოსარის მიერ დაწერილი! ეს წიგნი ნებადართულია და რეკომენდირებულიც. მერედა რითაა ცუდი ტვენი და რით სჯობს მას ბოსარი? ამ უკანასკნელის აზრით, ადამიანი ომიანობის დროს უფრო ნორმალურად ცხოვრობს, ვიდრე მშვიდობის დროს. ტვენი კი, როგორც ცნობილია, არ იზიარებდა ამ აზრს და სულ საწინააღმდეგოს ჰქადაგებდა. აკი სწორედ ამისთვის აკრძალეს იგი. გაზეთი „პიპლზ უორლდ“-ი უკეთებს რა კომენტარს ხსენებულ მოვლენას, ასე ხსნის ამ ინკვიზიტორულ ნაბიჯს: „მარკ ტვენი და მისი თხზულებანი მოუწოდებენ ომის წინააღმდეგ საბრძოლველად, ეს კი რიგითი ამერიკელის მორალის საფუძვლების ნგრევას მოასწავებს“.

თუ კი მარკ ტვენის, ტეოდორ დრაიზერის, ჰოუარდ ფასტისა და სხვა ძველ და ახალ პროგრესულ მწერალთა თხზულებები „მომაკვდინებლად და გამხრწნელად“ მოქმედებენ ახალგაზრდა ამერიკელების მორალზე, რა საშუალებას მიაგნეს ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეებმა მოზარდი თაობის მორალის „გასაჯანსაღებლად და გასამტკიცებლად?“

— სკოლების მილიტარიზაციას!

ამჟამად ამერიკაში სკოლის დირექტორებად სულ უფრო და უფრო ხშირად ინიშნებიან პოლკოვნიკები და გენერლები ქვეითი, საზღვაო და საჰაერო ჯარის ნაწილებისა.

დაწყებითი სკოლის მოწაფეებს „ენიჭებათ“ სამხედრო წოდებანი და ხარისხები. ისინი განცხადებებს სამხედრო პატაკის ყაიდაზე წერენ. სასკოლო თამაშობანი შეცვლილია სამწყობრო სწავლებით. 110 კოლეჯში გახსნილია ე. წ. სამხედრო-საჰაერო მომზადების ცენტრები, 92-ში სამხედრო-საზღვაო დისციპლინას ასწავლიან, ხოლო 170-ში შემოღებულია ქვეითი ჯარის სამსახურის წესდების სწავლება.

ასეთივე სურათია ამერიკის სატელიტ ქვეყნებშიც.

ასე მაგალითად, საფრანგეთში თანამედროვე „კულტურის“ ისეთი მოღვაწენი, როგორიცაა ანდრე რუსო და მისი მსგავსნი, დაჟინებით მოითხოვენ ამოღებული იქნას სასკოლო პროგრამებიდან ვიქტორ ჰიუგოს ნაწერები, მერედა რითი და ვისით აპირებენ ამ გენიალური ჰუმანისტ მწერლის ნაწარმოებთა შეცვლას? ამაზე პასუხს იძლევა განათლების სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სტატსსეკრეტარის ერთობლივი (რა მჭიდრო კავშირია!) ცირკულიარი, რომელიც წინადადებას აძლევს საფრანგეთის ჯარების საინფორმაციო ცენტრებს გაავრცელონ ყველა სკოლაში ლიტერატურა, რომელიც ახალგაზრდობას არმიაში შესასვლელად მოუწოდებს.

ყოველწლიურად მარტო საფრანგეთსა და იტალიაში ამერიკელებს შემოაქვთ და ჰყიდიან 6-მილიონ ეგზემპლარ „კომიკს“-ს. იგი დიდი რაოდენობით საღდება სხვა მარშალიზებულ ქვეყნებშიც. ასეთი „სულიერი საზრდოს“ შედეგად ბავშვთა ბოროტმოქმედებამ სარეკორდო ციფრებს მიაღწია ამ ქვეყნებში. რამდენიმე თვის წინათ ეს საკითხი ე. ი. ბავშვთა ბოროტმოქმედების ზრდის საკითხი, საფრანგეთის დეპუტატთა პალატასაც კი წარედგინა განსახილველად. ამერიკიდან საფრანგეთში იმპორტირებულ 420 კინოფილმიდან 310 ხოტბას ასხამს მკვლელობას და განგსტერიზმს, ხოლო 104 ქურდობას.

ამერიკულ სამხატვრო გამოფენებზე ნახავთ ტილოებს, რომლებზედაც საღებავის ლაქების, ან ჭუჭყიანი ზოლების მეტს ვერაფერს გაარჩევს კაცი.

ეს მათი მხატვრობაა!

ისინი რადიოთი გადასცემენ ცხენთა ჭიხვინს, ვირების ყროყინს, დოლის ბათქაბუთქს, თხზავენ „ატომურ უვერტიურებს“ და ამ კაკაფონიას მუსიკას უწოდებენ.

ცნობილი ამერიკელი პროგრესული მწერლის ჰოუარდ ფასტის „ამერიკულ დღიურში“ ვკითხულობთ:

„დღევანდელ ამერიკაში არსებობს ინკვიზიციისა და დევნის იარაღი. იგი მოქმედებს სკოლებში, უნივერსიტეტებში, თეატრებში, კინოებში და ხელოვნების სხვა დარგებში. იდევნება ყველა, ვისიც იდეა და მსოფლმხედველობა პატიოსანია და კეთილშობილი. ეს იარაღია ინტელიგენტ მუშაკთა შავი სია“.

ყბადაღებულ ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისიის მიერ შედგენილ შავ სიაში შეტანილია სახელგანთქმულ მწერალთა 560 ნაწარმოები. სენატორ მაკარტის განკარგულებით მათ ცალკე თაროები აქვთ მიჩენილი ბიბლიოთეკებში. თაროებზე მიკრულია იარლიყი „ძირგამომთხრელი ლიტერატურა“. ზედმეტია იმის თქმა, რომ ამ წიგნებს მკითხველის ხელი არ მისწვდება.

ბარბაროსები უფრო შორს წავიდნენ. ამას წინათ ამერიკულმა პრესამ გამოაქვეყნა ცნობები იმის შესახებ, რომ ოკლაჰამის შტატში შეუდგნენ.... წიგნების საჯაროდ დაწვას.

* * *

ამერიკაში და მის სატელიტ ქვეყნებში გარდა ბოსებისა და კონგრესმენებისა, გენერლებისა და განგსტერებისა, მაკარტებისა და მორიაკებისა და მათ სამსახურში მყოფ ცრუ მეცნიერებისა და მწერლებისა არსებობენ მილიონობით კეთილი ნების ადამიანები.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კაპიტალიზმის ბატონობის დროს არსებობს ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო კულტურა, — ექსპლოატატორთა კლასების ცრუ კულტურა — და ნამდვილი, დემოკრატიული და მაშასადამე მოწინავე კულტურა მშრომელი მასებისა.

ამერიკისა და ევროპის რეაქციული კულტურა უკვე გაიხრწნა. მას უპირისპირდება პროგრესული კულტურა, — უბრალო, პატიოსან და მშრომელ ადამიანთა ჭეშმარიტი კულტურა.

სოციალისტური კულტურის ჯერ არ ნახული აყვავება ჩვენს დიად სამშობლოში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მზარდი სოციალისტური კულტურის მიღწევები თვალნათლივ უჩვენებენ, რომ რეაქციული კულტურის შავბნელ ძალებთან ბრძოლაში აუცილებლად გაიმარჯვებს ახალი, პროგრესული სოციალისტური კულტურა.

**გ. ჩიმაკაძე**

# მონტესკიე



ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხი მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობასთან ერთად მიმდინარე წელს ზეიმით აღნიშნავს მსოფლიოს იმ დიდი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ თარიღებს, რომელთაც თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საერთო-საკაცობრიო კულტურის პროგრესსა და განვითარებაში.

ამ თვალსაზრისით სრულიად დამსახურებულად აღინიშნება დიდი ფრანგი განმანათლებლის, მწერლისა და მოაზროვნის შარლ ლუი მონტესკიეს გარდაცვალების 200 წლისთავი.

მონტესკიე იყო საფრანგეთის განმანათლებელთა ბრწყინვალე პლეადის წარმომადგენელი, საგანმანათლებლო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი და იმ დიდი ლიბერალური მოძრაობის ერთ-ერთი წამომწყები, რომელმაც იდეოლოგიური საფუძვლები შეუმზადა საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას.

ეს იყო წინა დღე საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა, რომელმაც ძირფესვიანად შეარყია ფეოდალური წესწყობილება.

საფრანგეთის ბურჟუაზია უკვე სერიოზულ საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენდა, იზრდებოდა მსხვილი მანუფაქტურების რიცხვი, ფართოვდებოდა საგარეო ვაჭრობა.

გაბატონებულ ფეოდალურ კლასს არ სურდა ანგარიში გაეწია შექმნილი გარემოებისათვის, იგი ბურჟუაზიას კვლავ უუფლებოდ სტოვებდა, ხოლო მშრომელი გლეხობისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის მასებს კვლავ არაადამიანურ ექსპლოატაციას უწევდა. ბურჟუაზია იბრძოდა უფლებისათვის და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ეყრდნობოდა აბსოლუტიზმით უკმაყოფილო ყველა კლასს, იგი მთელი მესამე წოდების მედროშედ გამოდიოდა.

საფრანგეთის ბურჟუაზიის ლოზუნგი იყო მთელი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა და ეს გარემოება უდიდეს გასაქანს აძლევდა საზოგადოებრივი აზრის განვითარებას.

ახალი პროგრესული იდეოლოგია იჭედებოდა ძველი იდეოლოგიის ტრადიციებთან სასტიკ ბრძოლაში.

ახალი განმანათლებელი იდეოლოგია იბრძოდა მეფის ხელისუფლების ღვთიურ წარმოშობისა და თავადაზნაურობის ისტორიული უფლებების წინააღმდეგ.

ანგრევდა რა ძველი ფეოდალური წყობის საფუძვლებს ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრი ამზადებდა ფეოდალიზმის ლიკვიდაციასა და ბურჟუაზიული წყობის დამყარებას.

* * *

შარლ ლუი დე სეკონდა ბარონ დე მონტესკიე დაიბადა 1689 წელს შეძლებული და სახელიანი ფეოდალის ოჯახში.

მემკვიდრეობით მან მიიღო გრაფის ტიტული და ბორდოს პარლამენტის პრეზიდენტობა.

მალე მან თავი გაანება ყოველგვარ სამსახურებრივ მოღვაწეობას და ისტორიის, სამართლისა და ბუნებისმეტყველების დარგებში სცადა მეცნიერული მუშაობა.

მონტესკიე იწყებს დღიურების წერას, რომელიც შემდეგ საფუძვლად ედება მის პირველ ლიტერატურულ ნაშრომს „სპარსულ წერილებს".

„სპარსულ წერილებს" განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფრანგული მხატვრული პროზის განვითარებასა და ფილოსოფიის ისტორიაშიც, როგორც პირველ ფილოსოფიურ რომანს.

ამ ნაწარმოებში მონტესკიე შენიღბულად, სასტიკად ამათრახებს ლუი მე-14-ის აბსოლუტიზმს.

მონტესკიეს ამ ნაწარმოებში ფეოდალების გვერდით სააშკარაოზე გამოჰყავს საფრანგეთის სამღვდელოება, რომელიც თავადაზნაურობას ფუფუნებასა და გარყვნილებაში ეჯიბრება. იგი ფარდას ხდის რომის პაპის ბნელ მოღვაწეობას, მის უსაზღვრო ანგარებასა და დესპოტიზმს.

„სპარსული წერილებიდან" ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მე-11 წერილი. ამ წერილში ავტორი ეხება ხალხთა ურთიერთობას, მეომარი ხალხის აგრესიას მშვიდობისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ.

დამპყრობლებსა და აგრესორებს იგი გვიხატავს მტაცებელ მხეცებად.

ადამიანებისა და ხალხების ურთიერთ პატივისცემა მონტესკიეს მიაჩნია ჭეშმარიტი მორალის საფუძვლად.

ახალი მორალის პრინციპები მონტესკიეს აზრით უნდა იყოს ადამიანურობა, სამართლიანობა, სიკეთე და ყველასათვის სასარგებლო შრომა. ასეთი მორალის ქადაგებით მონტესკიე ფაქტიურად მესამე წოდების პოზიციებზე დგებოდა, რომელიც ადამიანურ ღირსებებს წოდებრივსა და მდგომარეობრივზე მაღლა აყენებდა.

მონტესკიე „სპარსულ წერილებში" გაბედულად მიმართავს მჩაგვრელებს „თქვენ ღირსნი არა ხართ იმისა, რომ ადგილი გეჭიროთ დედამიწაზე, რადგან თქვენ არა გაქვთ ადამიანურობა და სამართლიანობის წესი თქვენთვის უცნობია".

მონტესკიე ღრმად უკვირდებოდა და სწავლობდა სახელმწიფოთა პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებას, მათ ისტორიასა და გეოგრაფიას, მათ სამართალსა და კანონმდებლობას. ამ მიზნით მან იმოგზაურა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

ამ ხანგრძლივი დაკვირვებისა და მუშაობის შედეგად მონტესკიემ დასწერა ორი სამეცნიერო თეორიული ტრაქტატი: „რომაელთა სიდიადისა და დაცემის მიზეზების განხილვა" და „კანონთა სული".

პირველ ტრაქტატში მონტესკიე მიმოიხილავს რომის მთელ ისტორიას. რომის სიდიადისა და ამაღლების მიზეზს ავტორი ჰხედავს თვით რომაელთა სულიერ სიმაღლეში, მათ დისციპლინაში, მტრის მოგერიებისათვის მზადყოფნაში, სამშობლოს ერთგულებასა და სიყვარულში.

რომის დაცემის მიზეზად ავტორს მიაჩნია დაპყრობითი ომების შედეგად სახელმწიფო საზღვრების არაჩვეულებრივად გაფართოება, სახელმწიფოს სათავეში უზნეო მმართველების მოქცევა, უკიდურესი ფუფუნება და ზნედაცემულობა.

რომის მოქალაქეებმა დაივიწყეს სამშობლოს სიყვარული და მოქალაქეობრივი ვალი ქვეყნის წინაშე, ასეთი მორალის ადამიანები უძლური აღმოჩნდნენ ბარბაროსთა მოძალების წინაშე და რომი დაეცა.

მონტესკიე იმ დროისათვის გაბატონებული კონცეპციისაგან განსხვავებით რომის დაცემის კანონზომიერებას ღვთის განგებით კი არ ხსნის, არამედ ამ კანონზომიერებას ბუნებრივი, ფიზიკური და მორალური მიზეზებით განმარტავს.

მონტესკიეს მიაჩნია, რომ რომის საზოგადოებრივი წყობა არაგონივრული იყო და ამიტომ იმპერიის ბედიც იმთავითვე გადაწყვეტილი. ავტორი აფრთხილებს ფრანგ ხალხს, რომ იგივე მიზეზები, რომელთაც რომის დაცემა გამოიწვიეს დაღუპავენ საფრანგეთსაც თუ იგი არ გადავა გონივრულ საზოგადოებრივ წყობაზე.

1748 წელს გამოვიდა მონტესკიეს კაპიტალური ნაშრომი „კანონთა სული". ამ წიგნის მთავარი იდეა ისევ დესპოტიის წინააღმდეგ ბრძოლაა. ნაწარმოები სავსეა მაშინდელი საფრანგეთის საზოგადოებრივი წყობისადმი გადაკრული მაგრამ თამამი კრიტიკული შენიშვნებით.

ავტორი სასტიკად ილაშქრებს რელიგიური ფანატიზმისა და ინკვიზიციის წინააღმდეგ. იგი ბრალს სდებს კათოლიკურ ეკლესიას თავისი ბატონობის ცეცხლითა და მახვილით განმტკიცებაში და ხმას იმაღლებს ანტისემიტიზმის წინააღმდეგ.

აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მხურვალე პროტესტმა, რელიგიური ფანატიზმისა და ცრუმორწმუნეობის გმობამ, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის ჰუმანურობისა და სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის ქადაგებამ „კანონთა სული" გაბატონებული კლასებისათვის საძულველ წიგნად აქცია. ამ წიგნმა ბნელეთის მოციქულების შორის შიში და შეშფოთება დათესა და „კანონთა სული" პაპის „აკრძალულ წიგნთა ინდექსში" მოხვდა.

რეპრესიების მიუხედავად მარტო პირველი ორი წლის განმავლობაში 1748-50 წლებში „კანონთა სული" 22-ჯერ გამოიცა და სულ მალე ყველა ევროპულ ენებზე ითარგმნა.

დიდი და განუსაზღვრელი იყო მონტესკიეს გავლენა მაშინდელი საფრანგეთისა და მთელი ევროპის აზროვნების განვითარებაზე. მისი წიგნები გამოსვლისთანავე ითარგმნებოდა და ვრცელდებოდა ევროპის სხვადასხვა ენებზე. მათი გავლენით იწერებოდა და იქმნებოდა ახალი, ორიგინალური ტრაქტატები და ფილოსოფიური რომანები, რომლებშიაც ამა თუ იმ ხალხის ცხოვრება და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა აისახებოდა.

რუსეთში მონტესკიეს წიგნები მე-18 საუკუნეშივე ითარგმნა და გამოიცა.

რუსეთის მოწინავე ადამიანები დიდად აფასებდნენ გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნის ჰუმანიზმს, მისი თეორიული ანალიზის სიღრმეს. ისინი აღტაცებაში მოჰყავდა მონტესკიეს სტილის მშვენიერებასა და გასაოცარ ფრანგულ ჰუმორს, რაიც იშვიათის ოსტატობით იყო შეთავსებული უაღრესად სერიოზულ მსჯელობასთან თავისუფლების, პროგრესისა და მშვიდობის იდეებზე.

იმ დიდი პროგრესული როლის გამო, რომელიც მონტესკიეს „კანონთა სულმა" შეასრულა საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში, დიდი რუსი რევოლუციონერი მოაზროვნე რადიშჩევი მონტესკიეს ევროპის მეცნიერების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად თვლიდა.

რუსულიდან და საფიქრებელია, ფრანგული ორიგინალიდანაც, მონტესკიეს „კანონთა სული" ქართულ ენაზეც თარგმნილა. მონტესკიეს ამ ნაშრომისადმი ინტერესი გამოუჩენია ჯერ კიდევ ერეკლე მეორეს, ხოლო საქართველოს უკანასკნელი მეფის შვილსა და ტახტის მემკვიდრეს დავით ბატონიშვილს თვითონ უთარგმნია „კანონთა სული" სათაურით „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა". დავით ბატონიშვილის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, მონტესკიეს „სპარსული წერილების" გავლენით დაწერილი ორიგინალური ნაწარმოები „ახალი შიხი".

მონტესკიეს „სპარსული წერილების" გავლენითაა დაწერილი, აგრეთვე, ალექსანდრე ამილახვრის ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა", ტრაქტატისათვის სახელწოდებაც ამილახვარს მონტესკიეს წიგნის ოცდამეცამეტე თავის სათაურის გავლენით მიუცია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თვით მონტესკიე რამდენიმე ადგილას ახსენებს კოლხიდასა და იმერეთის სამეფოს.

მონტესკიეს წარმოდგენა მისი დროის საქართველოზე ძალიან ზერელე და შორეულია, მაგრამ იგი მაინც ერთგვარად ასახავს ჩვენი სამშობლოს მაშინდელ მძიმე მდგომარეობას, როცა ირანელი და თურქი დამპყრობლების მუდმივი შემოსევების შედეგად დასუსტებული და დაქუცმაცებული საქართველო თითქმის გადაშენების გზაზე იდგა.

* * *

დიდი ფრანგი განმანათლებელი ორი საუკუნის წინ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ფეოდალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონტესკიემ სწორი აზრი წამოაყენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ თავისუფალ ხალხს შეუძლია თავისი ქვეყნის წაყვანა პროგრესის გზით. ამ იდეამ, რომელიც ბოლომდე იქნებ არც კი ჰქონდა შეგნებული თვითონ ავტორს, შესანიშნავი დადასტურება ჰპოვა საზოგადოების მთელს შემდგომ განვითარებაში და განსაკუთრებით კი ჩვენს დროში, როცა იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული ხალხები სასწაულებს ახდენენ თავიანთი ქვეყნების ეკონომიური და კულტურული გარდაქმნების გრანდიოზული გეგმების განხორციელებით.

„კანონთა სულში" მონტესკიე საგანგებოდ იხილავს ომის საკითხს. იგი უკანონოდ აცხადებს ისეთ ომს, რომელიც მიზნად ისახავს ერთი ხალხისგან მეორის დამოხებას.

„სპარსულ წერილებში" იგი სწერს: „არსებობს მხოლოდ ორგვარი სამართლიანი ომი: მტრის თავდასხმის მოსაგერიებლად წარმოებული ომი და იმ მოკავშირის დასახმარებლად დაწყებული ომი, რომელსაც თავს დაესხნენ.

მონტესკიეს ეს სწორი განმარტება სამართლიანი ომისა სრულიად მისაღებია ჩვენი დროისათვისაც.

ახლა, როცა უსამართლო ომის გამჩაღებლები ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღით იმუქრებიან, მშვიდობისა და სამართლიანობის დამცველთა მხარეზე არიან არ მარტო თანამედროვეობის მოწინავე ადამიანები, არამედ კაცობრიობის მთელი ისტორიის მოწინავე აზრი და ადამიანებიც.

საბჭოთა ხალხი თანამიმდევრულად იბრძვის მშვიდობისა და ხალხთაშორის მეგობრული ურთიერთობისათვის. ამ ბრძოლაში ჩვენ გვაღფრთოვანებს ისიც, რომ ჩვენთან არიან არა მარტო თანამედროვეობის მოწინავე ადამიანები, არამედ წარსულის დიდი ადამიანებიც — ჰუმანიზმისა და სამართლიანობის დიდი მქადაგებლები, რომელთა შორის პირველი სიდიდის ვარსკვლავის ბრწყინვალებით ანათებს ფრანგი ხალხის უკვდავი შვილის შარლ ლუი მონტესკიეს სახელიც.




## ორი ახალი წიგნი

სახელგამმა გამოსცა სერგი ჭილაიას კრიტიკული ნაშრომი „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები".

ავტორი აღნიშნულ წიგნში ვრცლად ეხება საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პროცესებს. არჩევს თითქმის ყველა მნიშვნელოვან ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელსაც რაიმე გამოხმაურება და რეზონანსი ჰქონია და განსაზღვრული როლი უთამაშნია ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

წიგნი შედგება ხუთი თავისაგან. ყოველ ცალკეულ თავში ავტორი გვაჩვენებს ამა თუ იმ პერიოდის ლიტერატურულ ცხოვრებას, გვაძლევს საზოგადოებრივი მოვლენების დახასიათებას.

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ გამოსცა ამავე ავტორის წიგნი საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძეზე.

წიგნი მონოგრაფიული ხასიათისაა. იგი მოკლედ აცნობს რუს მკითხველს პოეტის მიერ განვლილ რთულ შემოქმედებით გზას.




## ქართველ მწერალთა ნაწარმოებები რუსულად

დღეს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში კითხულობენ ქართველი მწერლების წიგნებს. ცნობილი არიან ისინი საზღვარგარეთაც, მეტადრე სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში. საკმარისია ითქვას, რომ მარტო „ზარია ვოსტოკას" უკანასკნელ წლებში რუსულად გამოცემული ქართველი მწერლების წიგნების ტირაჟი ხუთ და ათჯერაც გაიზარდა.

საბჭოთა კავშირის მწერალთა II ყრილობის წინახანებში გამოცემულმა სამმა კრებულმა: „ქართული მოთხრობები", „ქართული საბჭოთა პოეზია", „ქართული საბჭოთა დრამატურგია" დიდი ინტერესი აღძრა მკითხველებში.

ეს კრებულები საშუალებას იძლევა თვალი გადავავლოთ საქართველოს ლიტერატურას თითქმის ერთი მეოთხედი საუკუნის მანძილზე, დავინახოთ მისი წარმატებანი, მიღწევები, შევამჩნიოთ ხარვეზები და ნაკლოვანებანი.

როცა მკითხველი ამ ახალ კრებულებს თანდათან ეცნობა, ამით თითქოს თვალს ადევნებს ჩვენი ქვეყნის აღმავლობისა და კომუნისტური ეპოქის ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და ზრდის მთელ პროცესს. ამ პროცესის სათავეები თვითმპყრობელობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ხალხის ბრძოლიდან მომდინარეობს. ამ თემისადმი მიძღვნილია ნ. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგზე", ლ. ქიაჩელის „მოქცევა" და „ლუკმა პურის ისტორია", ს. კლდიაშვილის „ფერფლი", დ. შენგელაიას „ცისკარი", დ. სულიაშვილის „ჩიკორი".

ყველა ამ მოთხრობაში მთავარი ადგილი მშრომელ ადამიანს მიეკუთვნება, რომელიც თანდათან შეიგნებს რევოლუციური ბრძოლის აუცილებლობას.

1905 წლის რევოლუციაში გლეხთა მოძრაობის სურათები აღბეჭდილია დ. შენგელაიას „განთიადში". გლეხი ბათა ქექია ცხოვრების მთელ ჭირ-ვარამში ინარჩუნებს მშრომელი ადამიანის საუკეთესო თვისებებს — შრომისმოყვარეობას, დაუშრეტელ ოპტიმიზს, გამბედაობას ბრძოლაში და დიდ ბუნებრივ ჰუმორს.

ქართულ ლიტერატურას ისტორიულ ჟანრში მტკიცე ტრადიციები აქვს დამკვიდრებული, რასაც მოწმობენ კ. გამსახურდიას და მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებები.

საბჭოთა სინამდვილემ გამოაფხიზლა ხალხთა მასები და აქტიურად ჩააბა ცხოვრებაში. ომის წინა და ომის შემდგომ წლებში იცვლებოდა ქვეყნის სახე, იცვლებოდნენ ადამიანები, სისხლსავსე ხდებოდა მათი ცხოვრება, ღრმავდებოდა მათი სულიერი მისწრაფებანი. ეს პროცესი მხატვრულად ასახულია მოთხრობებში: ა. ქეიშვილის „ნატო", გ. შატბერაშვილის „ხექალა", ე. ზედგინიძის „დაუვიწყარი ზაფხული", ბ. ჩხეიძის „ხოხბის წყაროსთან", რ. ჯაფარიძის „უნებლიე მოწმე", თ. გოგოლაძის „ტირიფონის ველზე" და ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების მრავალ სხვა ნაწარმოებში.

დიდი სამამულო ომის დიდი განსაცდელის წლებში, მთელი თავისი სიძლიერით გამოვლინდა საბჭოთა ადამიანის პატრიოტიზმი, საბჭოთა ხალხების დიადი მეგობრობა. ლ. ქიაჩელის მოთხრობაში „მამა და შვილი" გადმოცემულია ჩვენი მებრძოლების ლეგენდარული გმირობა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა ერთსულოვანი მონაწილეობა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. შესანიშნავია კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „უსახელო მაღლობზე". მოთხრობაში აღწერილია არა მარტო სამხედრო გმირობის სილამაზე, არამედ საბჭოთა ადამიანის სულის სილამაზეც.

კრებულებში მოთავსებული ბევრი ნაწარმოები თვალწინ გადაგვიშლის ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის მთელ სიდიადეს, ანმტკიცებს ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებს. კ. ლორთქიფანიძის „ბელორუსული მოთხრობები", რ. ქორქიას „თეთრი ქოხი", გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ი. გრიშაშვილის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, ა. მირცხულავას, კ. კალაძის, რ. მარგიანის, ი. ნონეშვილის, ხ. ბერულავას, ა. შენგელიას და სხვა პოეტების ლექსები მიძღვნილი ამ თემისადმი.

* * *

მწერალთა I ყრილობიდან განვლილი ოცი წლის მანძილზე ძირფესვიანად გარდაიქმნა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი რესპუბლიკა. აშენდა ახალი ქარხნები, ფაბრიკები, ჰესები, ალიმართა ინდუსტრიის ისეთი გიგანტები, როგორიცაა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. მაგრამ მუშათა ცხოვრებამ ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ღირსეული ასახვა ქართულ ლიტერატურაში. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა მწერლებმა გვერდი აუარეს ამ მნიშვნელოვან თემას; საკმარისია დავასახელოთ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მიძღვნილია სოციალისტური რუსთავის ადამიანებისადმი, მაგალითად მოთხრობები: რ. გვეტაძის „ცხოვრება იწყება თავიდან", ა. ლომიძის „წყალდიდობა", მ. მრევლიშვილის „ოსტატი იონა", ლექსები და პოემები: ა. მირცხულავასი, ხ. ბერულავასი, რ. მარგიანის, ი. ნონეშვილის, ა. შენგელიასი და სხვების, მაგრამ ეს არცთუ ისე ბევრია.

კრებულებში მნიშვნელოვანი ადგილი ისტორიული ჟანრის ნაწარმოებებს უჭირავთ, რომლებშიც ასახულია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, მისი ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, ქართველთა ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი, სამშობლოსადმი სიყვარული და მტრისადმი სიძულვილი.

ისტორიული ხასიათის პიესებში მოჩანს ქართველ დრამატურგთა მისწრაფება ააგონ სიუჟეტი მწვავე კონფლიქტებზე, საფუძვლად დაუდონ პიესებს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები.

ეპოქის სწორ ასახვაში, სახეების სიძლიერესა და დამაჯერებლობაში, ხასიათების ყოველმხრივ გახსნაში უნდა ვეძებოთ საიდუმლოება იმისა, თუ რატომ შერჩა ასე დიდხანს სცენას თემატიურადაც და დრამატურგიული ხერხებითაც ურთიერთისაგან ისეთი განსხვავებული პიესები, როგორიცაა ს. შანშიაშვილის „არსენა" და ვ. დარასელის „კიკვიძე".

დიდი წარმატებით იდგმება, არა მარტო ქართულ თეატრში, არამედ საბჭოთა კავშირის მრავალ თეატრშიც შ. დადიანის ისტორიულ-რევოლუციური პიესა „ნაპერწკლიდან", რომელიც თვალწინ გადაგვიშლის ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ლენინიზმის დროშის ქვეშ საქართველოს პროლეტარიატის გაერთიანების სახელოვან ფურცელს.

ქართველ დრამატურგთა პიესებში ასახულია აგრეთვე გასული საუკუნეების ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მოღვაწეების ცხოვრება. ასეთ პიესებს მიეკუთვნება მ. მრევლიშვილის პიესა, მიძღვნილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის დიდი ქართველი პოეტ-რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისადმი. პიესაში გადმოცემულია, როგორ იწრთობოდა და მტკიცდებოდა რუსი და ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების მეგობრობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხელიხელჩაკიდებულ ბრძოლაში.

რუსი და ქართველი ხალხის დიადი მეგობრობის ფურცლები გადაშლილია, აგრეთვე, ი. მოსაშვილის პიესაში „გზა მომავლისა", რომელშიც ასახულია მეფე ერეკლე II-ის ბრძნული მისწრაფება რუსეთთან სამარადისო კავშირის დასამყარებლად.

კრებულებში მოთავსებული ქართველი მწერლებისა და პოეტების საუკეთესო ნაწარმოებების რუსულად თარგმნაში ჭეშმარიტად დიდი შემოქმედებითი და კეთილსინდისიერი შრომა მიუძღვის მთარგმნელთა დიდ კოლექტივს. ამ წიგნების გამოცემით „ზარია ვოსტოკამ" უთუოდ დიდი და სასარგებლო საქმე გააკეთა.

**მ. ზავერინი**

# ცნობილი მწვრთნელები

სპორტის მოყვარულები ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესით მოელიან გაზაფხულს. ეს გასაგებიცაა, მსაჯის სასტვენის ხმა მათთვის ბულბულის ხმაზე უფრო საამო და სასურველია. გაზაფხულის მოახლოება სპორტის მოყვარულთათვის მხოლოდ თოვლის გადნობა და ბალახის აბიბინება როდია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაზაფხულს თან მოაქვს ფეხბურთი, მღელვარება, პროგნოზები...

ყოველი ჩვენგანი იცნობს გამოჩენილ სპორტსმენებს, იცნობს მთელი კოლექტივის ბიოგრაფიას, მაგრამ რა დასამალავია, ხშირად არ იცნობს მათ აღმზრდელებს, ვინც დაუღალავად იღწვის იმისათვის, რომ მისი აღსაზრდელისთვის დღევანდელი დღე ხვალ განვლილ ეტაპად იქცეს, რათა ახალგაზრდამ რაც შეიძლება მალე და დაჯერებით განვლოს ძნელად გასავლელი გზა ახალბედადან ოსტატამდე. მაყურებელი მწვრთნელს უშუალოდ ვერ ხედავს სარბენ ბილიკზე, მწვანე მოედანზე, ხალიჩაზე. იგი უხილავია დაძაბულ სპორტულ ბრძოლაში, მაგრამ ყველგან და ყოველთვის, ყოველ ასპარეზობაში ჩანს მისი წარმმართველი ხელი.

სტარტზეა გაზაფხული. მაყურებლები მრავალჯერ იხილავენ სპორტსმენთა მაღალ ოსტატობას სხვადასხვა შეჯიბრებაში, მაგრამ ჩვენ გვინდა მკითხველს მოვუთხროთ გამოჩენილ მწვრთნელებზე, მათ საქმიანობაზე, მათ გეგმებზე.

## ა. ქორდანია

შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საყვარელი მწვრთნელი არის სპორტის დამსახურებული ოსტატი ანდრო დიმიტრის-ძე ქორდანია. ვის ვის და, ქორდანიას ყველა იცნობს; ყოველი ჩვენგანის მეხსიერებაში წარუშლელია თბილისის „სპარტაკის" ახალგაზრდული კოლექტივის მეგობრული, შეწყობილი თამაში. „სპარტაკის" ფეხბურთელებს ყოველ თამაშში შეჰქონდათ რაღაც ახალი, ჭაბუკური, მიმზიდველი, ყოველ თამაშში ჩანდა შემოქმედი მწვრთნელის ა. ქორდანიას ხელი.

გასული წლის შემოდგომიდან ა. ქორდანია დანიშნულ იქნა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა უფროს მწვრთნელად. დინამოელებმა ძალზე ცუდად დაამთავრეს 1954 წლის სეზონი. წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ გუნდს აკლდა ახალი ძალები, ახალგაზრდული ენერგია და მოწადინება.

უფროსმა მწვრთნელმა პირველ რიგში გააკეთა ის, რაც მას წესად აქვს — კოლექტივს მრავლად შეჰმატა ახალგაზრდობა და ზოგიერთი მათგანი დააწინაურა პირველ შემადგენლობაში. ქორდანია მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ახალგაზრდობა გამოცდილი პარტნიორების მხარდამხარ გაამართლებს იმედებს.

მეცადინეობა ღია ცის ქვეშ დინამოელებს თითქმის არც შეუწყვეტიათ. ოსტატები გულმოდგინედ ეუფლებოდნენ ფეხბურთის ტექნიკისა და ტაქტიკის რთულ ელემენტებს. აი, ახლაც, ა. ქორდანია თეორიულ მეცადინეობას ატარებს თავდამსხმელებთან. დღეს ესაა ფანერის მოედანი ფეხბურთელთა მინიატიურული ფიგურები, მაგრამ ხვალ იგივე სიტუაცია შეიძლება შეიქმნეს ნამდვილ მოედანზე, საბრძოლო ვითარებაში. მაშინ კ. გაგნიძის, ა. კოტრიკაძის, ა. ღოლობერიძისა (რომელთაც ჩვენ სურათზე ვხედავთ) და მათი ამხანაგების ინდივიდუალურ ოსტატობაზე იქნება დამოკიდებული მწვრთნელის მიერ შემზადებული „რეცეპტის" განხორციელება.

## გ. ავალიშვილი

... მატჩის უკანასკნელი წუთებია. ესაა კალათბურთში 1953 წლის საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა. თამაშობენ ძველი „მეტოქეები" „დინამო" (თბილისი)—ცდსა (მოსკოვი). ანგარიში საკმაო უპირატესობით მიჰყავდათ თბილისელებს, მაგრამ არმიელებმა რამდენიმე ზუსტი სროლით დააგვირგვინეს კომბინაციები და საგრძნობლად შეამცირეს განსხვავება.

ამ დროს სასტვენმა გააჩერა თამაში. „დინამოს" მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა გიორგი ივანეს-ძე ავალიშვილმა მოითხოვა წუთიანი შესვენება. ეს თავისთავად ტაქტიკური ნაბიჯია და, გარდა ამისა, წუთიანი შესვენების დროს მწვრთნელი გუნდს აძლევს ახალ გეგმას, მოთამაშეებს მიუთითებს შეცდომაზე. სურათზე ნათლად ჩანს, რომ თბილისელებს ამ მომენტში მართლაც ესაჭიროებოდათ მწვრთნელის სიტყვა. ო. ქორქია შეშფოთებული უყურებს დროისა და ანგარიშის აღმრიცხველს, ნ. ჯორჯიკიას და ლ. ინწკირველს თავისი წინადადებები აქვთ, ვ. ქღენტი და ა. კილაძე ყურადღებით უსმენენ მწვრთნელს და ამხანაგებს.

მწვრთნელმა გუნდს სწორად მიუთითა დაშვებულ შეცდომაზე. თამაში განახლდა და მოსკოველთა კალათში ზედიზედ ზუსტად ჩასრიალდა ბურთები. მატჩი და ჩემპიონის საპატიო ტიტული დინამოელებმა მოიგეს. შემდგომ 1954 წელს თბილისის „დინამომ" კიევში კვლავ დაისაკუთრა ჩვენს ქვეყანაში უძლიერესის წოდება, მათი შესანიშნავი გამარჯვებით დამთავრდა საერთაშორისო შეხვედრები ჩინელ, ბულგარელ, ფრანგ, ჩეხოსლოვაკელ კალათბურთელებთან. ბრწყინვალე ტურნე ჩაატარეს დინამოელებმა ეგვიპტისა და სირიის უძლიერეს გუნდებთან.

ყოველთვის და ყველგან „დინამოს" კალათბურთელთა მრავალრიცხოვან გამარჯვებათა ხელმძღვანელი იყო მათი უფროსი ამხანაგი და მწვრთნელი გ. ავალიშვილი. იგი ძალ-ღონის დაუზოგავად მუშაობს მოპოვებულ წარმატებათა შენარჩუნებისათვის. გამოცდილ კალათბურთელთა გვერდით გუნდს ეზრდება ახალგაზრდა, საიმედო ცვლა. მათგან მაყურებელი უკვე იცნობს გივი და გურამ აბაშიძეებს, ვაჟა გვანცელაძეს, მ. ასიტაშვილს და სხვებს.

## ბ. ტახტაროვი

სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნადეჟდა დვალიშვილს მთელს მსოფლიოში იცნობენ. ჯერ კიდევ სკოლაში 15 წლის გოგონამ ყველა განაცვიფრა თავისი შედეგებით და მიიღო სპორტის ოსტატის წოდება. მალე ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის სტადიონებზე მაყურებლები აღტაცებაში მოდიოდნენ ნადეჟდას მსუბუქი, თავბრუდამხვევი რბენით, შესანიშნავი ნახტომით.

ნადეჟდა „აღმოაჩინა" მწვრთნელმა ბორის ვიქტორის ძე ტახტაროვმა. ბორის ვიქტორის ძემ თავისი მოღვაწეობა ძირითადად ბავშვებს მიუძღვნა. მას ყოველთვის ნახავთ ბავშვთა შეჯიბრებებზე სკოლის ეზოში, სტადიონებზე. მწვრთნელის გამოცდილ თვალს არ გამოეპარება კარგი მონაცემების მქონე ბავშვი. ტახტაროვის სახელთანაა დაკავშირებული არა მარტო ნ. დვალიშვილის მიღწევები, მის ხელში გამოიწვრთნენ ისეთი ნიჭიერი სპორტსმენები, როგორიც არიან მ. გეგეშიძე, მ. ქოჩლაძე, ლ. სესაძე, ჯ. ოდილავაძე, ც. თეთრაძე და მრავალი სხვ.

ტახტაროვი და დვალიშვილი თვეების მანძილზე აწარმოებდნენ წვრთნას სიგრძეზე ხტომაში საკავშირო რეკორდის დასამყარებლად. ვარჯიშის პროცესში გამოირკვა, რომ სპორტსმენი მზად იყო საამისოდ. უახლოეს შეჯიბრებაზე ნადეჟდამ ბრწყინვალედ შეასრულა ეს ძნელი ამოცანა. არა მარტო დაამყარა რეკორდი, არამედ სულ ახლო მივიდა მსოფლიო რეკორდთან, რომლიდანაც მას ამჟამად 3 სანტიმეტრი ყოფს. ჩვენს სურათზე აღბეჭდილია სწორედ ის სამახსოვრო დღე. შეჯიბრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მწვრთნელი და სპორტსმენი მცირე ხნით განმარტოვდნენ. დვალიშვილი მთელი გულისყურით უსმენს ტახტაროვის უკანასკნელ დარიგებას.

ზემოთ ჩამოთვლილი მძლეოსნები უკვე აღარ არიან ბავშვები, თუმცა მათი კავშირი მწვრთნელთან არ გამწყდარა. მაგრამ ბ. ტახტაროვი კვლავინდებურად მაინც ბავშვებთანაა—ბავშვთა შეჯიბრებებზე სკოლებში, რაიონებში. და ვინ იცის, გავა წლები და სპორტულ სამყაროს კვლავ მოედება ცნობა ახალი „დვალიშვილის" — ტახტაროვის აღზრდილის შესახებ.

## ვ. კუხიანიძე

საქართველოში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული და საყვარელი სახეობაა ჭიდაობა. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკაში მცხოვრები სამი მსოფლიო ჩემპიონიდან ორი მოჭიდავეა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭვს არ იწვევს ის, რომ ამ პოპულარობას საფუძვლად უდევს ეროვნული, ქართული ჭიდაობა. ხალხს ყოველთვის უყვარდა იგი და უყვართ ახლაც. ამიტომაა, რომ საქართველოს ჰყავს მოჭიდავეთა ულევი რეზერვები: ა. მეკოკიშვილი, გ. კარტოზია, ვ. ბალავაძე, დ. ციმაკურიძე, მ. ცალქალამანიძე, ნ. მუზაშვილი, ს. გაბარაევი, გ. სხირტლაძე, ვ. გიგიაძე, შ. დაუშვილი, ო. კანდელაკი, ვ. ილურიძე, გ. ჩიტიაშვილი და მრავალი სხვ.




ეს სპორტსმენები აღზარდეს შესანიშნავმა მწვრთნელებმა, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვახტანგ მელიტონის-ძე კუხიანიძეს. წლების მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში.

დინჯი, მოფიქრებული, თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტი, იგი ზედმიწევნით კარგად იცნობს ჭიდაობის ყველა სახეობას და მთელ თავის ცოდნასა და უნარს ახმარს სპორტსმენთა აღზრდას.

ვ. კუხიანიძის მოღვაწეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მწვრთნელის საქმიანობით. იგი, გარდა ამისა, საკავშირო კატეგორიის მსაჯია. ამას წინათ, თბილისის ცირკში გაიმართა იაპონიისა და საქართველოს მოჭიდავეთა ამხანაგური შეჯიბრება. კუხიანიძე ამ შეჯიბრებაში ასრულებდა მსაჯის მოვალეობას. ჩვენს სურათზე აღნიშნულია ოლიმპიური ჩემპიონის დ. ციმაკურიძის შეხვედრა იაპონელ კაცურამოტოსთან კუხიანიძემ მოძებნა მარჯვე ადგილი, რათა მხედველობიდან არ გამორჩეს ჭიდაობის ყველაზე გადამწყვეტი მომენტი — როცა კაცურამოტო ხალიჩას შეეხება ბეჭებით. საამისოდ მას, როგორც ხედავთ ჩაჩოქებაც კი დასჭირდა.

**გ. არტემიძე, ბ. ქორქია**

**ფოტო ო. თურქიასი**





# უცხოური ჰუმორი

## სამძიმარი

ერთი კაცი უცებ დიდი თანამდებობის პირი გახდა. ეს რომ მისმა მეგობარმა გაიგო, მისალოცად ეახლა.

— ვინა ხარ და რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა გადიდკაცებულმა.

მეგობარს მეგობრისაგან ეწყინა და უთხრა:

— როგორ, ვერ მიცანი? შენი ძველი მეგობარი ვარ, გავიგე რომ დაბრმავებულხარ და სამძიმრის სათქმელად მოვედი.

## ლე-რუას დისერტაცია

ახლაც გვხვდება ხოლმე ისეთი მეცნიერული დისერტაციები, რომლებიც მოწყვეტილნი არიან ცხოვრების სინამდვილეს და გამოგონილ „პრობლემებს“ ეხებიან. ასეთი დისერტაციების პირველ სახედ შეიძლება ჩაითვალოს „გამოკვლევა“ აკადემიკოს ლე-რუასი, რომელმაც XVIII საუკუნეში წარადგინა ნაშრომი თემაზე: „წარწერები ადამის საფლავზე, რომლის ადგილმდებარეობა კუნძულ ცეილონზე უნდა ვივარაუდოთ“.

## გოეთე და კრიტიკოსი

გოეთე ვაიმარის პარკში დასეირნობდა. ვიწრო ბილიკზე, რომელზეც მხოლოდ ერთი კაცი თუ გაივლიდა, მას შემოხვდა კრიტიკოსი — გოეთეს ნაწარმოებთა უმართებულო მსაჯული. როდესაც ერთმანეთს დაუახლოვდნენ, კრიტიკოსმა ქედმაღლურად წარმოთქვა:

— მე სულელებს არასდროს არ ვუთმობ გზას!...

— მე კი — პირიქით... — თქვა გოეთემ, გაიღიმა და გვერდზე გადგა.

## განსხვავება

ერთმა ყმაწვილმა კაცმა მოცარტს ჰკითხა, სიმფონიები როგორ უნდა დავწეროო.

— თქვენ ჯერ ძალზე ახალგაზრდა ხართ, რატომ არ გინდათ ბალადების წერით დაიწყოთ? — უთხრა მოცარტმა.

— კი მაგრამ, თქვენ მხოლოდ ათი წლისა იყავით და უკვე სიმფონიებს წერდით, — შეეპასუხა ახალგაზრდა.

— მართალია, — მიუგო მოცარტმა, — მაგრამ მე არავისთვის მიკითხავს როგორ დამეწერა ისინი.

## პ ა რ ი ზ შ ი

— თქვენ გსურთ ჩემი ქალიშვილის შერთვა?

— დიახ, მუსიე.

— პროფესიით ვინ ბრძანდებით?

— მინისტრი ვარ.

— ჩემი ქალიშვილი გაჰყვება ცოლად მხოლოდ იმ კაცს, რომელსაც მუდმივი პროფესია აქვს.

# კროსვორდი



### ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

1. სასარგებლო მცენარე. 5. კუნძული შორეულ აღმოსავლეთში. 7. უდაბნოს მცენარე. 9. უმაღლესი სამხედრო-სასულიერო პირი მუსულმანურ ქვეყნებში. 10. ხელისუფლების ორგანო ძველ უკრაინაში. 12. ავადმყოფობა. 14. ყირიმის სახანოს მმართველთა დინასტია. 15. მე-19 საუკუნის გამოჩენილი შოტლანდიელი ბოტანიკოსი. 16. ჰავა. 18. მუშაობის საზომი ერთეული. 20. სითხის სამარაგე. 22. შაშხანის ნაწილი. 24. ბოსტნეული. 26. ევროპელი მოჭადრაკე. 28. მტაცებელი ფრინველი. 29. ქართული ბალეტი. 30. სოფელი საქართველოს სამხედრო გზაზე. 31. ჩარღვეული მიწა. 32. ქედი საბჭოთა კავშირში. 34. ბელგიელი კომპოზიტორი. 35. მსხვილი კაპიტალისტური წამოწყებების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები. 36. კუნძული. 37. ყვავილი. 39. ხმის ჩასაწერი. 41. მუსიკალური ინსტრუმენტი. 44. ევროპელი კომპოზიტორი. 46. გემის სადაურობის გამოსაცნობი სახელმწიფო ნიშანი. 47. რიცხვი. 48. მდინარე საქართველოში. 49. მხარე ძველ საქართველოში. 51. ტბა, რომლის ნაპირზეც დამარხულია პრჟევალსკი. 52. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. 53. განთავისუფლებული ყმა.

### ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. ქალაქი დასავლეთ გერმანიაში. 2. საბჭოთა მწერალი. 3. ოქროს ურდოს დედაქალაქი. 4. მუსულმანთა ქალაქი, მოხსენებული გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოში“. 5. სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობა. 6. ი. ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ჟურნალი. 7. თანამედროვე რუსული ჟურნალი. 8. მიბაძვა, გამოჯავრება. 10. შატობრიანის ნაწარმოები. 11. თხელი გარსი. 12. ქართველი გმირი ქალი. 13. ცხოველი. 17. საქმის მოგვარება გაიძვერული, უხამსი ხერხით. 19. საწერი ჯოხი, დამზადებული თიხისა და კვარცის მტვრის ნაერთისაგან. 21. შუა საუკუნეების იტალიელი ჰუმანისტი, პედაგოგი. 22. თაყვანისცემა, გაღმერთება. 23. ბაირონის პოემის გმირი. 24. კურორტი შავი ზღვის პირას. 25. მდინარე მოსკოვის ოლქში. 26. საცირკო სანახაობათა მომწყობი ძველ რომში. 27. მხალეული. 31. ქართველი მეფე. 33. ყვავილი. 37. ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში. 38. დრამატული ნაწარმოების ნაწილი. 39. ძველი თავდასაცავი იარაღი. 40. მთის ყვავილი. 42. ფრანგული ბურჟუაზიული გაზეთი. 43. გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალისტი. 45. საზოგადოებაში მოქცევის წესი, ნორმა. 46. მინერალური წყალი სომხეთის სსრ-ში. 49. პუშკინის პოემის გმირი. 50. სახლების გადასახურავი მასალა ძველად.

## ჟურნალ „დროშის“ № 8-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი.

**ჰორიზონტალურად:**

3. ტემზა. 5. კოლბა. 8. ლითოგრაფია. 10. რეგლამენტი. 11. კონსტიტუცია. 13. აბანო. 14. კვალი. 15. სარანგი. 17. აპულეი. 18. ეგზემა. 19. ბატატი. 20. ლირიკა. 24. იკაროსი. 25. გლუვი. 26. სუსხი. 28. აზერბაიჯანი. 31. აბგრეგაცია. 32. ინიციატორი. 33. ადათი. 34. ალალი.

**ვერტიკალურად:**

1. აეროგრაფია. 2. აბრევიაცია. 4. აყალო. 5. კალცი. 6. სილვა. 7. ეტაპი. 9. ავტორი. 10. რუტინა. 11. კონსულტაცია. 12. აკადემიკოსი. 15. სპექტრი. 16. ინგლისი. 19. ბალუსტრადა. 21. არისტოტელე. 22. ლამბდა. 23. პოლიპი. 25. გერბი. 27. ინდრა. 29. ზვარი. 30. ნაცია.



ნახატი-ხუმრობა

გ. ლომიძე

გ ა რ ე კ ა ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე: ა. გერასიმოვი. — ვ. ი. ლენინი ტრიბუნაზე.

მ ე ო თ ხ ე გ ვ ე რ დ ზ ე: აზერბაიჯანის სსრ. ნავთის ქაბურღილები კასპიის ზღვაში. ილიჩის ყურე. ფოტო ალპერტისა.

ჩ ა ნ ა რ თ გ ვ ე რ დ ე ბ ზ ე — აზერბაიჯანის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი ფერადი ფოტოსურათები ეკუთვნის ალპერტს.

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ნ. ჩერნიშკოვმა

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91. ტელ. 3-95-38.

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/IV-55 წ. გამომც. № 32. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ნაბეჭდი ფურც. 3¹/₂. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 171. უე 00594

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

# 1905 წლის რევოლუციური სატირის ალბომიდან

კარიკატურები ამოღებულია 1926 წელს მოსკოვში გამოცემული საიუბილეო ალბომიდან, რომელშიც რუსეთის პირველი რევოლუციის დროინდელი ლეგალური და არალეგალური რუსული ჟურნალების პოლიტიკური სატირის ნიმუშებია მოთავსებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ნეტავ ვინ მოკლეს, აჰ?
— გაიარე, გაიარე, ვინც მოსაკლავი იყო, ის მოკლეს!..

რევოლუციონერ კალიაევის მიერ გასროლილმა ბომბმა სიცოცხლე მოუსწრაფა რეაქციის ერთ-ერთ სულისჩამდგმელს, დიდ თავადს სერგეი ალექსანდრეს-ძეს.

ქვაფენილზე დანთხეული სისხლის დანახვაზე გამვლელი დედაბერი პოლიციელს ეკითხება მკვლელობის შესახებ.

ძუნწსა და აგდებულ პასუხში, რომლითაც პოლიციელს დედაბრის დაშინება სურდა — ყოველივე უფროსების ნება-სურვილით ხდება, — მეფის მსახური ვერც კი ამჩნევს, რომ მისდა უნებურად თვით ხალხის სურვილს გამოხატავს.



ასაბრუნ-გადასაბრუნებელი არწივი, ანუ მეფის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

კარიკატურა თავისებურად გამოსახავს თვითმპყრობელობის გამცემლობას. სამეფო გერბზე დახატულია ორთავიანი არწივი, წარწერით — „კონსტიტუცია“, რომელიც თავისი მოჩვენებითი საზეიმო ელფერით დასავლეთ ევროპისთვისაა გამიზნული. გადააბრუნებთ სურათს და თვალწინ წარმოგიდგებათ ევროპის ჟანდარმი — ნიკოლოზ II სამეფო გვირგვინით, რომელსაც ახლა ეპოლეტები მტაცებლის ბრჭყალებით შეუცვლია.



ჩვენი კონსტიტუცია... გთხოვთ ნუ შეუბერავთ...

17 ოქტომბრის მანიფესტის ავტორი, თვითმპყრობელობის ერთგული მსახური — გრაფი ვიტე გართულია ახალი კონსტიტუციის შეკოწიწებით. ამ საკანონმდებლო ხუხულის „სიმტკიცე“ არავითარ ეჭვს არ იწვევს.





პიროვნების ხელშეუხებლობა და სიტყვის თავისუფლება.

1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის შემდეგ, რევოლუციონური მასების თვალის ასახვევად გამოცემული ყბადაღებული 17 ოქტომბრის მანიფესტი მრავალ კარიკატურაში აისახა.

ქაღალდზე არსებული მოჩვენებითი „ხელშეუხებლობა“ ქუჩებში მოთარეშე კაზაკებს ახლა მხოლოდ მათრახით შეხების უფლებას აძლევს და ისინიც აქეთ-იქით მარჯვედ უტლაშუნებენ გამვლელებს მათრახს.

ასეთივე ხასიათისაა „თავისუფლება“, რომელიც რედაქტორს მანიფესტით მიეცა. საგაზეთო წერილზე მომუშავე რედაქტორის მორიახლოვს მათრახით გაჩერებული პოლიციელი. ის თავისებური ცენზორია, რომელიც მზად არის რაზგებით გაუსწორდეს რედაქტორს წერილში გაპარული მეფის მთავრობის საწინააღმდეგო ერთი სიტყვისთვისაც კი.



...ქალაქში სიმშვიდეა, ქუჩებში აღდგენილია მოძრაობა.

მხატვარს თავისი კარიკატურისთვის იმ დასმენების ტექსტი გამოუყენებია, რომელთაც 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის შემდეგ დამსჯელი რაზმები მეფეს უგზავნიდნენ.

უკაცრიელ ქუჩებში მოდარაჯე კაზაკებისა და მაწანწალა ძაღლების სურათი კარგად აჩვენებს ამ „სიმშვიდის“ ხასიათს.



1906 წლის მოსავლის სურათები.

მხატვარ სეროვის ნახატზე მომავალი წლის მოსალოდნელი მოსავლის სურათია გამოსახული.

გადამწვარ-გადატიტვლებულ ყანებში თავთუხის ძნებისა და ნამგლების ნაცვლად დამსჯელი ექსპედიციების ჯარისკაცებს თოფები აუყუდებიათ...




თავმოკვეთილ მეფეთა გალერეაში (ლია ბარათების სერიიდან).

ამ მეფეებსაც ოდესღაც თავი მხრებზე ება. მაგრამ როდესაც ხალხისათვის ეს აუტანელი გახდა, მათ თავები წააცალეს. ახლა ისინი თავმოკვეთილ მეფეთა გალერეას ამშვენებენ... კარლოს I... ლუდოვიკო XVI... ამ გალერეაში ჯერ კიდევ ბევრი ცარიელი ჩარჩოა. ნიკოლოზ II თავის რიგს უნდა ელოდეს. ხალხის მტარვალი შეძრწუნებულია ამ ფიქრებით.

როგორც ცნობილია რუსეთის პირველი რევოლუციისდროინდელი მხატვრისა და მთელი ხალხის ეს სურვილი ცოტათი გვიან აღსრულდა კიდეც. რუსთ ხელმწიფემ თავმოკვეთილ მეფეთა გალერეაში თავისი ადგილი დაიკავა.

6.142/44

ფასი 3 მან.



ეროვნული ბიბლიოთეკა